რა გვნდა ვიცოდეთ სკოლის ეფექტურობის

სახელმძღვანელო ტრენერებისთვის

რობერტ ჯ. მარზანო, ჯენიფერ ს. ნორფორდი, მარსია დ' არქანჯელო
რა განაპირობებს სკოლის ეფექტურობას

Robert J. Marzano, Jennifer S. Norford, Marcia D' Arcangelo
WHAT WORKS IN SCHOOLS

მთარგმნელები: სახელმძღვანელო ტრენერებისათვის – *მაია ჩანქსელიანი*
ვიდეოპროგრამა – *თეო ნეფარიძე*

რედაქტორი: *ნათია ნაცვლიშვილი*
კორექტორი: *მაია მენაბდე*

დიზაინი და დაკაბადონება: *გიორგი ბაგრატიონი*

ყველა უფლება დაცულია

პირველი ქართული გამოცემა, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი, 2009.

თარგმანის ხარისხზე პასუხისმგებელია მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი.

თბილისი, 0102, უზნაძის ქ. 52.
ტელ: (+995) 91 14 53, 95 58 33.
ვებ-გვერდი: www.tpdc.ge ელ-ფოსტა: info@tpdc.ge

© სასწავლო გეგმების შემუშავებისა და ზედამხედველობის ასოციაცია (ASCD), ალექსანდრია, ვირჯინია, აშშ. 2003.

ვებ-გვერდის მისამართი: http://www.ascd.org ელ-ფოსტის მისამართი: member@ascd.org

© Association for Supervision and Curriculum Development, Alexandria, Virginia, USA. 2003.
Web site: http://www.ascd.org E-mail: member@ascd.org

ISBN 978-9941-0-1999-9

რა განაპირობებს სკოლის ეფექტურობას

სარჩევი

შესავალი 7

პროგრამის მიზანი 8

პროგრამის კომპონენტები 9

როგორ გამოვიყენოთ აღნიშნული სახელმძღვანელო 9

ტრენერის როლი 10

სამუშაო სემინარები 13

ფილმი, ნაწილი I

სკოლის წარმატების განმსაზღვრელი ფაქტორები 15

პირველი (ა) სამუშაო სემინარი 17

პირველი (ბ) სამუშაო სემინარი 21

ფილმი, ნაწილი II

მასწავლებლის წარმატების განმსაზღვრელი ფაქტორები 29

მეორე (ა) სამუშაო სემინარი 31

მეორე (ბ) სამუშაო სემინარი 35

ფილმი, ნაწილი III

მოსწავლის წარმატების განმსაზღვრელი ფაქტორები 43

მესამე (ა) სამუშაო სემინარი 45

მესამე (ბ) სამუშაო სემინარი 51

სამუშაო ფურცლები და საპრეზენტაციო პლაკატები 59

სამუშაო ფურცელი №1 – სკოლის წარმატების განმსაზღვრელი ფაქტორები 61

სამუშაო ფურცელი №2 – სკოლის წარმატების განმსაზღვრელი ფაქტორების შემადგენელი ელემენტები 63

სამუშაო ფურცელი №3 – სკოლის წარმატების განმსაზღვრელ ფაქტორებზე მუშაობის სტრატეგიები 65

სამუშაო ფურცელი №4 – კითხვარი სკოლის წარმატების განმსაზღვრელი ფაქტორების შესახებ 67

სამუშაო ფურცელი №5 – მასწავლებლის წარმატების განმსაზღვრელი ფაქტორები 71

სამუშაო ფურცელი №6 – მასწავლებლის წარმატების განმსაზღვრელი ფაქტორების შემადგენელი ელემენტები 73
სამუშაო ფურცელი №7 – მასწავლებლის წარმატების განმსაზღვრელ ფაქტორებზე მუშაობის სტრატეგიები 77
სამუშაო ფურცელი №8 – კითხვარი მასწავლებლის წარმატების განმსაზღვრელი ფაქტორების შესახებ 81
სამუშაო ფურცელი №9 – მოსწავლის წარმატების განმსაზღვრელი ფაქტორები 89
სამუშაო ფურცელი №10 – მოსწავლის წარმატების განმსაზღვრელი ფაქტორების შემადგენელი ელემენტები 91
სამუშაო ფურცელი №11 – მოსწავლის წარმატების განმსაზღვრელი ფაქტორების შემადგენელი ელემენტები 93
სამუშაო ფურცელი №12 – კითხვარი მოსწავლის წარმატების განმსაზღვრელი ფაქტორების შესახებ 95

საკითხავი მასალა და სხვა რესურსები 109
ბიბლიოგრაფია 111
საკითხავი მასალა №1 113
საკითხავი მასალა №2 125
საკითხავი მასალა №3 131
საკითხავი მასალა №4 139

რა გვხვდრება

სკოლის ეფექტურობას



შესავალი

რა განაპირობებს სკოლის ეფექტურობას

რობერტ მარზანოს ახალ წიგნში, *რა განაპირობებს სკოლის ეფექტურობას: კვლევის შედეგების გამოყენება პრაქტიკაში*, საუბარია, რომ ახლა თორმეტწლიანი საშუალო განათლების სისტემის განვითარებისთვის საუკეთესო პერიოდია, თუკი განათლების მესვეურები საკმარის ძალისხმევას გაიღებენ რეფორმების გატარებისათვის. მარზანოს მთავარი არგუმენტი ისაა, რომ თუ გათვალისწინებული იქნება ოცდათხუთმეტწლიანი კვლევების შედეგად შემუშავებული რეკომენდაციები, საშუალო განათლების სისტემა უპრეცენდენტო ეფექტურობის ეპოქაში შევა, რაც, პირველ რიგში, მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების მკვეთრ გაუმჯობესებაში აისახება.

თავისი არგუმენტის დასამტკიცებლად, მარზანოს სამ ათწლეულზე მეტი ხნის მანძილზე ჩატარებული კვლევებიდან მოპყავს მაგალითები. მისი მტკიცებით, აღნიშნული კვლევები მნიშვნელოვან ინფორმაციას იძლევა სასკოლო განათლების შესახებ. მარზანოს ნამუშევრების ტექნიკურ აღწერილობასა და ანგარიშებს დაინტერესებული მკითხველი შემდეგ გამოცემებში გაეცნობა: (*მარზანო 1988ა, 2000; მარზანო, ფიქერინგი და ფოლოქი, 2001*). კვლევების შედეგად, შემუშავდა რეკომენდაციები, რომლებიც სკოლების არა მხოლოდ გამართული, არამედ სამაგალითო მუშაობის გარანტი იქნება. თუმცა ამ ცვლილებების დანერგვა, პირველ რიგში, არსებული პრაქტიკის შეცვლის ინტერესსა და რეფორმისთვის მზაობას მოითხოვს.

მართალია, არსებობს მაღალი ეფექტურობით გამორჩეული სკოლებიც, რაც ბარტისა და სხვების კვლევითაც დადასტურდა (1999), მაგრამ, სამწუხაროდ, მათი რაოდენობა საკმაოდ მცირეა. ამიტომ, მარზანოს აზრით, ჩვენ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება უნდა მივიღოთ: რა ცვლილებების განხორციელებაა აუცილებელი და რომელია ამ ცვლილებების განხორციელების საუკეთესო გზები. წიგნი, *რა განაპირობებს სკოლის ეფექტურობას*, მნიშვნელოვან რეკომენდაციებს სთავაზობს ფუნდამენტური სასკოლო ცვლილებებით დაინტერესებულ პირებს. წიგნში განხილულია ის სამი ძირითადი ფაქტორი, რომელიც გავლენას ახდენს მოსწავლის აკადემიურ მოსწრებაზე. ესენია: სკოლის წარმატების განმსაზღვრელი ფაქტორები, მასწავლებლის წარმატების განმსაზღვრელი ფაქტორები და მოსწავლის წარმატების განმსაზღვრელი ფაქტორები. სკოლის წარმატების განმსაზღვრელ ფაქტორებს შორის განხილულია სასკოლო პოლიტიკა და სკოლის მასშტაბით დადგენილი ნორმები. ამ კატეგორიის ქვეშ ერთიანდება, მაგალითად, სავალდებულო და განხორციელებადი სასწავლო გეგმა და თანამშრომელთა პროფესიონალიზმი და კოლეგიალობა. მასწავლებლების წარმატების განმსაზღვრელ ფაქტორებს შორის განხილულია ის სფეროები, რომელთაც მასწავლებელი ინდივი-

დუალურად განსაზღვრავს და აკონტროლებს. ამ კატეგორიაში გაერთიანებულია ისეთი მაგალითები, როგორებიცაა სწავლების მეთოდების შერჩევა და კლასის მართვის სტილი. მოსნავლის წარმატების განმსაზღვრელი ფაქტორები კი მოიცავს ისეთ სფეროებს, როგორებიცაა, მაგალითად, ოჯახური გარემო და მოსნავლის მოტივაცია.

რეკომენდაციების მოცემულ სამ კატეგორიად დაყოფა იმის მანიშნებელია, რომ სკოლა (და არა, მაგალითად, რაიონი) უნდა წარმოადგენდეს რეფორმის ძირითად ფოკუსს. კვლევათა უმეტესობის შედეგები სნორედ რომ ამ რჩევას გვაძლევს (მაგ: შირენსი და ბოსკერი, 1997; თედლი და რეინოლდსი, 2000; ვანგი, ჰერტელი და ვალბერგი, 1993). წინამდებარე წიგნში მოცემული რეკომენდაციები ეფუძნება წინაპირობას, რომლის თანახმადაც, დღეს, საჯარო საშუალო განათლების სისტემა იმდენად მოქნილია, რომ რეფორმის განხორციელება სირთულეს არ უნდა წარმოადგენდეს. მიუხედავად იმისა, რომ მოცემული რეკომენდაციები საკმაოდ ნათლად და დეტალურადაა წარმოდგენილი, მაინც აუცილებელია, განისაზღვროს, რამდენად შეძლებენ საჯარო სკოლები მათ განხორციელებას. ბევრმა სკოლამ უკვე დაადასტურა, რომ მზად არის ასეთი გამოწვევისთვის.

პროგრამის მიზანი

ფილმში წარმოდგენილი პროგრამის მიზანია, მოკლედ და გასაგებად აღნეროს კვლევის შედეგად გამოვლენილი ის ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენენ მოსნავლის აკადემიურ მოსნრებაზე. აღნიშული ფაქტორები უფრო ვრცლად არის განხილული რობერტ ჯ. მარზანოს წიგნში *რა განაპირობებს სკოლის ეფექტურობას: კვლევის შედეგების გამოყენება პრაქტიკაში*. პროგრამა მიზნად ისახავს ოცდათხუთმეტწლიანი კვლევის შედეგების გაცნობას სკოლის დირექტორების, ხელმძღვანელების, მასნავლებლებისა და სხვა დაინტერესებული პირებისთვის. გარდა ამისა, სამუშაო სემინარებისთვის შექმნილი უფრო ვრცელი სახელმძღვანელო მასალა სკოლებს საკუთარი საჭიროებების გამოვლენასა და სამომავლო სტრატეგიების დასახვაში დაეხმარება.

პროგრამის კომპონენტები

პროგრამა სამნანილიანი ფილმისა და ტრენერების სახელმძღვანელოსგან შედგება. ტრენერების სახელმძღვანელო მოიცავს ტრენინგის გრაფიკსა და აქტივობებს ექვსიევ სამუშაო სემინარისთვის (ორი სამუშაო სემინარი თითოეულ ფილმზე), ასევე, დამატებით საკითხავ მასალას, საპრეზენტაციო პლაკატებსა და სხვა რესურსებს. პირველი ფილმი, *სკოლის წარმატების განმსაზღვრელი ფაქტორები*, გვაცნობს სასკოლო პოლიტიკასა და სკოლის მასშტაბით დადგენილ ნორმებს. ამავე ფილმში, ასევე, ნაჩვე-

ნებია, თუ როგორ აისახება ამ ფაქტორების გავლენა სკოლებზე. მეორე ფილმი, *მასწავლებლის წარმატების განმსაზღვრელი ფაქტორები*, განიხილავს იმ საკითხებს, რომელთაც მასწავლებლები ინდივიდუალურად განსაზღვრავენ და აკონტროლებენ. ამ ფილმში წარმოდგენილია ეფექტური სასწავლო მეთოდები, კლასის მართვის სტრატეგიები და გაკვეთილის დაგეგმვის უნარ-ჩვეულები. მესამე ფილმი, *მოსწავლის წარმატების განმსაზღვრელი ფაქტორები*, წარმოგვიდგენს ისეთ ფაქტორებს, როგორებიცაა ოჯახური გარემო, შეძენილი ინტელექტი და საბაზისო ცოდნა, ასევე, მოტივაცია. კვლევის შედეგად, აგრეთვე, განისაზღვრა, თუ როგორ შეიძლება ამ ფაქტორების უარყოფითი ზეგავლენის დაძლევა.

ტრენერის სახელმძღვანელოში თითოეული ფილმისთვის ორი სამუშაო სემინარისათვის განსაზღვრული მასალაა მოცემული. სამუშაო სემინარის მოკლე ვერსიის ფარგლებში, სემინარის მონაწილეები ფილმს მთლიანად ნახულობენ, შემდეგ აანალიზებენ და ბოლოს საკუთარ მოსაზრებებს, ფილმში განხილული საკითხების შესახებ, ერთმანეთს უზიარებენ. სამუშაო სემინარების ხანგრძლივობის მიხედვით, შესაძლებელია განრიგის შეცვლა და ფილმების სამ ნაწილად ნახვა. აქტივობები და დამატებითი საკითხავი მასალა, აღრმავებს მონაწილეების ცოდნას კონკრეტული საკითხების მიმართ და საშუალებას აძლევს მათ, შეძენილი ცოდნა პრაქტიკაში გამოიყენონ. ხანგრძლივი სამუშაო სემინარების ფარგლებში, მონაწილეები უკეთ ეცნობიან სკოლების, მასწავლებლებისა და მოსწავლეების წარმატების განმსაზღვრელ ფაქტორებსა და სირთულეების დაძლევის გზებს.

როგორ გამოვიყენოთ ტრენერის სახელმძღვანელო

სემინარების ორგანიზატორებმა უნდა გაითვალისწინონ, რომ თუ მონაწილეები ფილმების ჩვენების შემდეგ საკუთარ მოსაზრებებს ერთმანეთს გაუზიარებენ, სემინარი ბევრად უფრო შედეგიანი იქნება. სემინარის ორგანიზატორმა წინასწარ უნდა დაგეგმოს, რა აქტივობებით შეეცდება, ფილმის ჩვენების პროცესის ეფექტურობის გაზრდას, თორემ ფილმის ყურება, შესაძლოა, პასიურ პროცესად იქცეს. აქტივობების გამოყენება კი, მონაწილეებს ფილმების ანალიზს გაუადვილებს და დაეხმარება, რომ ფილმში მოცემული იდეების პრაქტიკაში ეფექტურად გამოიყენების სტრატეგიები დასახონ.

წინამდებარე სახელმძღვანელო მიზნად ისახავს, რომ ფილმში მოცემული პროგრამის მაქსიმალურად ეფექტურად გამოყენებაში დაგეხმაროთ. თუ თქვენ ტრენერი ხართ, საწყის წერტილად წინამდებარე სახელმძღვანელოში მოცემული სადისკუსიო შეკითხვებისა და აქტივობების გამოყენება შეგიძლიათ. თუმცა, სასურველია, რომ თქვენ მიერ არჩეული შეკითხვები და აქტივობები მხოლოდ სახელმძღვანელოში მოცემული მაგალითებით

არ შემოიფარგლებოდეს. უნდა წაახალისოთ მონაწილეები, რომ მათ საკუთარი სკოლის, რაიონისა თუ თემის საჭიროებებიდან გამომდინარე შეკითხვები დასვან.

ნინამდებარე სახელმძღვანელო ოთხი ნაწილისგან შედგება:

შესავალი: ამ ნაწილში წარმოდგენილია კვლევის მიმოხილვა და ფილმების მოკლე აღწერილობა.

სამუშაო სემინარები: ეს ნაწილი მოიცავს თითოეულ ფილმზე ორი სამუშაო სემინარის დასაგეგმად საჭირო განრიგებს, ინფორმაციასა და მასალებს.

სამუშაო ფურცლები და ელექტრონული საპრეზენტაციო პლაკატები: მოცემული მასალები ტრენერმა უნდა გაამრავლოს და სემინარის მონაწილეებს დაურიგოს. ამ მასალებში შედის საპრეზენტაციოდ გამზადებული ელექტრონული პლაკატები თითოეული სამუშაო სემინარისთვის.

დამატებითი საკითხავი მასალა და სხვა რესურსები: ამ ნაწილში მოცემულია რჩეული სტატიები. სამუშაო შეხვედრების ხელმძღვანელს შეუძლია, გაამრავლოს ისინი და დაურიგოს მონაწილეებს. რამდენიმე საკითხავი ტექსტი თავად სამუშაო სემინარზე გამოიყენება. აქვე მოცემულია საკითხავი მასალის ბიბლიოგრაფია.

ტრენერის როლი

მოცემული პროგრამის ფარგლებში, ტრენინგის ორგანიზება უნდა შეძლოს სკოლის დირექტორმა, განათლების სპეციალისტმა, მასწავლებელმა, მშობელმა ან თემის წარმომადგენელმა. თუ თქვენ გადაწყვეტთ ტრენერის როლის შესრულებას, აუცილებელად კარგად უნდა იყოთ მომზადებული სამუშაო სემინარებისთვის. უნდა გაითვალისწინოთ, რომ მონაწილეებს განსხვავებული საბაზისო ცოდნა ექნებათ მოცემული თემების გარშემო. მონაწილეებს, ასევე, განსხვავებული გამოცდილება ექნებათ სასკოლო რეფორმების განხორციელებაში. ამიტომაც, ტრენერმა, თავისი საბაზისო ცოდნისა და ინფორმირებულობის გამოყენებით, ძლიერი საფუძველი უნდა შექმნას დისკუსიებისთვის.

პროგრამის აქტივობების შერჩევა

რეკომენდებულია *დამატებითი საკითხავი მასალისა* და *სხვა რესურსების* ნაწილში გამოქვეყნებული სტატიების წაკითხვა სამუშაო სემინარის თემის გარშემო ცოდნის გასაღრმავებლად. სამუშაო სემინარის ფორმატის შერჩევისას, აუცილებლად უნდა გაითვალისწინოთ თქვენი აუდიტორიის თავისებურებანი, რათა სამუშაო სემინარის ფორმატში, მოცემული დროისა და მონაწილეების საჭიროებების გათვალისწინებით, შეიტანოთ ცვლილებები.

წინამდებარე სახელმძღვანელოს *სამუშაო სემინარების* ნაწილში უნდა გადახედოთ იმ ინფორმაციას, რეკომენდაციებსა და სამუშაო ფურცლებს, რომელთა გამოყენებასაც გეგმავთ სემინარებზე. და ბოლოს, ტრენერმა უნდა შეადგინოს საბოლოო განრიგი, გაამრაელოს მასალები და უზრუნველყოს სამუშაო ოთახისა და პირობების ტექნიკური გამართულობა.

მასალების მომზადება

წინასწარ უნდა მოამზადოთ სამუშაო ფურცლები და დამატებითი საკითხავი მასალის ასლები ყველა მონაწილისთვის. სამუშაო ფურცლები და საპრეზენტაციო პლაკატები ამ სახელმძღვანელოშივეა მოცემული.

სხვა ორგანიზაციული საკითხები

და ბოლოს, უნდა მოამზადოთ ტრენინგის განრიგი, შესვენებების ჩათვლით.

რა განსაზღვრავენ

სკოლის ეფექტურობას



საშუალო სემინარები

თავი I

სკოლის წარმატების განმსაზღვრელი ფაქტორები

პირველი (ა) სამუშაო სემინარი

პირველი (ა) სამუშაო სემინარი, დაახლოებით, საათნახევრიანია. ამ სემინარზე გამოიყენება ფილმის პირველი ნანილი, *სკოლის წარმატების განმსაზღვრელი ფაქტორები*. მონანილეები გაეცნობიან იმ ფაქტორებს, რომლებიც სკოლის პოლიტიკითა და ინიციატივებით განისაზღვრება. ესენია:

- სავალდებულო და განხორციელებადი სასწავლო გეგმა;
- მიზნების დასახვა და ეფექტური შეფასება;
- მშობლებისა და თემის ჩართულობა;
- უსაფრთხო და მოწესრიგებული გარემო;
- თანამშრომელთა კოლეგიალობა და პროფესიონალიზმი.

სემინარის განმავლობაში მონაწილეები განიხილავენ ოცდაერთ სხვადასხვა ასპექტს, რომელიც სკოლის წარმატების განმსაზღვრელ ფაქტორებს უკავშირდება. ასევე, განიხილავენ სკოლების შესაძლო სტრატეგიებს და სამოქმედო გეგმას ამ ფაქტორებზე მუშაობისას.

პირველი სამუშაო სემინარისთვის, ტრენერს შეუძლია შემდეგი განრიგი გამოიყენოს ან, მონაწილეთა საჭიროებებისა და სემინარის მიზნების შესაბამისად, შეიტანოს ცვლილებები.

განრიგი და აქტივობების ხანგრძლივობა

აქტივობა	ხანგრძლივობა (წუთებში)
გახსნა და წარდგენები	10
ფილმის გაცნობა	10
ნანილი I, *სკოლის წარმატების განმსაზღვრელი ფაქტორები*, ჩვენება	30
ანალიზი და დისკუსია	40
დასკვნა	5
სულ ხანგრძლივობა	95 წუთი

პირველი (ა) სამუშაო სემინარის მიზნები:

1. მონანილეები გაეცნობიან სკოლის წარმატების განმსაზღვრელ ხუთ ფაქტორს:

- სავალდებულო და განხორციელებადი სასწავლო გეგმა;
- მიზნების დასახვა და ეფექტური შეფასება;
- მშობლებისა და თემის ჩართულობა;

შენიშვნა ტრენერისთვის

შეგიძლიათ, მონაწილეებს დაურიგოთ რამდენიმე სტატიის ასლი ამ სახელმძღვანელოს დამატებითი საკითხავი მასალებისა და რესურსების ნაწილიდან. აირჩიეთ ის საკითხავი მასალა, რომელიც შეესაბამება ტრენინგის მონაწილეების საჭიროებებსა და პრობლემებს. შეგიძლიათ, საკითხავი მასალა სემინარის დასაწყისში, თემის გაცნობისას, ან სემინარის ბოლოს. შეჯამების დროს დაარიგოთ.

ლმჯობესია, მასალები ერთი საქაღალდით, ორგანიზებული სახით დაარიგოთ. სასურველია, საქაღალდეზე მიუთითოთ მონაწილეთა სახელები.

- უსაფრთხო და მოწესრიგებული გარემო;
- თანამშრომელთა კოლეგიალობა და პროფესიონალიზმი.

2. მონაწილეები განიხილავენ თითოეულ ფაქტორთან დაკავშირებულ სხვადასხვა ასპექტს.
3. მონაწილეები ჩამოაყალიბებენ სკოლების შესაძლო სტრატეგიებს ამ ფაქტორებზე მუშაობისას.

პირველი (ა) სამუშაო სემინარის მასალები

- სამუშაო ფურცელი №1: სკოლის წარმატების განმსაზღვრელი ფაქტორები;
- სამუშაო ფურცელი №2: სკოლის წარმატების განმსაზღვრელი ფაქტორების შემადგენელი ელემენტები;
- სამუშაო ფურცელი №3: სკოლების შესაძლო სტრატეგიები სკოლის წარმატების განმსაზღვრელ ფაქტორებზე მუშაობისას;
- ელექტრონული საპრეზენტაციო პლაკატი: სემინარის მიზნები;
- საკითხავი მასალა №1: „საუკეთესო დროის შესახებ", რობერტ ჯ. მარზანო;
- საკითხავი მასალა №2: „სკოლის წარმატების განმსაზღვრელი ფაქტორები", რობერტ ჯ. მარზანო.

გახსნა და წარდგენა (10 წუთი)

1. მიესალმეთ მონაწილეებს. გააცანით თავი და აუხსენით თქვენი როლი. თქვენი, როგორც ტრენერის პასუხისმგებლობაა, მონაწილეებს, სხვადასხვა აქტივობის განხორციელებისას, სწორი, სემინარის სამუშაო მიზნების შესაბამისი მიმართულება მისცეთ.
2. ჯგუფის სიდიდისა და შემადგენლობის მიხედვით, გადაწყვიტეთ, საჭიროა თუ არა დამატებითი დროის გამოყოფა, რათა თითოეულმა მონაწილემ წარადგინოს თავი ჯგუფის წინაშე.
3. შეაჯამეთ სემინარის ამ ნაწილის მთავარი ელემენტები. მონაწილეებს აუხსენით, რომ ფილმი, რომელსაც ამ სემინარის ფარგლებში ნახავენ სამნაწილიანი ვიდეოპროგრამის ნაწილია და ოცდათხუთმეტწლიანი კვლევის შედეგებს ეფუძნება. პროგრამა მიზნად ისახავს, დაეხმაროს სკოლებს, რომელთაც მნიშვნელოვანი ცვლილებების განხორციელება სურთ. ამ სემინარის ფარგლებში ნაჩვენები ფილმი ეთმობა სკოლის წარმატების განმსაზღვრელ ფაქტორებს, ხოლო შემდგომ სემინარებზე ნაჩვენები იქნება ფილმები მასწავლებლისა და მოსწავლის წარმატების განმსაზღვრელი ფაქტორების შესახებ.

ფილმის წარდგენა (10 წუთი)

1. წარმოადგინეთ პირველი საპრეზენტაციო პლაკატი, პირველი(ა) სამუშაო სემინარის მიზნები და მონაწილეებს სამუშაო სემინარის ამოცანები აუხსენით. უთხარით, რომ:

   - **სამუშაოს სემინარზე**

     1. **გაეცნობიან სკოლის წარმატების განმსაზღვრელ ხუთ ფაქტორს, ესენია:**

        - **საკალდებულო და განხორციელებადი სასწავლო გეგმა;**
        - **მიზნების დასახვა და ეფექტური შეფასება;**
        - **მშობლებისა და თემის ჩართულობა;**
        - **უსაფრთხო და მოწესრიგებული გარემო;**
        - **თანამშრომელთა კოლეგიალობა და პროფესიონალიზმი.**

     2. **გამოავლენენ ამ ხუთი ფაქტორის შემადგენელ კონკრეტულ ელემენტებს;**

     3. **ჩამოაყალიბებენ სკოლების შესაძლო სტრატეგიებს ამ ფაქტორებზე მუშაობისათვის.**

2. მონაწილეებს დაურიგეთ პირველი სამუშაო ფურცლის ასლები, *სკოლის წარმატების განმსაზღვრელი ფაქტორები.*

3. მონაწილეებს სთხოვეთ, გაეცნონ მოცემულ ხუთიეე ფაქტორს და დასვით შემდეგი შეკითხვა:

   რას ნიშნავს ეს ფაქტორები თქვენთვის?

   მონაწილეებს მიეცით დრო, რათა თითოეული ფაქტორის განსაზღვრებები ინდივიდუალურად ჩამონერონ.

შენიშვნა ტრენერისთვის

შეგიძლიათ, გადაამრავლოთ საპრეზენტაციო პლაკატი და მონაწილეებს დაურიგოთ, ან სემინარის მიზნები დაფაზე ჩამონეროთ.

პირველი ნაწილის ჩვენება, *სკოლის წარმატების განმსაზღვრელი ფაქტორები* (30 წუთი)

1. მონაწილეებს შესთავაზეთ, რომ პირველი სამუშაო ფურცელი ფილმის ჩვენების დროს ჩანაწერების გასაკეთებლად და კითხვების ჩასანიშნად გამოიყენონ.

2. აჩვენეთ ფილმის პირველი ნაწილი, *სკოლის წარმატების განმსაზღვრელი ფაქტორები.*

ანალიზი და დისკუსია (40 წუთი)

1. ფილმის ჩვენების შემდეგ, მონაწილეებს სთხოვეთ, გადახედონ პირველ სამუშაო ფურცელს, სადაც მათ ინდივიდუალურად

ჩამონერეს თითოეული ფაქტორის განსაზღვრება. მომდევნო ხუთი ხუთი მონაწილეებმა დაუთმონ განსაზღვრებების დახვენასა და საბოლოო სახით ჩამოყალიბებას, ვიდეოფილმიდან მიღებული ინფორმაციის გამოყენებით.

2. მონაწილეები დაყავით ხუთ მცირე ზომის ჯგუფად; თითოეულმა ჯგუფმა უნდა აირჩიოს მომხსენებელი. თითოეულმა ჯგუფმა უნდა იმუშაოს ერთ ფაქტორზე. დაარიგეთ მეორე სამუშაო ფურცელი, *სკოლის წარმატების განმსაზღვრელი ფაქტორების შემადგენელი ელემენტები*. ჯგუფებმა უნდა განიხილონ ის ელემენტები, რომლებიც მათთვის გადაცემულ ფაქტორს შეესაბამება. მონაწილეებს სთხოვეთ, გაითვალისწინონ შემდეგი შეკითხვა:

   თუ სკოლა ამ კონკრეტულ ელემენტზე მუშაობს, რისი გაკეთება შეუძლია მას?

სასურველია, ჯგუფის მომხსენებელმა ჯგუფის წევრთა მიერ გამოთქმული მოსაზრებები ჩაინიშნოს, რათა დეტალური პრეზენტაციის გაკეთება შეძლოს. აღნიშნულ აქტივობას დაუთმეთ 15 წუთი.

3. ჯგუფის მომხსენებლებს სთხოვეთ, წარმოადგინონ მათი ჯგუფის მუშაობის შედეგები. მომხსენებელთა პრეზენტაციების დროს, მთავარი საკითხები დაფაზე ან კომპიუტერში ჩაინიშნეთ, რომელიც პროექტორით გამოჩნდება ეკრანზე. პრეზენტაციებს, დაახლოებით, 15 წუთი დაუთმეთ.

4. და ბოლოს, დაარიგეთ მესამე სამუშაო ფურცელი, *სკოლების შესაძლო სტრატეგიები სკოლის წარმატების განმსაზღვრელ ფაქტორებზე მუშაობისას*. მონაწილეებს აუხსენით, რომ მესამე სამუშაო ფურცელში მოცემული სტრატეგიების გაცნობის შემდეგ, მათ შეუძლიათ, ჯგუფებში შემუშავებული სტრატეგიების სია შეავსონ. გარდა ამისა, დაარიგეთ საკითხავი მასალა №2, *„სკოლის წარმატების განმსაზღვრელი ფაქტორები"*, რობერტ ჯ. მარზანოს წიგნიდან *„რა განაპირობებს სკოლის ეფექტურობას"*. მონაწილეებს ურჩიეთ, სემინარის შემდეგ გაეცნონ საკითხავ მასალას და იფიქრონ, თუ როგორ გამოიყენებდნენ მოცემულ სტრატეგიებს პრაქტიკაში.

შენიშვნა ტრენერისთვის

მონაწილეებს ურჩიეთ, სემინარის შემდეგაც განაგრძონ დისკუსია კოლეგებთან განხილული საკითხების გარშემო და შეადგინონ ერთმანეთის სამოქმედო გეგმები.

დასკვნა (5 წუთი)

1. მონაწილეებთან ერთად, თავიდან გადახედეთ სემინარის მიზნებს და უპასუხეთ მონაწილეთა შეკითხვებს ამ სემინარზე განხილული ფაქტორების ან მომდევნო სამუშაო სემინარების გარშემო. მადლობა გადაუხადეთ მონაწილეებს სემინარში ჩართულობისთვის.

2. შეაგროვეთ დაფაზე ან კომპიუტერში ჩანიშნული კომენტარები.

პირველი (ბ) სამუშაო სემინარი

პირველი (ბ) სამუშაო სემინარი, დაახლოებით, სამსაათ-ნახევარი გრძელდება. ამ სემინარზე გამოიყენება ფილმის პირველი ნაწილი, *სკოლის წარმატების განმსაზღვრელი ფაქტორები*. ფილმის ამ ნაწილიდან მონაწილეები გაეცნობიან იმ ფაქტორებს, რომლებიც სკოლის პოლიტიკითა და ინიციატივებით განისაზღვრება. ესენია:

- სავალდებულო და განხორციელებადი სასწავლო გეგმა;
- მიზნების დასახვა და ეფექტური შეფასება;
- მშობლებისა და თემის ჩართულობა;
- უსაფრთხო და მოწესრიგებული გარემო;
- თანამშრომელთა კოლეგიალობა და პროფესიონალიზმი.

სემინარზე მონაწილეები განიხილავენ ოცდაერთ სხვადასხვა ელემენტს, რომელიც სკოლის წარმატების განმსაზღვრელ ფაქტორებს უკავშირდება. გარდა ამისა, მონაწილეები შეავსებენ კითხვარს, რაც მათ, საკუთარი სკოლების მაგალითზე, სკოლის წარმატების განმსაზღვრელი ფაქტორების გაანალიზებაში დაეხმარება. მონაწილეები, ასევე, განიხილავენ თავიანთი სკოლების სტრატეგიებსა და სამოქმედო გეგმებს. აღნიშნული სემინარი გამიზნულია მათთვის, ვინც დაინტერესებულია, უფრო დეტალურად გაეცნოს და გააანალიზოს კვლევის შედეგად გამოვლენილი სკოლის წარმატების განმსაზღვრელი ის ფაქტორები, რომლებიც მოსწავლის აკადემიური მოსწრების გაუმჯობესებას უწყობს ხელს. ამ სემინარში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ სკოლის რეფორმებზე მომუშავე ჯგუფებს, კათედრებს ან თანამშრომლებს, მშობლებისა და მასწავლებლების კავშირებს, ლიდერთა ჯგუფებსა და სამეურვეო საბჭოების წარმომადგენლებს.

სემინარზე გამოიყენება აქტივობები, რომლებიც განსაზღვრულია 10-100 მონაწილისათვის. თუ გსურთ, რომ სემინარი უფრო ნაკლები ხანგრძლივობის იყოს, შეგიძლიათ, აქტივობების ნაწილი გააუქმოთ.

განრიგი და აქტივობების ხანგრძლივობა

აქტივობა	ხანგრძლივობა (წუთებში)
გახსნა, წარდგენა	15
მოთელვითი აქტივობები	20
ფილმი, ნაწილი I, *სკოლის წარმატების განმსაზღვრელი ფაქტორები*, ჩვენება	30
განსაზღვრებების დაზუსტება	20

დეტალები სკოლის წარმატების განმსაზღვრელი ფაქტორების შესახებ	35
შესვენება	20
კითხვარის შევსება	45
მომდევნო აქტივობები	15
დასკვნა	10
სულ ხანგრძლივობა	3 საათი, 25 წუთი

პირველი (ბ) სამუშაო სემინარის მიზნები:

1. მონაწილეები გაეცნობიან სკოლის წარმატების განმსაზღვრელ ხუთ ფაქტორს:

- სავალდებულო და განხორციელებადი სასწავლო გეგმა;
- მიზნების დასახვა და ეფექტური შეფასება;
- მშობლებისა და თემის ჩართულობა;
- უსაფრთხო და მოწესრიგებული გარემო;
- თანამშრომელთა კოლეგიალობა და პროფესიონალიზმი.

2. მონაწილეები განიხილავენ თითოეულ ფაქტორთან დაკავშირებულ სხვადასხვა ასპექტს.
3. მონაწილეები ჩამოაყალიბებენ სკოლების შესაძლო სტრატეგიებს ამ ფაქტორებზე მუშაობისათვის.
4. მონაწილეები გამოავლენენ ისმ სფეროებს, სადაც მათი სკოლა ყველაზე ნაკლებად წარმატებულია.
5. მონაწილეები ჩამოაყალიბებენ სამოქმედო გეგმას, თავიანთი სკოლის პრიორიტეტების შესაბამისად.

შენიშვნა ტრენერისთვის

შეგიძლიათ, მონაწილეებს დაურიგოთ რამდენიმე სტატიის ასლი ამ სახელმძღვანელოს დამატებითი საკითხავი მასალისა და რესურსების ნანილიდან. აირჩიეთ ის საკითხავი მასალა, რომელიც თქვენი ტრენინგის მონაწილეების საჭიროებებსა და პრობლემებს შეესაბამება. შეგიძლიათ, საკითხავი მასალა სემინარის დასაწყისში, თემის გაცნობისას ან სემინარის ბოლოს, შეჯამების დროს დაარიგოთ.

უმჯობესია, მასალები ერთი საქაღალდით, ორგანიზებული სახით დაარიგოთ. სასურველია, საქაღალდეზე მიუთითოთ მონაწილეთა სახელები.

პირველი (ბ) სამუშაო სემინარის მასალები

- სამუშაო ფურცელი №1: სკოლის წარმატების განმსაზღვრელი ფაქტორები;
- სამუშაო ფურცელი №2: სკოლის წარმატების განმსაზღვრელი ფაქტორების შემადგენელი ელემენტები;
- სამუშაო ფურცელი №3: სკოლების შესაძლო სტრატეგიები სკოლის წარმატების განმსაზღვრელ ფაქტორებზე მუშაობისას;
- სამუშაო ფურცელი №4: კითხვარი სკოლის წარმატების გან-

მსაზღვრელი ფაქტორების შესახებ;

- ელექტრონული საპრეზენტაციო პლაკატი №2: სემინარის მიზნები;
- საკითხავი მასალა №1: „საუკეთესო დროის შესახებ“, რობერტ ჯ. მარზანო;
- საკითხავი მასალა №2: „სკოლის წარმატების განმსაზღვრელი ფაქტორები“, რობერტ ჯ. მარზანო;
- ქაღალდის დაფა.

გახსნა და წარდგენები (15 წუთი)

1. შემოსასვლელ კართან გააკარით დიდი ფურცელი, სადაც მონაწილეები დაწერენ თავიანთ სახელსა და გვარს, მისამართს, ტელეფონის ნომერს და ელექტრონული ფოსტის მისამართს. ამ სიას მომავალშიც გამოიყენებთ, სხვა სემინარებში მონაწილეების მოსაწვევად. ასევე, შეძლებთ, სემინარის მთავარი ჩანაწერები, მოგვიანებით, ყველა მონაწილეს გაუგზავნოთ.
2. თუ მონაწილეების სხვადასხვა სკოლებიდან არიან, ერთი და იმავე სკოლის წარმომადგენლები, ეცადეთ, ერთ მაგიდასთან დასვათ.
3. მიესალმეთ მონაწილეებს. გააცანით თავი და აუხსენით თქვენი როლი. თქვენი, როგორც ტრენერის პასუხისმგებლობაა, მონაწილეებს, სხვადასხვა აქტივობის განხორციელებისას, სწორი, სემინარის სამუშაო მიზნების შესაბამისი მიმართულება მისცეთ.
4. ჯგუფის სიდიდისა და შემადგენლობის მიხედვით, გადაწყვიტეთ, საჭიროა თუ არა დამატებითი დროის გამოყოფა, რათა თითოეულმა მონაწილემ წარადგინოს თავი. ასევე, შეგიძლიათ, სთხოვოთ მონაწილეებს, ისაუბრონ, რატომ დაინტერესდნენ სემინარში მონაწილეობით.
5. წარმოადგინეთ მეორე საპრეზენტაციო პლაკატი, პირველი (ბ) სამუშაო სემინარის მიზნები და განუმარტეთ მონაწილეებს სამუშაო სემინარის ამოცანები. უთხარით, რომ:
   - **სამუშაო სემინარზე**
     1. **გაეცნობიან სკოლის წარმატების განმსაზღვრელ ხუთ ფაქტორს. ესენია:**
        - **საკალდებულო და განხორციელებადი სასნაველო გეგმა;**
        - **მიზნების დასახვა და ეფექტური შეფასება;**

შენიშვნა ტრენერისთვის

შეგიძლიათ, გადაამრაველოთ საპრეზენტაციო პლაკატი და მონაწილეებს დაურიგოთ, ან სემინარის მიზნები დაფაზე ჩამონეროთ.

- მშობლებისა და თემის ჩართულობა;
- უსაფრთხო და მონესრიგებული გარემო;
- თანამშრომელთა კოლეგიალობა და პროფესიონალიზმი.

2. გამოავლენენ ამ ხუთი ფაქტორის შემადგენელ კონკრეტულ ელემენტებს.
3. ჩამოაყალიბებენ სკოლების შესაძლო სტრატეგიებს ამ ფაქტორებზე მუშაობისათვის.
4. გამოაველენენ იმ სფეროებს, სადაც მათი სკოლა ყველაზე ნაკლებად წარმატებულია.
5. ჩამოაყალიბებენ სამოქმედო გეგმას, თავიანთი სკოლის პრიორიტეტების შესაბამისად.

შენიშვნა ტრენერისთვის

ვინაიდან მონაწილეებმა თავიანთი სკოლის მაგალითზე უნდა განიხილონ სკოლის წარმატების განმსაზღვრელი ფაქტორები, უმჯობესია, თუ ერთი და იმავე სკოლის ნარმომადგენლებს სთხოვთ, რომ ერთ მაგიდასთან დასხდნენ.

მონაწილეებს გაუმეორეთ, რომ ამ სემინარის ფარგლებში განხილული იქნება სკოლის წარმატების განმსაზღვრელი ფაქტორები, ხოლო მომდევნო სემინარები დაეთმობა მასწავლებლისა და მოსწავლის წარმატების განმსაზღვრელი ფაქტორების განხილვას, რომლებიც დიდ გავლენას ახდენენ მოსწავლის აკადემიურ მოსწრებაზე.

მოთელვითი აქტივობები (20 წუთი)

შენიშვნა ტრენერისთვის

საკითხავი მასალის ასლები, შეგიძლიათ, წინასწარ დაურიგოთ მონაწილეებს.

1. გააცანით მონაწილეებს ბოლო 35 წლის მანძილზე განათლების სფეროში ჩატარებული კვლევების ზოგადი მიმოხილეა. გამოიყენეთ წინამდებარე სახელმძღვანელოს შესავალსა და პირველ საკითხავ მასალაში მოცემული ინფორმაცია.
2. დაარიგეთ პირველი სამუშაო ფურცელი, სკოლის წარმატების განმსაზღვრელი ფაქტორები. დაავალეთ მონაწილეებს, განიხილონ პირველ სამუშაო ფურცელში წარმოდგენილი ფაქტორები და დაუსვით მათ შემდეგი შეკითხვა:

რას ნიშნავს ეს ფაქტორები თქვენთვის?

მიეცით მონაწილეებს, დაახლოებით, 5 წუთი, რათა თითოეული ფაქტორის განსაზღვრება ინდივიდუალურად ჩამოწერონ.

3. მას შემდეგ, რაც მონაწილეები ჩამოწერენ განსაზღვრებებს, სთხოვეთ, გაუზიარონ ისინი ერთმანეთს. მთლიანი ჯგუფის წინაშე მოიწვიეთ რამდენიმე მოხალისე მონაწილე, რომელიც მთელ ჯგუფს გააცნობს გუნდურ ნამუშევარს. დაუთმეთ ამ აქტივობას 10 წუთი.
4. რამდენიმე წუთი მიეცით მონაწილეებს იმისათვის, რომ სკოლის წარმატების განმსაზღვრელ ფაქტორებთან დაკავშირებული შეკითხვები პირველ სამუშაო ფურცელზე ჩამოწერონ.

ფილმის პირველი ნაწილის ჩვენება (30 წუთი), *სკოლის წარმატების განმსაზღვრელი ფაქტორები*

1. მონაწილეებს შესთავაზეთ, რომ პირველი სამუშაო ფურცელი ფილმის ჩვენების დროს ჩანაწერების გასაკეთებლად და კითხვების ჩასანიშნად გამოიყენონ.

2. აჩვენეთ ფილმის პირველი ნაწილი, *სკოლის წარმატების განმსაზღვრელი ფაქტორები.*

განსაზღვრებების დაზუსტება (20 წუთი)

1. ფილმის ჩვენების შემდეგ, მონაწილეებს სთხოვეთ, ჩახედონ პირველ სამუშაო ფურცელს, სადაც მათ ინდივიდუალურად ჩამოწერეს თითოეული ფაქტორის განსაზღვრება. მომდევნო ხუთი წუთი მონაწილეებმა დაუთმონ განსაზღვრებების დახვეწასა და საბოლოო სახით ჩამოყალიბებას, ვიდეოფილმიდან მიღებული ინფორმაციის გამოყენებით.

2. მას შემდეგ, რაც მონაწილეები საბოლოო განსაზღვრებებს შეიმუშავებენ, თითოეულ მათგანს სთხოვეთ, საბოლოო ვერსია გვერდით მჯდომ მონაწილეს გაუზიაროს. აქტივობის ამ ნაწილს დაუთმეთ 5 წუთი.

3. და ბოლოს, მოიწვიეთ რამდენიმე მოხალისე, რომელიც შედეგებს მთლიან ჯგუფს გაუზიარებს. რამდენიმე განსაზღვრება ჩაინიშნეთ კომპიუტერში და პროექტორის მეშვეობით, ან დაფაზე წარმოადგინეთ. აქტივობის ამ ნაწილს დაუთმეთ, დაახლოებით, 10 წუთი.

დეტალები სკოლის წარმატების განმსაზღვრელი ფაქტორების შესახებ (35 წუთი)

1. მონაწილეები დაყავით ხუთ მცირე ზომის ჯგუფად; თითოეულმა ჯგუფმა უნდა აირჩიოს მომხსენებელი. ყოველი ჯგუფი იმუშავებს ერთ ფაქტორზე. დაარიგეთ მეორე სამუშაო ფურცელი, *სკოლის წარმატების განმსაზღვრელი ფაქტორების შემადგენელი ელემენტები.* ჯგუფებმა უნდა განიხილონ ის ელემენტები, რომლებიც მათთვის გადაცემულ ფაქტორს შეესაბამება. მონაწილეებს სთხოვეთ, გაითვალისწინონ შემდეგი შეკითხვა:

   თუ სკოლა ამ კონკრეტულ ელემენტზე მუშაობს, რა ქმედებების განხორციელება შეუძლია მას?

   სასურველია, ჯგუფის მომხსენებელმა ჯგუფის წევრთა მიერ გამოთქმული მოსაზრებები ჩაინიშნოს, რათა დეტალური პრეზენტაციის გაკეთება შეძლოს. აღნიშნულ აქტივობას დაუთმეთ 20 წუთი.

2. თითოეული ჯგუფის მომხსენებელს სთხოვეთ, წარმოადგინოს საკუთარი ჯგუფის მუშაობის შედეგები. მომხსენებელთა პრეზენტაციების დროს, ჩაინიშნეთ მთავარი საკითხები. პრეზენტაციებს, დაახლოებით, 15 წუთი დაუთმეთ.

შესვენება (20 წუთი)

კითხვარის შევსება (45 წუთი)

შენიშვნა ტრენერისთვის

გაითვალისწინეთ, რომ ამ სემინარზე ჯერ მეოთხე სამუშაო ფურცელი გამოიყენება და შემდეგ მესამე. კითხვარი (სამუშაო ფურცელი 4) განთავსებულია შემდეგ ვებ-გვერდზე www.whatworksinschools.org

1. სკოლების მიხედვით, მონაწილეები დაყავით ჯგუფებად. დაარიგეთ მეოთხე სამუშაო ფურცელი, *კითხვარი სკოლის წარმატების განმსაზღვველი ფაქტორების შესახებ*. მომდევნო 15 წუთის განმავლობაში მონაწილეებმა კითხვარი ინდივიდუალურად, საკუთარი გამოცდილების მიხედვით უნდა შეავსონ.

შენიშვნა ტრენერისთვის

თითოეული მონაწილისთვის გააკეთეთ კითხვარის ორი ასლი, ერთი მაკი სამუშაოსთვის და მეორე - გადასათვრებლად. ამით მონაწილეებს საშუალება ექნებათ, დაიცვან ანონიმურობა და შევსებული კითხვარი ანონიმურად მიანოდონ შედეგების დამთვლელს. შემდეგი აქტივობისთვის მონაწილეებს დაურიგეთ სამი ან ოთხი სუფთა ფურცელი.

2. შემდეგ, თითოეულ ჯგუფს სთხოვეთ, აირჩიონ ერთი ადამიანი, რომელიც გააკეთებს ჩანაწერებს; ერთი წევრი, რომელიც დათვლის შედეგებს და ერთიც – ჯგუფის მოდერატორი. ჯგუფის იმ წევრებს, რომელთაც შედეგების დათვლა ევალებათ, სთხოვენ, დროულად აკრიფონ მონაწილეებისგან კითხვარები და დათვალონ შედეგები. თუ ჯგუფში ვინმეს აქვს კალკულატორი, ჯგუფს შეუძლია მისი გამოყენება ყოველი შეკითხვის პასუხების საშუალო არითმეტიკულის გამოსაანგარიშებლად. კალკულატორის გარეშე კი შეიძლება პასუხების რაოდენობის შეკრება (მაგალითად, პასუხების 1,2,3,4 ვარიანტების დათვლა თითოეულ შეკითხვაზე). ჯგუფის წევრი, რომელსაც ჩანაწერების გაკეთება ევალება, პასუხების მოკლე რეზიუმეს ცხრილის სახით წარმოადგენს ფურცელზე. აქტივობის ამ ნაწილს დაუთმეთ 10 წუთი.

3. მომდევნო 5 წუთი მონაწილეებმა პასუხების გაანალიზებას უნდა დაუთმონ, სიტყვიერი კომენტარისა და დისკუსიის გარეშე. მონაწილეებმა, შედეგებზე დაყრდნობით, ინდივიდუალურად უნდა ჩამოწერონ, მათი აზრით, რომელ ფაქტორზე უნდა იმუშაოს მათმა სკოლამ ყველაზე აქტიურად.

4. მას შემდეგ, რაც მონაწილეები ინდივიდუალურად გასცემენ ყველა შეკითხვას პასუხს, ჯგუფის მოდერატორებს სთხოვეთ, ნარმართონ დისკუსია სკოლის წარმატების განმსაზღვრელ იმ ფაქტორებზე, რომლებსაც ყველაზე მეტი ყურადღება სჭირდება მათ სკოლაში და გამოავლინონ ერთი, ყველაზე აქტუალური ფაქტორი. როცა ჯგუფი კონსენსუსს მიაღწევს, წევრი, რომელსაც ევალება ჩანაწერების გაკეთება, ამ ფაქტორს საპრეზენტაციო ფურცელზე მონიშნავს. აქტივობის ამ ნაწილს დაუთმეთ, დაახლოებით, 10 წუთი.

5. ბოლოს კი, მოდერატორებს სთხოვეთ, გამართონ დისკუსია იმ

სტრატეგიების შესახებ, რომლებიც სკოლამ შეიძლება შერჩეულ ფაქტორზე მუშაობის პროცესში გამოიყენოს. აქტივობის ამ ნაწილს დაუთმეთ, დაახლოებით, 5 წუთი.

მომდევნო აქტივობები (15 წუთი)

1. დაარიგეთ მესამე სამუშაო ფურცელი, *სკოლების შესაძლო სტრატეგიები სკოლის წარმატების განმსაზღვრელ ფაქტორებზე მუშაობისას*, და სთხოვეთ მონაწილეებს, გადახედონ წარმოდგენილ სიას. აუხსენით, რომ მესამე სამუშაო ფურცელში მოცემული სტრატეგიებით შეუძლიათ, შეავსონ ის სია, რომელიც რამდენიმე წუთის წინ თავად შეიმუშავეს. შემდეგ მიეცით 5 წუთი, რათა ინდივიდუალურად მოიფიქრონ, თუ რა ნაბიჯები უნდა გადადგას სკოლამ შერჩეულ აქტუალურ საკითხზე მუშაობისას. მონაწილეებს შეუძლიათ, იდეები მესამე სამუშაო ფურცელზე ჩამოწერონ.

2. შემდეგ კი, ჯგუფის მოდერატორებმა მომდევნო ნაბიჯების შესახებ უნდა წარმართონ დისკუსია და ძირითადი იდეები საპრეზენტაციო ფურცელზე გადაიტანონ.

დასკვნა (10 წუთი)

1. მონაწილეებთან ერთად, თავიდან გადახედეთ სემინარის მიზნებს და უპასუხეთ შეკითხვებს ამ სემინარზე განხილულ ფაქტორებთან ან მომდევნო სამუშაო სემინარებთან დაკავშირებით. მონაწილეებს მადლობა გადაუხადეთ სემინარში მონაწილეობის მიღებისთვის.

2. დაარიგეთ საკითხავი მასალა №2, „სკოლის წარმატების განმსაზღვრელი ფაქტორები". ურჩიეთ მონაწილეებს, წაიკითხონ სტატია სემინარის შემდეგ და გააანალიზონ ჯგუფში გაჩენილი იდეები.

3. საჭიროების შემთხვევაში, მონაწილეებს შესთავაზეთ დამატებითი სამუშაო სემინარის ჩატარება.

შენიშვნა ტრენერისთვის

მონაწილეებს შეახსენეთ, რომ მომდევნო ორი სემინარი მასნავლებლისა და მოსწავლის წარმატების განმსაზღვრელი ფაქტორების განხილვას დაეთმობა.

თავი II

მასწავლებლის წარმატების განმსაზღვრელი ფაქტორები

მეორე (ა) სამუშაო სემინარი, დაახლოებით, საათ-ნახევარი გრძელდება. ამ სემინარზე გამოიყენება ფილმის მეორე ნაწილი, *მასწავლებლის წარმატების განმსაზღვრელი ფაქტორები*. ფილმის ამ ნაწილიდან მონაწილეები გაეცნობიან იმ ფაქტორებს, რომლებიც მასწავლებლის კონტროლს ექვემდებარება და რომლებიც გავლენას ახდენენ მოსწავლის აკადემიურ მოსწრებაზე. ესენია:

- სწავლების მეთოდები;
- კლასის მართვის სტილი;
- გაკვეთილის დაგეგმვა.

სემინარის განმავლობაში მონაწილეები განიხილავენ 37 სხვადასხვა ასპექტს, რომელიც მასწავლებლის წარმატების განმსაზღვრელ ფაქტორებს უკავშირდება. ასევე, განიხილავენ სკოლების შესაძლო სტრატეგიებს ამ ფაქტორებზე მუშაობისათვის.

პირველი სამუშაო სემინარისთვის, ტრენერს შეუძლია, გამოიყენოს შემდეგი განრიგი, ან შეიტანოს მასში ცვლილებები, მონაწილეთა საჭიროებებისა და სემინარის მიზნების შესაბამისად.

განრიგი და აქტივობების ხანგრძლივობა

აქტივობა	**ხანგრძლივობა (წუთებში)**
გახსნა, წარდგენა	10
ფილმის წარდგენა	10
ფილმი, ნაწილი II, *მასწავლებლის წარმატების განმსაზღვრელი ფაქტორები*, ჩვენება	30
ანალიზი და დისკუსია	40
დასკვნა	5
სულ ხანგრძლივობა	95 წუთი

მეორე (ა) სამუშაო სემინარის მიზნები:

1. მონაწილეები გაეცნობიან მასწავლებლის წარმატების განმსაზღვრელ სამ ფაქტორს:
   - სწავლების მეთოდები;
   - კლასის მართვის სტილი;
   - გაკვეთილის დაგეგმვა.

2. განიხილავენ თითოეული ფაქტორის შემადგენელ კონკრეტულ ელემენტებს.
3. ჩამოაყალიბებენ სკოლების შესაძლო სტრატეგიებს ამ ფაქტორებზე მუშაობისათვის.

მეორე (ა) სამუშაო სემინარის მასალები

- სამუშაო ფურცელი №5: მასწავლებლის წარმატების განმსაზღვრელი ფაქტორები;
- სამუშაო ფურცელი №6: მასწავლებლის წარმატების განმსაზღვრელი ფაქტორების შემადგენელი ელემენტები;
- სამუშაო ფურცელი №7: სკოლების შესაძლო სტრატეგიები მასწავლებლის წარმატების განმსაზღვრელ ფაქტორებზე მუშაობისას;
- ელექტრონული საპრეზენტაციო პლაკატი №3: სემინარის მიზნები;
- საკითხავი მასალა №3: „მასწავლებლის წარმატების განმსაზღვრელი ფაქტორები", რობერტ ჯ. მარზანო.

შენიშვნა ტრენერისთვის

შეგიძლიათ, დაურიგოთ მონაწილეებს რამდენიმე სტატიის ასლი ამ სახელმძღვანელოს დამატებითი საკითხავი მასალისა და რესურსების ნანილიდან. აირჩიეთ ის მასალა, რომელიც ტრენინგის მონაწილეთა საჭიროებებსა და პრობლემებს შეესაბამება. შეგიძლიათ, საკითხავი მასალა სემინარის დასაწყისში, თემის გაცნობისას ან სემინარის ბოლოს, შეჯამების დროს დაარიგოთ.

უმჯობესია, მასალები ერთი საქაღალდით, ორგანიზებული სახით დაარიგოთ. სასურველია, საქაღალდეზე მიუთითოთ მონაწილეთა სახელები.

გახსნა და წარდგენა (10 წუთი)

1. მიესალმეთ მონაწილეებს. გაეცანით და აუხსენით თქვენი როლი. თქვენი, როგორც ტრენერის პასუხისმგებლობაა, სხვადასხვა აქტიუობის განხორციელებისას, მონაწილეებს სწორი, სემინარის სამუშაო მიზნების შესაბამისი მიმართულება მისცეთ.
2. ჯგუფის სიდიდისა და შემადგენლობის მიხედვით, გადაწყვიტეთ, საჭიროა თუ არა დამატებითი დროის გამოყოფა, რათა თითოეულმა მონაწილემ წარადგინოს თავი.
3. შეაჯამეთ სემინარის ამ ნაწილის ძირითადი ელემენტები. აუხსენით მონაწილეებს, რომ ფილმი, რომელსაც სემინარის ფარგლებში ნახავენ, სამნაწილიანი ვიდეოპროგრამის ნანილია და ოცდათხუთმეტწლიანი კვლევის შედეგებს ეფუძნება. პროგრამა მიზნად ისახავს, დაეხმაროს სკოლებს, რომელთაც მნიშვნელოვანი ცვლილებების განხორციელება სურთ. ამ სემინარის ფარგლებში ნაჩვენები ფილმი ეხება მასწავლებლის წარმატების განმსაზღვრელ ფაქტორებს, ხოლო შემდგომ სემინარებზე ნაჩვენები იქნება ფილმი, მოსწავლის წარმატების განმსაზღვრელი ფაქტორების შესახებ.

შენიშვნა ტრენერისთვის

შეგიძლიათ, გადაამრავლოთ საპრეზენტაციო პლაკატი და მონაწილეებს დაურიგოთ ან დაფაზე ჩამონეროთ სემინარის მიზნები.

ფილმის წარდგენა (10 წუთი)

1. წარმოადგინეთ ელექტრონული საპრეზენტაციო პლაკატი №3, მეორე (ა) სამუშაო სემინარის მიზნები და მონაწილეებს სამუშაო სემინარის ამოცანებზე ესაუბრეთ. უთხარით, რომ:

- **სამუშაო სემინარზე**

  1. **გაეცნობიან მასწავლებლის წარმატების განმსაზღვრელ სამ ფაქტორს, ესენია:**

     - **სწავლების მეთოდები;**
     - **კლასის მართვის სტილი;**
     - **გაკვეთილის დაგეგმვა.**

  2. **გამოავლენენ ამ სამი ფაქტორის შემადგენელ კონკრეტულ ელემენტებს.**

  3. **ჩამოაყალიბებენ სკოლების შესაძლო სტრატეგიებს ამ ფაქტორებზე მუშაობისათვის.**

2. დაურიგეთ მონაწილეებს მეხუთე სამუშაო ფურცლის ასლები, *მასწავლებლის წარმატების განმსაზღვრელი ფაქტორები.*

3. სთხოვეთ მონაწილეებს, გაეცნონ მეხუთე სამუშაო ფურცელზე მოცემულ სამივე ფაქტორს და უპასუხონ შემდეგ შეკითხვას:

   რას ნიშნავს ეს ფაქტორები ჩემთვის?

   მიეცით მონაწილეებს დრო, რათა თითოეული ფაქტორის განსაზღვრება ინდივიდუალურად ჩამონერონ.

ფილმის მეორე ნაწილის ჩვენება, *მასწავლებლის წარმატების განმსაზღვრელი ფაქტორები* (30 წუთი)

1. შესთავაზეთ მონაწილეებს, რომ მეხუთე სამუშაო ფურცელი ფილმის ჩვენების დროს ჩანაწერების გასაკეთებლად და კითხვების ჩასანიშნად გამოიყენონ.

2. აჩვენეთ ფილმის მეორე ნაწილი, *მასწავლებლის წარმატების განმსაზღვრელი ფაქტორები.*

ანალიზი და დისკუსია (40 წუთი)

1. ფილმის ჩვენების შემდეგ, სთხოვეთ მონაწილეებს, ჩახედონ მეხუთე სამუშაო ფურცელს, სადაც მათ ინდივიდუალურად ჩამონერეს თითოეული ფაქტორის განსაზღვრება. მომდევნო ხუთი წუთი მონაწილეებმა უნდა დაუთმონ განსაზღვრებების დახვეწასა და საბოლოო სახით ჩამოყალიბებას, ვიდეოფილმიდან მიღებული ინფორმაციის გამოყენებით.

2. მონაწილეები სამ მცირე ზომის ჯგუფად დაყავით. ერთი ჯგუფი იმუშავებს ერთ ფაქტორზე. *სწავლების მეთოდების* ჯგუ-

შენიშვნა ტრენერისთვის

სწავლების მეთოდების საკითხის განხილვისთვის, ერთზე მეტი ჯგუფის შექმნა იქნება საჭირო, ვინაიდან ამ ფაქტორის ქვეშ ბევრი ელემენტი ერწყმოდეს. შეემენით, სულ მცირე, სამი ქვეჯგუფი და გამოყოფილი ელემენტები თანაბრად გაანაწილეთ მათ შორის.

ფი დაყავით სამ ქვეჯგუფად (*იხ. შენიშვნა ტრენერისთვის*) და მათ შორის თანაბრად გადაანაწილეთ *სწავლების მეთოდებთან* დაკავშირებული მასალა. თითოეულმა ჯგუფმა უნდა აირჩიოს მომხსენებელი. დაარიგეთ მეექვსე სამუშაო ფურცელი, *მასწავლებლის წარმატების განმსაზღვრელი ფაქტორების შემადგენელი ელემენტები.* ჯგუფებმა უნდა განიხილონ ის ელემენტები, რომლებიც მათთვის გადაცემულ ფაქტორს შეესაბამება. სთხოვეთ მონაწილეებს, გაითვალისწინონ შემდეგი შეკითხვა:

რისი გაკეთება შეუძლია სკოლას, თუ ამ კონკრეტულ ფაქტორზე მუშაობს?

სასურველია, ჯგუფის მომხსენებელმა ჯგუფის წევრთა მიერ გამოთქმული მოსაზრებები ჩაინიშნოს, რათა მათ დეტალური პრეზენტაციის გაკეთება შეძლონ. აღნიშნულ აქტივობას დაუთმეთ 20 წუთი.

3. თითოეული ჯგუფის მომხსენებელს სთხოვეთ, წარმოადგინოს ჯგუფის მუშაობის შედეგები. მომხსენებელთა პრეზენტაციების დროს, ძირითადი საკითხები ჩაინიშნეთ დაფაზე ან კომპიუტერში. პრეზენტაციებს, დაახლოებით, 15 წუთი დაუთმეთ.

4. ბოლოს, დაარიგეთ მეშვიდე სამუშაო ფურცელი, *სკოლების შესაძლო სტრატეგიები მასწავლებლის წარმატების განმსაზღვრელ ფაქტორებზე მუშაობისას.* აუხსენით მონაწილეებს, რომ მეშვიდე სამუშაო ფურცელში მოცემული სტრატეგიების გაცნობის შემდეგ, მათ შეუძლიათ, შეავსონ და უფრო სრულყოფილი გახადონ ჯგუფებში შემუშავებული სტრატეგიების სია. გარდა ამისა, დაარიგეთ საკითხავი მასალა №3, *„მასწავლებლის წარმატების განმსაზღვრელი ფაქტორები"*, რობერტ ჯ. მარზანოს წიგნიდან *„რა განაპირობებს სკოლის ეფექტურობას"*. მონაწილეებს ურჩიეთ, სემინარის შემდეგ გაეცნონ საკითხავ მასალას და იფიქრონ, თუ როგორ გამოიყენებდნენ მოცემულ სტრატეგიებს პრაქტიკაში.

შენიშვნა ტრენერისთვის

ურჩიეთ მონაწილეებს, რომ სემინარის შემდეგაც განაგრძონ დისკუსია განხილული საკითხების გარშემო და შეადგინონ საქმიანობა.

დასკვნა (5 წუთი)

1. მონაწილეებთან ერთად, თავიდან გადახედეთ სემინარის მიზნებს და უპასუხეთ შეკითხვებს ამ სემინარზე განხილული ფაქტორების, ან მომდევნო სამუშაო სემინარების გარშემო. მონაწილეებს მადლობა გადაუხადეთ სემინარში მონაწილეობის მიღებისთვის.

2. ერთად მოუყარეთ თავი დაფაზე ან კომპიუტერში ჩანიშნულ კომენტარებს.

მეორე (ბ) სამუშაო სემინარი

მეორე (ბ) სამუშაო სემინარი, დაახლოებით, სამსაათ-ნახევარი მიმდინარეობს. ამ სემინარზე მონაწილეები გაეცნობიან იმ ფაქტორებს, რომლებიც ცალკეული მასწავლებლის კონტროლს ექვემდებარება და გავლენას ახდენს მოსწავლის აკადემიურ მოსწრებაზე. ესენია:

- სწავლების მეთოდები;
- კლასის მართვის სტილი;
- გაკვეთილის დაგეგმვა.

ამ სემინარზე გამოიყენება ფილმის მეორე ნაწილი, *მასწავლებლის წარმატების განმსაზღვრელი ფაქტორები*. მონაწილეები განიხილავენ მასწავლებლის წარმატების განმსაზღვრელი ფაქტორების შემადგენელ 37 კონკრეტულ ელემენტს. გარდა ამისა, მონაწილეები შეავსებენ კითხვარს, რომელიც, საკუთარი სკოლების მაგალითზე, მასწავლებლის წარმატების განმსაზღვრელი ფაქტორების გაანალიზებაში დაეხმარებათ. ასევე, განიხილავენ თავიანთი სკოლების სტრატეგიებსა და სამოქმედო გეგმებს. აღნიშნული სემინარი გამიზნულია მათთვის, ვინც დაინტერესებულია, უფრო დეტალურად გაეცნოს ,,ა გააანალიზოს კვლევის შედეგად გამოვლენილი, მასწავლებლის წარმატების განმსაზღვრელი ის ფაქტორები, რომლებიც მოსწავლის აკადემიური მოსწრების გაუმჯობესებას უწყობენ ხელს. ამ სემინარში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ სკოლის რეფორმებზე მომუშავე ჯგუფებს, კათედრებს ან სკოლის თანამშრომლებს, სხვადასხვა სამუშაო ჯგუფს, მშობლებისა და მასწავლებლების კავშირებს, ლიდერთა ჯგუფებსა და სამეურვეო საბჭოების წარმომადგენლებს.

სემინარზე გამოიყენება აქტივობები, რომლებიც განსაზღვრულია 10-100 მონაწილისათვის. თუ გსურთ, რომ სემინარი უფრო ნაკლები ხანგრძლივობის იყოს, შეგიძლიათ, გააუქმოთ აქტივობების ნაწილი.

განრიგი და აქტივობების ხანგრძლივობა

აქტივობა	ხანგრძლივობა (წუთებში)
გახსნა, წარდგენა	15
მოთელვითი აქტივობები	20
ფილმი, ნაწილი II, *მასწავლებლის წარმატების განმსაზღვრელი ფაქტორები*, ჩვენება	30
განსაზღვრებების დაზუსტება	15

დეტალები მასწავლებლის წარმატების განმსაზღვრელი ფაქტორების შესახებ	40
შესვენება	20
კითხვარის შევსება	45
მომდევნო აქტივობები	15
დასკვნა	10
სულ ხანგრძლივობა	3 საათი, 30 წუთი

მეორე (ბ) სამუშაო სემინარის მიზნები:

1. მონაწილეები გაეცნობიან სკოლის წარმატების განმსაზღვრელ სამ ფაქტორს. ესენია:
   - სწავლების მეთოდები;
   - კლასის მართვის სტილი;
   - გაკვეთილის დაგეგმვა.
2. განიხილავენ თითოეული ფაქტორის შემადგენელ ელემენტებს.
3. ჩამოაყალიბებენ სკოლების შესაძლო სტრატეგიებს მასწავლებლის წარმატების განმსაზღვრელ ფაქტორებზე მუშაობისას.
4. გამოავლენენ იმ სფეროებს, სადაც მათი სკოლა ყველაზე ნაკლებად წარმატებულია.
5. ჩამოაყალიბებენ სამოქმედო გეგმას, თავიანთი სკოლის პრიორიტეტის შესაბამისად.

მეორე (ბ) სამუშაო სემინარის მასალები

- სამუშაო ფურცელი №5: მასწავლებლის წარმატების განმსაზღვრელი ფაქტორები;
- სამუშაო ფურცელი №6: მასწავლებლის წარმატების განმსაზღვრელი ფაქტორების შემადგენელი ელემენტები;
- სამუშაო ფურცელი №7: სკოლების შესაძლო სტრატეგიები მასწავლებლის წარმატების განმსაზღვრელ ფაქტორებზე მუშაობისას;
- სამუშაო ფურცელი №8: კითხვარი მასწავლებლის წარმატების განმსაზღვრელი ფაქტორების შესახებ;
- ელექტრონული საპრეზენტაციო პლაკატი №4: სემინარის მიზნები;
- საკითხავი მასალა №1: „საუკეთესო დროის შესახებ", რობერტ ჯ. მარზანო;

- საკითხავი მასალა №3: „მასწავლებლის წარმატების განმსაზღვრელი ფაქტორები", რობერტ ჯ. მარზანო;
- დიდი ფორმატის ფურცლები.

გარდა ამისა, შეგიძლიათ, დაურიგოთ მონაწილეებს რამდენიმე სტატიის ასლი ამ სახელმძღვანელოს დამატებითი საკითხავი მასალის და რესურსების ნანილიდან. აირჩიეთ ის მასალა, რომელიც ტრენინგის მონაწილეთა საჭიროებებსა და პრობლემებს შეესაბამება. საკითხავი მასალა, შეგიძლიათ, სემინარის დასაწყისში, თემის გაცნობისას ან სემინარის ბოლოს, შეჯამების დროს დაარიგოთ.

შენიშვნა ტრენერისთვის

უმჯობესია, მასალები ერთი საქალალდით, ორგანიზებული სახით დაარიგოთ. სასურველია, საქალალდეზე მოუთითოთ მონაწილეთა სახელები.

გახსნა და წარდგენა (15 წუთი)

1. შემოსასვლელ კართან გააკარით დიდი ფურცელი, სადაც მონაწილეები თავიანთ სახელსა და გვარს, მისამართს, ტელეფონის ნომერსა და ელექტრონული ფოსტის მისამართს ჩაწერენ. ამ სიას მომავალშიც გამოიყენებთ, მონაწილეების სხვა სემინარებზე მოსაწვევად. ასევე, შეძლებთ, სემინარის ძირითადი ჩანაწერები, მოგეიანებით, ყველა მონაწილეს გაუგზავნოთ.
2. თუ მონაწილეები სხვადასხვა სკოლიდან არიან, ეცადეთ, ერთ მაგიდასთან ერთი და იმავე სკოლის წარმომადგენლები დასვათ.
3. მიესალმეთ მონაწილეებს. გაეცანით და აუხსენით თქვენი როლი. თქვენი პასუხისმგებლობაა, მონაწილეებს, სხვადასხვა აქტივობის განხორციელებისას, სწორი, სამუშაო სემინარის მიზნების შესაბამისი მიმართულება მისცეთ.
4. ჯგუფის სიდიდისა და შემადგენლობის მიხედვით, გადაწყვიტეთ, საჭიროა თუ არა დამატებითი დროის გამოყოფა, რათა თითოეულმა მონაწილემ წარადგინოს თავი. ასევე, შეგიძლიათ, სთხოვოთ მონაწილეებს, დაასახელონ სემინარში მონაწილეობით დაინტერესების მიზეზები.
5. წარმოადგინეთ მეოთხე საპრეზენტაციო პლაკატი, მეორე (ბ) სამუშაო სემინარის მიზნები, და მონაწილეებს სამუშაო სემინარის ამოცანებზე ესაუბრეთ. უთხარით, რომ:
   - **სამუშაოს სემინარზე**
     1. **გაეცნობიან მასწავლებლის წარმატების განმსაზღვრელ სამ ფაქტორს. ესენია:**
        - **სწავლების მეთოდები;**
        - **კლასის მართვის სტილი;**
        - **გაკვეთილის დაგეგმვა.**

შენიშვნა ტრენერისთვის

შეგიძლიათ, გადაამრავლოთ საპრეზენტაციო პლაკატი და დაურიგოთ მონაწილეებს, ან სემინარის მიზნები დაფაზე ჩამოწეროთ.

შენიშვნა ტრენერისთვის

ვინაიდან მონაწილეებმა თავიანთი სკოლის მაგალითზე უნდა განიხილონ მასწავლებლის წარმატების განმსაზღვრელი ფაქტორები, უმჯობესია, თუ ერთი და იმავე სკოლის წარმომადგენლებს სთხოვთ, ერთ მაგიდასთან დასხდნენ.

შენიშვნა ტრენერისთვის

თუ სემინარს ესწრებიან ისეთი მონაწილეები, რომლებიც მონაწილეობდნენ 1ა ან 1ბ სემინარებში, რომლებიც სკოლის წარმატების განმსაზღვრელ ფაქტორებს ეთმობოდა, ეცადეთ, შესავალში ისეთი კომენტარები გააკეთოთ, რომლებიც მათ საბაზისო ცოდნას შეესაბამება.

შენიშვნა ტრენერისთვის

შეგიძლიათ, საკითხავი მასალის ასლები წინასწარ დაურიგოთ მონაწილეებს.

2. **გამოავლენენ ამ სამი ფაქტორის შემადგენელ კონკრეტულ ელემენტებს.**
3. **ჩამოაყალიბებენ სკოლების შესაძლო სტრატეგიებს ამ ფაქტორებზე მუშაობისას.**
4. **გამოავლენენ იმ სფეროებს, სადაც მათი სკოლა ყველაზე ნაკლებად წარმატებულია.**
5. **ჩამოაყალიბებენ სამოქმედო გეგმას თავიანთი სკოლის პრიორიტეტების შესაბამისად.**

მონაწილეებს გაუმეორეთ, რომ ამ სემინარის ფარგლებში, თავიანთი სკოლების მაგალითზე განიხილავენ მასწავლებლის წარმატების განმსაზღვრელ ფაქტორებს, ხოლო სხვა სემინარები სკოლისა და მოსწავლის წარმატების განმსაზღვრელი ფაქტორების განხილვას ეთმობა.

მოთელვითი აქტივობები (20 წუთი)

1. გააცანით მონაწილეებს ბოლო 35 წლის მანძილზე ჩატარებული კვლევების ზოგადი მიმოხილვა. გამოიყენეთ წინამდებარე სახელმძღვანელოს შესავალსა და პირველ საკითხავ მასალაში მოცემული ინფორმაცია.
2. დაარიგეთ მეხუთე სამუშაო ფურცელი, *მასწავლებლის წარმატების განმსაზღვრელი ფაქტორები*. მონაწილეებს დაავალეთ, განიხილონ მეხუთე სამუშაო ფურცელში წარმოდგენილი ფაქტორები და დაუსვით მათ შემდეგი შეკითხვა:

   რას ნიშნავს ეს ფაქტორები თქვენთვის?

   მიეცით მონაწილეებს, დაახლოებით, 5 წუთი, რათა თითოეული ფაქტორის განსაზღვრება ინდივიდუალურად ჩამოწერონ.
3. მას შემდეგ, რაც მონაწილეები ჩამოწერენ განსაზღვრებებს, სთხოვეთ, ერთმანეთს გაუზიარონ ისინი. მთლიანი ჯგუფის წინაშე მოიწვიეთ რამდენიმე მოხალისე მონაწილე, რომელიც მთელ ჯგუფს გააცნობს გუნდურ ნამუშევარს. ამ აქტივობას დაუთმეთ 10 წუთი.
4. მიეცით მონაწილეებს რამდენიმე წუთი იმისათვის, რომ მასწავლებლის წარმატების განმსაზღვრელ ფაქტორებთან დაკავშირებული შეკითხვები მეხუთე სამუშაო ფურცელზე ჩამოწერონ.

ფილმის მეორე ნაწილის ჩვენება, *მასწავლებლის წარმატების განმსაზღვრელი ფაქტორები* (30 წუთი)

1. შესთავაზეთ მონაწილეებს, რომ მეხუთე სამუშაო ფურცელი ფილმის ჩვენების დროს ჩანაწერების გასაკეთებლად და კითხვების ჩასანიშნად გამოიყენონ.

2. აჩვენეთ ფილმის მეორე ნაწილი, *მასწავლებლის წარმატების განმსაზღვრელი ფაქტორები.*

განსაზღვრებების დაზუსტება (15 წუთი)

1. ფილმის ჩვენების შემდეგ, სთხოვეთ მონაწილეებს, ჩახედონ მეხუთე სამუშაო ფურცელს, სადაც ინდივიდუალურად ჩამოწერეს თითოეული ფაქტორის განსაზღვრება. მომდევნო ხუთი წუთი მონაწილეებმა უნდა დაუთმონ განსაზღვრებების დახვეწასა და მათი საბოლოო სახით ჩამოყალიბებას, ვიდეოფილმიდან მიღებული ინფორმაციის გამოყენებით.

2. მას შემდეგ, რაც მონაწილეები განსაზღვრებების საბოლოო ვარიანტს შეიმუშავებენ, ყოველმა მათგანმა საბოლოო ვერსია მის გვერდით მჯდომ მონაწილეს უნდა გაუზიაროს. აქტიურობის ამ ნაწილს დაუთმეთ 5 წუთი.

3. და ბოლოს, მოიწვიეთ რამდენიმე მოხალისე, რომელიც შედეგებს მთლიან ჯგუფს გაუზიარებს. ჩაინიშნეთ რამდენიმე განსაზღვრება კომპიუტერში და წარმოადგინეთ პროექტორის მეშვეობით ან დაფაზე. აქტივობის ამ ნაწილს დაუთმეთ, დაახლოებით, 5 წუთი.

დეტალები მასწავლებლის წარმატების განმსაზღვრელი ფაქტორების შესახებ (40 წუთი)

1. დაყავით მონაწილეები სამ მცირე ზომის ჯგუფად, თითოეული ფაქტორის შესაბამისად. *სწავლების მეთოდების* ჯგუფი დაყავით სამ ქვეჯგუფად (*იხ. შენიშვნა ტრენერისთვის)* და მათ შორის თანაბრად გადაანაწილეთ აღნიშნულ ფაქტორზე არსებული მასალა. თითოეულმა ჯგუფმა უნდა აირჩიოს მომხსენებელი. დაარიგეთ მეექვსე სამუშაო ფურცელი, *მასწავლებლის წარმატების განმსაზღვრელი ფაქტორების შემადგენელი ელემენტები.* ჯგუფებმა უნდა განიხილონ ის ელემენტები, რომლებიც მათთვის გადაცემულ ფაქტორს შეესაბამება. სთხოვეთ მონაწილეებს, განხილვისას შემდეგი შეკითხვა გაითვალისწინონ:

შენიშვნა ტრენერისთვის

სასწავლო მეთოდების განხილვისთვის, ერთზე მეტი ჯგუფის შექმნა იქნება საჭირო, ვინაიდან ამ ფაქტორის ქვეშ ძალიან ბევრი ელემენტი ერთიანდება. შექმენით, სულ მცირე, სამი ქვეჯგუფი და განსახილველი ელემენტები თანაბრად გაანაწილეთ მათ შორის.

რისი გაკეთება შეუძლია სკოლას, თუ ამ კონკრეტულ ფაქტორზე მუშაობს?

სასურველია, მონაწილეებმა ჯგუფის წევრთა შორის გამოთქმული მოსაზრებები ჩაინიშნონ. აქტივობის ამ ნაწილს დაუთმეთ 20 წუთი.

2. მასწავლებლის წარმატების განმსაზღვრელი ფაქტორების გარშემო გამოთქმული მოსაზრებების გამოყენებით, გააკეთებინეთ ჯგუფებს საპრეზენტაციო პლაკატი. პრეზენტაციები უნდა წარმოადგინონ შემდეგი ფორმატით:
   - მასწავლებლის წარმატების განმსაზღვრელი ფაქტორის დასახელება;
   - ამ ფაქტორის შემადგენელი ელემენტების მოკლე რეზიუმე;
   - მოცემულ ფაქტორზე მუშაობის შესაძლო სტრატეგიები.
3. დაამაგრეთ თითოეული პლაკატი კედელზე. სთხოვეთ მონაწილეებს, დაათვალიერონ ოთახში გაკრული საპრეზენტაციო პლაკატები. ჯგუფის მომხსენებლები შესაბამის პლაკატებთან დადგებიან, რათა სხვა ჯგუფის მონაწილეების შეკითხვებს უპასუხონ. მონაწილეებს შეუძლიათ, საკუთარი მოსაზრებების მიხედვით შეავსონ პრეზენტაციის მესამე პუნქტი, სტრატეგიების სია. აქტივობის ამ ნაწილს დაუთმეთ, დაახლოებით, 10 წუთი.
4. სთხოვეთ თითოეული ჯგუფის მომხსენებელს, ისაუბრონ მონაწილეთა რეაქციებზე და მათ კომენტარებზე, სტრატეგიების შესახებ. აქტივობის ამ ნაწილს დაუთმეთ, დაახლოებით, 15 წუთი.

შესვენება (20 წუთი)

კითხვარის შევსება (45 წუთი)

შენიშვნა ტრენერისთვის

გაითვალისწინეთ, რომ ამ სემინარზე ჯერ მერვე სამუშაო ფურცელი გამოიყენება და შემდეგ - მეშვიდე. კითხვარი (სამუშაო ფურცელი 8) განთავსებულია შემდეგ ვებ-გვერდზე www.whatworksinschools.org

1. დაარიგეთ მერვე სამუშაო ფურცელი, *კითხვარი მასწავლებლის წარმატების განმსაზღვრელი ფაქტორების შესახებ*. მომდევნო 15 წუთის განმავლობაში მონაწილეებმა ინდივიდუალურად, საკუთარი გამოცდილების მიხედვით უნდა შეავსონ კითხვარი.
2. შემდეგ თითოეულ ჯგუფს სთხოვეთ, აირჩიონ ერთი ადამიანი, რომელიც ჩანაწერებს გააკეთებს, ერთი წევრი, რომელიც შედეგებს დაითვლის და ერთი წევრი, რომელიც მოდერატორის როლს შეასრულებს. ჯგუფის იმ წევრებს, რომელთაც შედეგების დათვლა ევალებათ, სთხოვენ, დროულად აარიფონ კითხვარები მონაწილეებისგან და დათვალონ შედეგები. ჯგუფის წევრი, რომელსაც ჩანაწერების გაკეთება ევალება, პასუხების

მოკლე რეზიუმეს, ცხრილის სახით, ცალკე ფურცელზე წარმოადგენს. აქტივობის ამ ნაწილს დაუთმეთ 10 წუთი.

3. მომდევნო 5 წუთი მონაწილეებმა უნდა დაუთმონ პასუხების გაანალიზებას, სიტყვიერი კომენტარისა და დისკუსიის გარეშე. მონაწილეებმა, შედეგებზე დაყრდნობით, ინდივიდუალურად უნდა ჩამოწერონ, მათი აზრით, რომელ ფაქტორზე უნდა იმუშაოს სკოლამ ყველაზე აქტიურად.

4. მას შემდეგ, რაც მონაწილეები ინდივიდუალურად გასცემენ ყველა შეკითხვას პასუხს, ჯგუფის მოდერატორებს სთხოვეთ, წარმართონ დისკუსია მასწავლებლის წარმატების განმსაზღვრელ იმ ფაქტორებზე, რომლებიც ყველაზე მეტ ყურადღებას მოითხოვს მათ სკოლაში და გამოავლინონ ერთი, ყველაზე აქტუალური ფაქტორი. როცა ჯგუფი კონსენსუსს მიაღწევს, წევრი, რომელსაც ჩანაწერების გაკეთება ევალება, ამ ფაქტორს საპრეზენტაციო ფურცელზე წარმოადგენს. აქტივობის ამ ნაწილს დაუთმეთ, დაახლოებით, 10 წუთი.

მომდევნო აქტივობები (15 წუთი)

1. დაარიგეთ მეშვიდე სამუშაო ფურცელი, *სკოლების შესაძლო სტრატეგიები მასწავლებლის წარმატების განმსაზღვრელ ფაქტორებზე მუშაობისას*, და მონაწილეებს სთხოვეთ, გადახედონ წარმოდგენილ სიას. აუხსენით, რომ მეშვიდე სამუშაო ფურცელში მოცემული სტრატეგიებით შეუძლიათ, შეავსონ ის სია, რომელიც რამდენიმე წუთის წინ თავად შეიმუშავეს. შემდეგ მიეცით მონაწილეებს 5 წუთი, რათა ინდივიდუალურად მოიფიქრონ, თუ რა შემდგომი ნაბიჯები უნდა გადადგას სკოლამ შერჩეულ, ყველაზე აქტუალურ საკითხზე მუშაობისას. მონაწილეებმა იდეები მეშვიდე სამუშაო ფურცელზე უნდა ჩამოწერონ.

2. შემდეგ კი ჯგუფის მოდერატორებმა მომდევნო აქტივობების შესახებ უნდა წარმართონ დისკუსია და მთავარი იდეები საპრეზენტაციო ფურცელზე გადაიტანონ.

3. თითოეული ჯგუფიდან მოიწვიეთ მოხალისე მონაწილე, რომელიც ისაუბრებს, რა ახალი ინფორმაცია მიიღო სემინარზე და რას გამოიყენებს პრაქტიკაში.

დასკვნა (10 წუთი)

1. მონაწილეებთან ერთად, თავიდან გადახედეთ სემინარის მიზნებს და უპასუხეთ შეკითხვებს ამ სემინარზე განხილული ფაქტორებისა ან მომდევნო სამუშაო სემინარების გარშემო. მონაწილეებს მადლობა გადაუხადეთ სემინარში მონაწილეო-

შენიშვნა ტრენერისთვის

თითოეული მონაწილისთვის გააკეთეთ კითხვარის ორი ასლი, ერთი შავი სამუშაოსთვის და მეორე - გადასათეთრებლად. ამით მონაწილეებს საშუალება ექნებათ, დაიცვან ანონიმურობა. შემდეგი აქტივობისთვის მონაწილეებს დაურიგეთ სამი ან ოთხი სუფთა ფურცელი.

შენიშვნა ტრენერისთვის

ჰეკიხენით მონაწილეებს, რომ ამ პროგრამის პირველი და მეორე სემინარი ითვლება სკოლისა და მოსწავლის ნარმატების განმსაზღვრელი ფაქტორების განხილვას.

ბის მიღებისთვის.

2. საჭიროების შემთხვევაში, შესთავაზეთ მონაწილეებს დამატებითი სამუშაო სემინარის ჩატარება ამავე საკითხზე.

ფილიმი

მოსწავლის წარმატების განმსაზღვრელი ფაქტორები

მესამე (ა) სამუშაო სემინარი

მესამე (ა) სამუშაო სემინარი, დაახლოებით, საათ-ნახევარი გრძელდება. ამ სემინარზე გამოიყენება ფილმის მესამე ნაწილი, *მოსწავლის წარმატების განმსაზღვრელი ფაქტორები*. მონაწილეები გაეცნობიან იმ ფაქტორებს, რომლებიც მოსწავლის სოციალური ფონით განისაზღვრება. ესენია:

- ოჯახური გარემო;
- შეძენილი ინტელექტი და საბაზისო ცოდნა;
- მოსწავლის მოტივაცია.

სემინარის განმავლობაში მონაწილეები განიხილავენ მოსწავლის წარმატების განმსაზღვრელი ფაქტორების შემადგენელ რვა კონკრეტულ ელემენტს. ასევე, განიხილავენ სკოლების შესაძლო სტრატეგიებს ამ ფაქტორებზე მუშაობისას.

პირველი სამუშაო სემინარისთვის, ტრენერს შეუძლია, გამოიყენოს შემდეგი განრიგი, ან მასში შეიტანოს ცვლილებები, მონაწილეთა საჭიროებებისა და სემინარის მიზნების შესაბამისად.

განრიგი და აქტივობების ხანგრძლივობა

აქტივობა	ხანგრძლივობა (წუთებში)
გახსნა, წარდგენა	10
ფილმის წარდგენა	10
ფილმი, ნაწილი III, *მოსწავლის წარმატების განმსაზღვრელი ფაქტორები*, ჩვენება	30
ანალიზი და დისკუსია	40
დასკვნა	5
სულ ხანგრძლივობა	95 წუთი

მესამე (ა) სამუშაო სემინარის მიზნები:

1. მონაწილეები გაეცნობიან მოსწავლის წარმატების განმსაზღვრელ სამ ფაქტორს:
   - ოჯახური გარემო;
   - შეძენილი ინტელექტი და საბაზისო ცოდნა;
   - მოსწავლის მოტივაცია.
2. განიხილავენ თითოეული ფაქტორის შემადგენელ კონკრეტულ ელემენტებს.

3. ჩამოაყალიბებენ სკოლების შესაძლო სტრატეგიებს ამ ფაქტორებზე მუშაობისას.

შენიშვნა ტრენერისთვის

შეგიძლიათ, მონაწილეებს დაურიგოთ რამდენიმე სტატიის ასლი ამ სახელმძღვანელოს დამატებითი საკითხავი მასალებისა და რესურსების ნაწილიდან. აირჩიეთ ის მასალა, რომელიც მონაწილეების საჭიროებებსა და პრობლემებს შეესაბამება. საკითხავი მასალა, შეგიძლიათ, სემინარის დასაწყისში, თემის გაცნობისას, ან სემინარის ბოლოს, შეჯამების დროს დაარიგოთ.

უმჯობესია, მასალები ერთი საქაღალდით, ორგანიზებულად დაარიგოთ. სასურველია, საქაღალდეზე მიუთითოთ მონაწილეთა სახელები.

მესამე (ა) სამუშაო სემინარის მასალები

- სამუშაო ფურცელი №9: მოსწავლის წარმატების განმსაზღვრელი ფაქტორები;
- სამუშაო ფურცელი №10: მოსწავლის წარმატების განმსაზღვრელი ფაქტორების შემადგენელი ელემენტები;
- სამუშაო ფურცელი №11: სკოლების შესაძლო სტრატეგიები მოსწავლის წარმატების განმსაზღვრელ ფაქტორებზე მუშაობისას;
- ელექტრონული საპრეზენტაციო პლაკატი №5: სემინარის მიზნები;
- საკითხავი მასალა №4: „მოსწავლის წარმატების განმსაზღვრელი ფაქტორები", რობერტ ჯ. მარზანო.

გახსნა და წარდგენა (10 წუთი)

1. მიესალმეთ მონაწილეებს, გაეცანით და აუხსენით თქვენი როლი. თქვენი, როგორც ტრენერის პასუხისმგებლობაა, სხვადასხვა აქტივობების განხორციელებისას, მონაწილეებს სწორი, სამუშაო სემინარის მიზნების შესაბამისი მიმართულება მისცეთ.
2. ჯგუფის სიდიდისა და შემადგენლობის მიხედვით, გადაწყვიტეთ, საჭიროა თუ არა დამატებითი დროის გამოყოფა, რათა თითოეულმა მონაწილემ საკუთარი თავი წარადგინოს.
3. შეაჯამეთ სემინარის ამ ნაწილის მთავარი ელემენტები. მონაწილეებს აუხსენით, რომ ფილმი, რომელსაც ამ სემინარის ფარგლებში ნახავენ, სამნაწილიანი ვიდეოპროგრამის ნაწილია და ოცდათხუთმეტწლიანი კვლევის შედეგებს ეფუძნება. პროგრამა მიზნად ისახავს, დაეხმაროს სკოლებს, რომელთაც არსებითი ცვლილებების განხორციელება სურთ. ამ სემინარის ფარგლებში ნაჩვენები ფილმი ეთმობა მოსწავლის წარმატების განმსაზღვრელ ფაქტორებს, ხოლო სხვა სემინარებზე ნაჩვენები იყო ფილმები, მასწავლებლისა და სკოლის წარმატების განმსაზღვრელი ფაქტორების შესახებ.

ფილმის წარდგენა (10 წუთი)

1. წარმოადგინეთ საპრეზენტაციო პლაკატი №5, მესამე (ა) სამუშაო სემინარის მიზნები, და მონაწილეებს სამუშაო სემინარის ამოცანებზე ესაუბრეთ. უთხარით, რომ:

- **სამუშაო სემინარზე**
    1. **გაეცნობიან მოსწავლის წარმატების განმსაზღვრელ სამ ფაქტორს:**
        - **ოჯახური გარემო;**
        - **შეძენილი ინტელექტი და საბაზისო ცოდნა;**
        - **მოსწავლის მოტივაცია.**
    2. **გამოავლენენ ამ სამი ფაქტორის შემადგენელ კონკრეტულ ელემენტებს.**
    3. **ჩამოაყალიბებენ სკოლების შესაძლო სტრატეგიებს ამ ფაქტორებზე მუშაობისას.**

2. დაურიგეთ მონაწილეებს მეცხრე სამუშაო ფურცლის ასლები, *მოსწავლის წარმატების განმსაზღვრელი ფაქტორები.*

3. სთხოვეთ მონაწილეებს, გაეცნონ მეცხრე სამუშაო ფურცელზე მოცემულ, მოსწავლის წარმატების განმსაზღვრელ სამივე ფაქტორს და უპასუხონ შემდეგ შეკითხვას:

    რას ნიშნავს ეს ფაქტორები ჩემთვის?

    მიეცით მონაწილეებს დრო, რათა თითოეული ფაქტორის განსაზღვრება ინდივიდუალურად ჩამოწერონ.

4. გაარკვიეთ, მონაწილეების აზრით, რამდენად შეუძლია სკოლას, გაელენა იქონიოს მოსწავლის წარმატების განმსაზღვრელ ფაქტორებზე.

შენიშვნა ტრენერისთვის

შეგიძლიათ, საპრეზენტაციო პლაკატი გადაამრავლოთ და მონაწილეებს დაურიგოთ, ან სემინარის მიზნები დაფაზე ჩამონეროთ.

ფილმის მესამე ნაწილის ჩვენება, *მოსწავლის წარმატების განმსაზღვრელი ფაქტორები* (30 წუთი)

1. შესთავაზეთ მონაწილეებს, რომ მეცხრე სამუშაო ფურცელი ფილმის ჩვენების დროს ჩანაწერების გასაკეთებლად და კითხვების ჩასანიშნად გამოიყენონ.

2. აჩვენეთ ფილმის მესამე ნაწილი, *მოსწავლის წარმატების განმსაზღვრელი ფაქტორები.*

ანალიზი და დისკუსია (40 წუთი)

1. ფილმის ჩვენების შემდეგ, სთხოვეთ მონაწილეებს, ჩახედონ მეცხრე სამუშაო ფურცელს, სადაც მათ ინდივიდუალურად ჩამონერეს თითოეული ფაქტორის განსაზღვრება. მომდევნო ხუთი წუთი მონაწილეებმა უნდა დაუთმონ განსაზღვრებების

დახვეწასა და საბოლოო სახით ჩამოყალიბებას, ფილმიდან მიღებული ინფორმაციის გამოყენებით. ფილმის ჩვენების შემდეგ, კიდევ ერთხელ სთხოვეთ, იფიქრონ შემდეგ შეკითხვაზე:

რისი გაკეთება შეუძლია სკოლას, თუ ამ კონკრეტულ ფაქტორზე მუშაობს?

2. დაყავით მონაწილეები სამ მცირე ზომის ჯგუფად. თითო ფაქტორზე იმუშავებს ერთი ჯგუფი. თითოეულმა ჯგუფმა უნდა აირჩიოს მომხსენებელი. დაარიგეთ მეათე სამუშაო ფურცელი, *მოსწავლის წარმატების განმსაზღვრელი ფაქტორების შემადგენელი ელემენტები*. ჯგუფებმა უნდა განიხილონ ის ელემენტები, რომლებიც მათთვის გამოყოფილ ფაქტორს შეესაბამება. სთხოვეთ მონაწილეებს, განხილვისას შემდეგი შეკითხვები გაითვალისწინონ:

   - *რამდენად შეუძლია სკოლას, გავლენა იქონიოს მოსწავლის წარმატების განმსაზღვრელი ფაქტორის შემადგენელ ამ ელემენტზე?*
   - *რისი გაკეთება შეუძლია სკოლას, თუ ამ კონკრეტულ ფაქტორზე მუშაობს?*

   სასურველია, ჯგუფის მომხსენებელმა ჩაინიშნოს ჯგუფის წევრთა მიერ გამოთქმული მოსაზრებები, რათა გაუადვილდეს პრეზენტაციის გაკეთება. აღნიშნულ აქტივობას დაუთმეთ 20 წუთი.

3. სთხოვეთ, თითოეული ჯგუფის მომხსენებელს, წარმოადგინონ ჯგუფის მუშაობის შედეგები. მომხსენებელთა პრეზენტაციების დროს, ძირითადი საკითხები ჩაინიშნეთ დაფაზე ან კომპიუტერში, რომელიც პროექტორის მეშვეობით გამოჩნდება ეკრანზე. პრეზენტაციებს დაუთმეთ, დაახლოებით, 15 წუთი.

4. ბოლოს, დაარიგეთ მეთერთმეტე სამუშაო ფურცელი, სკოლების შესაძლო სტრატეგიები მოსწავლის წარმატების განმსაზღვრელ ფაქტორებზე მუშაობისას. აუხსენით მონაწილეებს, რომ მეთერთმეტე სამუშაო ფურცელში მოცემული სტრატეგიების გაცნობის შემდეგ, მათ შეუძლიათ, შეავსონ და უფრო სრულყოფილი გახადონ წინა აქტივობის დროს ჯგუფებში შემუშავებული სტრატეგიების სია. გარდა ამისა, დაარიგეთ საკითხავი მასალა №4, „მოსწავლის წარმატების განმსაზღვრელი ფაქტორები", რობერტ ჯ. მარზანოს წიგნიდან „რა განაპირობებს სკოლის ეფექტურობას". ურჩიეთ მონაწილეებს, სემინარის შემდეგ გაეცნონ საკითხავ მასალას და იფიქრონ, თუ როგორ გამოიყენებდნენ მოცემულ სტრატეგიებს პრაქტიკაში.

დასკვნა (5 წუთი)

1. მონაწილეებთან ერთად, თავიდან გადახედეთ სემინარის მიზნებს და უპასუხეთ შეკითხვებს ამ სემინარზე განხილული ფაქტორების, ან მომდევნო სამუშაო სემინარების გარშემო. მონაწილეებს მადლობა გადაუხადეთ სემინარში მონაწილეობის მიღებისთვის.

2. ერთად მოუყარეთ თავი დაფაზე ან კომპიუტერში ჩანიშნულ კომენტარებს.

შენიშვნა ტრენერისთვის

ურჩიეთ მონაწილეებს, სემინარის შემდეგაც განაგრძონ დისკუსია განხილული საკითხების გარშემო და შეადგინონ სამოქმედო გეგმები.

მესამე (ბ) სამუშაო სემინარი

მესამე (ბ) სამუშაო სემინარი 3ბ, დაახლოებით, სამსაათ-ნახევარი გრძელდება. სემინარზე მონაწილეები გაეცნობიან იმ ფაქტორებს, რომლებიც მოსწავლის სოციალური ფონით განისაზღვრება. ესენია:

- ოჯახური გარემო;
- შეძენილი ინტელექტი და საბაზისო ცოდნა;
- მოსწავლის მოტივაცია.

ამ სემინარზე გამოიყენება ფილმის მესამე ნაწილი, *მოსწავლის წარმატების განმსაზღვრელი ფაქტორები*. მონაწილეები განიხილავენ მოსწავლის წარმატების განმსაზღვრელი ფაქტორების შემადგენელ რვა კონკრეტულ ელემენტს. გარდა ამისა, შეაესებენ კითხვარს, რომელიც, თავიანთი სკოლების მაგალითზე, მოსწავლის წარმატების განმსაზღვრელი ფაქტორების გაანალიზებაში დაეხმარებათ. მონაწილეები, ასევე, განიხილავენ თავიანთი სკოლების სტრატეგიებსა და სამოქმედო გეგმებს. აღნიშნული სემინარი გამიზნულია მათთვის, ვინც დაინტერესებულია, უფრო დეტალურად გაეცნოს და გააანალიზოს კვლევის შედეგად გამოვლენილი, მოსწავლის წარმატების განმსაზღვრელი ფაქტორები, რომლებიც მოსწავლის აკადემიური მოსწრების გაუმჯობესებას უწყობენ ხელს. ამ სემინარში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ სკოლის რეფორმებზე მომუშავე ჯგუფებს, კათედრებს ან სკოლის თანამშრომლებს, სხვადასხვა სამუშაო ჯგუფს, მშობლებისა და მასწავლებლების კავშირებს, ლიდერთა ჯგუფებსა და სამეურვეო საბჭოების წარმომადგენლებს.

სემინარზე გამოიყენება აქტივობები, რომლებიც განსაზღვრულია 10-100 მონაწილისთვის. თუ გსურთ, რომ სემინარი უფრო ნაკლები ხანგრძლივობის იყოს, შეგიძლიათ, გააუქმოთ აქტივობების ნაწილი.

განრიგი და აქტივობების ხანგრძლივობა

აქტივობა	ხანგრძლივობა (წუთებში)
გახსნა, წარდგენა	15
მოთელვითი აქტივობები	30
ფილმი, ნაწილი III, *მოსწავლის წარმატების განმსაზღვრელი ფაქტორები*, ჩვენება	30
განსაზღვრებების დაზუსტება	15
დეტალები მოსწავლის წარმატების განმსაზღვრელი ფაქტორების შესახებ	35
შესვენება	20
კითხვარის შევსება	45

მომდევნო აქტივობები	15
დასკვნა	10
სულ ხანგრძლივობა	3 საათი, 35 წუთი

მესამე (ბ) სამუშაო სემინარის მიზნები:

1. მონაწილეები გაეცნობიან მოსწავლის წარმატების განმსაზღვრელ სამ ფაქტორს:
   - ოჯახური გარემო;
   - შეძენილი ინტელექტი და საბაზისო ცოდნა;
   - მოსწავლის მოტივაცია.
2. განიხილავენ თითოეული ფაქტორის შემადგენელ კონკრეტულ ელემენტებს.
3. ჩამოაყალიბებენ სკოლების შესაძლო სტრატეგიებს მასწავლებლის წარმატების განმსაზღვრელ ფაქტორებზე მუშაობისას.
4. გამოავლენენ იმ სფეროებს, სადაც მათი სკოლა ყველაზე ნაკლებად წარმატებულია.
5. ჩამოაყალიბებენ სამოქმედო გეგმას თავიანთი სკოლის პრიორიტეტის შესაბამისად.

მესამე (ბ) სამუშაო სემინარის მასალები

- სამუშაო ფურცელი №9: მოსწავლის წარმატების განმსაზღვრელი ფაქტორები;
- სამუშაო ფურცელი №10: მოსწავლის წარმატების განმსაზღვრელი ფაქტორების შემადგენელი ელემენტები;
- სამუშაო ფურცელი №11: სკოლების შესაძლო სტრატეგიები მოსწავლის წარმატების განმსაზღვრელ ფაქტორებზე მუშაობისას;
- სამუშაო ფურცელი №12: კითხვარი მოსწავლის წარმატების განმსაზღვრელი ფაქტორების შესახებ;
- ელექტრონული სპრეზენტაციო პლაკატი №6: სემინარის მიზნები;
- საკითხავი მასალა №1: „საუკეთესო დროის შესახებ", რობერტ ჯ. მარზანო;
- საკითხავი მასალა №4: „მოსწავლის წარმატების განმსაზღვრელი ფაქტორები", რობერტ ჯ. მარზანო;
- დიდი ფორმატის ფურცლები.

შენიშვნა ტრენერისთვის

შეგიძლიათ, მონაწილეებს დაურიგოთ რამდენიმე სტატიის ასლი ამ სახელმძღვანელოს დამატებითი საკითხავი მასალისა და რესურსების ნაწილიდან. აირჩიეთ ის მასალა, რომელიც თქვენი ტრენინგის მონაწილეების საჭიროებებსა და პრობლემებს შეესაბამება. საკითხავი მასალა, შეგიძლიათ, სემინარის დასაწყისში, თემის გაცნობისას ან სემინარის ბოლოს, შეჯამების დროს დაარიგოთ.

უმჯობესია, მასალები ერთი საქაღალდით, ორგანიზებული სახით დაარიგოთ. სასურველია, საქაღალდეზე მიუთითოთ მონაწილეთა სახელები.

გახსნა და წარდგენა (15 წუთი)

1. შემოსასვლელ კართან გააკარით დიდი ფორმატის ფურცელი, სადაც მონაწილეები დაწერენ თავიანთ სახელსა და გვარს, მისამართს, ტელეფონის ნომერსა და ელექტრონული ფოსტის მისამართს. ამ სიას მომავალშიც გამოიყენებთ, მონაწილეების სხვა სემინარებზე მოსაწვევად. ასევე, შეძლებთ, სემინარის ძირითადი ჩანაწერები, მოგვიანებით, ყველა მონაწილეს გაუგზავნოთ.

2. თუ მონაწილეები სხვადასხვა სკოლიდან არიან, ეცადეთ, ერთ მაგიდასთან ერთი და იმავე სკოლის წარმომადგენლები დასვათ.

3. მიესალმეთ მონაწილეებს, გაეცანით და აუხსენით თქვენი როლი. თქვენი პასუხისმგებლობაა, სხვადასხვა აქტივობების განხორციელებისას, მონაწილეებს სწორი, სამუშაო სემინარის მიზნების შესაბამისი მიმართულება მისცეთ.

4. ჯგუფის სიდიდისა და შემადგენლობის მიხედვით, გადაწყვიტეთ, საჭიროა თუ არა დამატებითი დროის გამოყოფა, რათა თითოეულმა მონაწილემ წარადგინოს თავი. ასევე, შეგიძლიათ, სთხოვოთ, ისაუბრონ, რატომ გადაწყვიტეს სემინარში მონაწილეობა.

5. წარმოადგინეთ მეექვსე საპრეზენტაციო პლაკატი, მესამე (ბ) სამუშაო სემინარის მიზნები და მონაწილეებს სამუშაო სემინარის ამოცანებზე ესაუბრეთ. უთხარით, რომ:

   - **სამუშაოს სემინარზე**

     1. **გაეცნობიან მასწავლებლის წარმატების განმსაზღვრელ სამ ფაქტორს. ესენია:**

        - **ოჯახური გარემო;**
        - **შეძენილი ინტელექტი და საბაზისო ცოდნა;**
        - **მოსწავლის მოტივაცია.**

     2. **გამოაელენენ ამ სამი ფაქტორის შემადგენელ კონკრეტულ ელემენტებს;**

     3. **ჩამოაყალიბებენ სკოლების შესაძლო სტრატეგიებს ამ ფაქტორებზე მუშაობისას;**

     4. **გამოაელენენ იმ სფეროებს, სადაც მათი სკოლა ყველაზე ნაკლებად წარმატებულია;**

     5. **ჩამოაყალიბებენ სამოქმედო გეგმას, თავიანთი სკოლის პრიორიტეტების შესაბამისად.**

შენიშვნა ტრენერისთვის

შეგიძლიათ, საპრეზენტაციო პლაკატი გადაამრავლოთ და მონაწილეებს დაურიგოთ, ან სემინარის მიზნები დაფაზე ჩამოწეროთ.

შენიშვნა ტრენერისთვის

ეინაიდან მონაწილეებმა მოსწავლის წარმატების განმსაზღვრელი ფაქტორები თავიანთი სკოლის მაგალითზე უნდა განიხილონ, უმჯობესია, თუ ერთი და იმავე სკოლის წარმომადგენლებს სთხოვთ, ერთ მაგიდასთან დასხდნენ.

შენიშვნა ტრენერისთვის

თუ სემინარს ესწრებიან ისეთი მონაწილეები, რომლებიც წინა სემინარებშიც მონაწილეობდნენ, ეცადეთ, შესავალში მათი ცოდნის შესაბამისი კომენტარები გააკეთოთ.

შენიშვნა ტრენერისთვის

შეგიძლიათ, საკითხავი მასალის ასლები წინასწარ დაურიგოთ მონაწილეებს.

მონაწილეებს გაუმეორეთ, რომ ამ სემინარის ფარგლებში განხილული იქნება მოსწავლის წარმატების განმსაზღვრელი ფაქტორები, ხოლო ამ პროგრამის შემადგენელი სხვა სემინარები ეთმობა სკოლისა და მასწავლებლის წარმატების განმსაზღვრელი იმ ფაქტორების განხილვას, რომელთაც დიდი გავლენა აქვთ მოსწავლის აკადემიურ მოსწრებაზე.

მოთელვითი აქტივობები (30 წუთი)

1. გააცანით მონაწილეებს ბოლო 35 წლის მანძილზე ჩატარებული კვლევების ზოგადი მიმოხილვა. გამოიყენეთ წინამდებარე სახელმძღვანელოს შესავალსა და პირველ საკითხავ მასალაში მოცემული ინფორმაცია.

2. დაურიგეთ მონაწილეებს მეცხრე სამუშაო ფურცელი, *მოსწავლის წარმატების განმსაზღვრელი ფაქტორები.* დაავალეთ, განიხილონ მასში წარმოდგენილი, მოსწავლის წარმატების განმსაზღვრელი ფაქტორები და დაუსვით შემდეგი შეკითხვა:

   რას ნიშნავს ეს ფაქტორები თქვენთვის?

   მიეცით მონაწილეებს, დაახლოებით, 5 წუთი, რათა თითოეული ფაქტორის განსაზღვრება ინდივიდუალურად ჩამონერონ.

3. სთხოვეთ მონაწილეებს, განიხილონ, მათი აზრით, რამდენად შეუძლია სკოლას, გავლენა იქონიოს მოსწავლის წარმატების განმსაზღვრელ ფაქტორებზე. ჩამონერონ, ერთი მხრივ, სამი ბერკეტი ან საშუალება, რითაც სკოლამ, *შესაძლოა, გავლენა* იქონიოს მოსწავლის წარმატების განმსაზღვრელ ფაქტორებზე და, მეორე მხრივ, სამი მიზეზი, რის გამოც სკოლა *ვერ შეძლებს, გავლენა იქონიოს* მოსწავლის წარმატების განმსაზღვრელ ფაქტორებზე. მონაწილეებმა პასუხები მეცხრე სამუშაო ფურცელზე უნდა ჩამოწერონ. ვიდრე ისინი მუშაობენ, თქვენ კედლის ორ მხარეს გააკარით დიდი ფორმატის ქაღალდები. კედლის ერთი მხარე დაუთმეთ შემდეგი კატეგორიის ქვეშ მოაზრებულ პასუხებს – „დიახ, სკოლას შეუძლია, გავლენა იქონიოს მოსწავლის წარმატების განმსაზღვრელ ფაქტორებზე", ხოლო მეორე მხარე დაუთმეთ პასუხებს საპირისპირო კატეგორიის ქვეშ – „არა, სკოლას არ შეუძლია, გავლენა იქონიოს მოსწავლის წარმატების განმსაზღვრელ ფაქტორებზე". ამ აქტივობას დაუთმეთ 10 წუთი.

4. მას შემდეგ, რაც მონაწილეები ინდივიდუალურად ჩამოწერენ მიზეზებს, სთხოვეთ, შესაბამის პლაკატზე გადაიტანონ. შემდეგ სთხოვეთ, პარტნიორთან ერთად დაათვალიერონ პლაკატები და ამოიკითხონ მათზე წარმოდგენილი მოსაზრებები. აქტივობის ამ ნაწილს დაუთმეთ 10 წუთი.

5. მას შემდეგ, რაც მონაწილეები თავიანთ ადგილებს დაუბრუნდებიან, სთხოვეთ, ჩამოწერონ შეკითხვები მოსწავლის წარმატების განმსაზღვრელ ფაქტორებთან დაკავშირებით. შეკითხვები ჩამოწერონ მეცხრე სამუშაო ფურცელზე.

ფილმის მესამე ნაწილის ჩვენება, *მოსწავლის წარმატების განმსაზღვრელი ფაქტორები* (30 წუთი)

1. შესთავაზეთ მონაწილეებს, რომ მეცხრე სამუშაო ფურცლის ასლი ფილმის ჩვენების დროს, ჩანაწერების გასაკეთებლად და კითხვების ჩასანიშნად გამოიყენონ.

2. აჩვენეთ ფილმის მესამე ნაწილი, *მოსწავლის წარმატების განმსაზღვრელი ფაქტორები.*

განსაზღვრებების დაზუსტება (15 წუთი)

1. ფილმის ჩვენების შემდეგ, სთხოვეთ მონაწილეებს, ჩახედონ მეცხრე სამუშაო ფურცელს, სადაც მათ ინდივიდუალურად ჩამოწერეს მოსწავლის წარმატების განმსაზღვრელი თითოეული ფაქტორის განსაზღვრება. მომდევნო ხუთი წუთი მონაწილეებმა უნდა დაუთმონ განსაზღვრებების დახვეწასა და მათი საბოლოო სახით ჩამოყალიბებას, ვიდეოფილმიდან მიღებული ინფორმაციის გამოყენებით.

2. ფილმის ჩვენების შემდეგ კიდევ ერთხელ სთხოვეთ მონანილეებს, იფიქრონ შემდეგ შეკითხვაზე:

   შეუძლია თუ არა სკოლას, გაელენა იქონიოს მოსწავლის წარმატების განმსაზღვრელ ფაქტორებზე?

3. მას შემდეგ, რაც მონაწილეები საბოლოო განსაზღვრებებს შეიმუშავებენ, ყოველმა მათგანმა საბოლოო ვერსია მის გვერდით მჯდომ მონაწილეს უნდა გაუზიაროს. აქტივობის ამ ნაწილს დაუთმეთ 5 წუთი.

4. და ბოლოს, მოიწვიეთ რამდენიმე მოხალისე, რომელიც მთლიან ჯგუფს გაუზიარებს შედეგებს. რამდენიმე განსაზღვრება ჩაინიშნეთ კომპიუტერში და პროექტორის მეშვეობით, ან დაფაზე წარმოადგინეთ. აქტივობის ამ ნაწილს დაუთმეთ, დაახლოებით, 5 წუთი.

დეტალები მოსწავლის წარმატების განმსაზღვრელი ფაქტორების შესახებ (40 წუთი)

1. დაყავით მონაწილეები სამ მცირე ზომის ჯგუფად. ერთი ჯგუფი იმუშავებს ერთ ფაქტორზე. თითოეულმა ჯგუფმა უნდა

აირჩიოს მომხსენებელი. დაარიგეთ მეათე სამუშაო ფურცელი, *მოსწავლის წარმატების ფაქტორების შემადგენელი ელემენტები.* ჯგუფებმა უნდა განიხილონ ის ელემენტები, რომლებიც მათთვის გამოყოფილ ფაქტორს შეესაბამება. სთხოვეთ მონაწილეებს, გაითვალისწინონ შემდეგი შეკითხვები:

რამდენად შეუძლია სკოლას, გავლენა იქონიოს მოსწავლის წარმატების განმსაზღვრელი ფაქტორის შემადგენელ ამ კონკრეტულ ელემენტზე?

რისი გაკეთება შეუძლია სკოლას, თუ ამ კონკრეტულ ფაქტორზე მუშაობს?

სასურველია, ჯგუფის მომხსენებელმა ჩაინიშნოს ჯგუფის წევრთა მიერ გამოთქმული მოსაზრებები, რათა დეტალური პრეზენტაციის გაკეთება შეძლოს. აღნიშნულ აქტივობას დაუთმეთ 20 წუთი.

2. სთხოვეთ თითოეული ჯგუფის მომხსენებელს, ისაუბრონ მათ ჯგუფში წარმართული დისკუსიის შედეგების შესახებ. მომხსენებელთა პრეზენტაციების დროს, ჩაინიშნეთ ძირითადი საკითხები დაფაზე ან კომპიუტერში, რომელიც პროექტორით გამოჩნდება ეკრანზე. პრეზენტაციებს დაუთმეთ, დაახლოებით, 15 წუთი.

შესვენება (20 წუთი)

კითხვარის შევსება (45 წუთი)

შენიშვნა ტრენერისთვის

გაითვალისწინეთ, რომ ამ სემინარზე ჯერ მეთორმეტე სამუშაო ფურცელი გამოიყენება და შემდეგ მეთერთმეტე. კითხვარი (სამუშაო ფურცელი №12) განთავსებულია შემდეგ ეებ-გვერდზე www.whatworksinschools.org

1. სკოლების მიხედვით, დაყავით მონაწილეები ჯგუფებად. დაარიგეთ სამუშაო ფურცელი №12, *კითხვარი მოსწავლის წარმატების განმსაზღველი ფაქტორების შესახებ.* მომდევნო 15 წუთის განმავლობაში, მონაწილეებმა ინდივიდუალურად, თავიანთი გამოცდილების მიხედვით უნდა შეავსონ კითხვარი.

2. შემდეგ თითოეულ ჯგუფს, რომელიც ერთი სკოლის ნარმომადგენლებისგან შედგება, სთხოვეთ, აირჩიონ ჯგუფის ერთი წევრი, რომელიც ჩანაწერებს გააკეთებს, ერთი წევრი, რომელიც შედეგებს დაითვლის და ერთი წევრი, რომელიც ჯგუფის მოდერატორის როლს შეასრულებს. ჯგუფის წევრი, რომელსაც ჩანაწერების გაკეთება ევალება, პასუხების მოკლე რეზიუმეს ცხრილის სახით წარმოადგენს. აქტივობის ამ ნაწილს დაუთმეთ 10 წუთი.

3. მომდევნო 5 წუთი მონაწილეებმა უნდა დაუთმონ პასუხების გაანალიზებას, კომენტარისა და დისკუსიის გარეშე. შედეგებზე დაყრდნობით, მათ ინდივიდუალურად უნდა ჩამონერონ,

თუ, მათი აზრით, რომელ ფაქტორზე უნდა იმუშაოს მათმა სკოლამ ყველაზე აქტიურად.

4. მას შემდეგ, რაც მონაწილეები ყველა შეკითხვას გასცემენ პასუხს, ჯგუფის მოდერატორებს სთხოვეთ, წარმართონ დისკუსია მოსწავლის წარმატების განმსაზღვრელ იმ ფაქტორებზე, რომლებსაც ყველაზე მეტი ყურადღება სჭირდება მათ სკოლაში და გამოავლინონ ერთი, ყველაზე აქტუალური ფაქტორი. როცა ჯგუფი კონსენსუსს მიაღწევს, ნეერი, რომელსაც ჩანაწერების გაკეთება ევალება, ამ ფაქტორს საპრეზენტაციო ფურცელზე წარმოადგენს. აქტივობის ამ ნაწილს დაუთმეთ, დაახლოებით, 10 წუთი.

5. ბოლოს კი მოდერატორებს სთხოვეთ, წარმართონ დისკუსია იმ სტრატეგიების შესახებ, რომელთა გამოყენებაც სკოლას შერჩეულ ფაქტორზე მუშაობისას შეუძლია. აქტივობის ამ ნაწილს დაუთმეთ, დაახლოებით, 5 წუთი.

მომდევნო აქტივობები (15 წუთი)

1. დაარიგეთ სამუშაო ფურცელი №11, *სკოლების შესაძლო სტრატეგიები მოსწავლის წარმატების განმსაზღვრელ ფაქტორებზე მუშაობისას*, და მონაწილეებს სთხოვეთ, წარმოდგენილ სიას გადახედონ. აუხსენით, რომ მეთერთმეტე სამუშაო ფურცელში მოცემული სტრატეგიებით იმ სიის შევსება შეუძლიათ, რომელიც რამდენიმე წუთის წინ თავად შეიმუშავეს. შემდეგ მიეცით მონაწილეებს 5 წუთი, რათა ინდივიდუალურად მოიფიქრონ, თუ რა ნაბიჯები უნდა გადადგას სკოლამ შერჩეულ აქტუალურ საკითხზე მუშაობისას. მონაწილეებმა იდეები მეთერთმეტე სამუშაო ფურცელზე უნდა ჩამოწერონ.

2. შემდეგ კი ჯგუფის მოდერატორებმა უნდა წარმართონ დისკუსია მომდევნო აქტივობების შესახებ და მთავარი იდეები საპრეზენტაციო ფურცელზე გადაიტანონ.

დასკვნა (10 წუთი)

1. მონაწილეებთან ერთად თავიდან გადახედეთ სემინარის მიზნებს და უპასუხეთ შეკითხვებს ამ სემინარზე განხილული ფაქტორების ან მომდევნო სამუშაო სემინარების გარშემო. მონაწილეებს მადლობა გადაუხადეთ სემინარში მონაწილეობისათვის.

2. დაარიგეთ საკითხავი მასალა №4, „მოსწავლის წარმატების განმსაზღვრელი ფაქტორები". ურჩიეთ მონაწილეებს, სტატია სემინარის შემდეგ წაიკითხონ და გააანალიზონ ჯგუფში გაჩენილი იდეები.

3. საჭიროების შემთხვევაში, შესთავაზეთ მონაწილეებს დამატებითი სამუშაო სემინარის ჩატარება ამავე თემაზე.

შენიშვნა ტრენერისთვის

თითოეული მონაწილისთვის გააკეთეთ კითხვარის ორი ასლი, ერთი შავი სამუშაოსთვის და მეორე გადასათვერებლად. ასევე, შემდეგი აქტივობისთვის მონაწილეებს დაურიგეთ სამი ან ოთხი სუფთა ფურცელი.

რა განსაზღვრავენ
სკოლის ეფექტურობას



ხამუშაო
ფურცლები და
საკრებულოს
ჩანაწერები

სამუშაო ფურცელი №1

სკოლის წარმატების განმსაზღვრელი ფაქტორები

დაწერეთ, თქვენი აზრით, რას გულისხმობს სკოლის წარმატების განმსაზღვრელი შემდეგი ფაქტორები:

1. სავალდებულო და განხორციელებადი სასწავლო გეგმა;

2. მიზნების დასახვა და ეფექტური შეფასება;

3. მშობლებისა და თემის ჩართულობა;

4. უსაფრთხო და მოწესრიგებული გარემო;

5. თანამშრომელთა კოლეგიალობა და პროფესიონალიზმი.

სამუშაო ფურცელი №2

სკოლის ნარმატების განმსაზღვრელი ფაქტორების ეფექტიანობა

სკოლის ნარმატების განმსაზღვრელი ფაქტორები	შესაძლო სტრატეგიები
სავალდებულო და განხორციელებადი სასწავლო გეგმა	
1. პროგრამა, რომლის შესწავლაც სავალდებულოა ყველა მოსწავლისთვის და რომელიც განსხვავდება მასწავლებლის მიერ შერჩეული დამატებითი მასალისგან. 2. სავალდებულო პროგრამის მოცულობის დაფარვა შესაძლებელია მოცემულ აკადემიურ პერიოდში. 3. პროგრამა კარგად ორგანიზებული და თანმიმდევრულია, რათა მოსწავლეებმა ადვილად შეძლონ მასალის ათვისება. 4. მასწავლებლის მუშაობას თვალს ადევნებს და ამოწმებს ადმინისტრაცია, რათა სავალდებულო პროგრამის დაფარვა ადეკვატურად განხორციელდეს. 5. აკადემიური საათების მაქსიმალურად გამოყენების მიზნით, ღონისძიებები და შეხვედრები იგეგმება გაკვეთილების შემდეგ.	
მიზნების დასახვა და ეფექტური შეფასება	
6. გამოიყენება შეფასების სისტემა, რომელიც მოსწავლის ცოდნასა და უნარ-ჩვევებს რეგულარულად უწევს მონიტორინგს (მაგ. სულ მცირე, ყოველ ცხრა კვირაში ერთხელ), კონკრეტული სფეროების მიხედვით. 7. სკოლას დადგენილი აქვს მოსწავლეების აკადემიური მოსწრების კონკრეტული სამიზნე მაჩვენებელი. 8. მოსწავლეებმა უნდა მიაღწიონ აკადემიური მოსწრების კონკრეტულ დონეს. 9. მოსწავლეების ინდივიდუალური და ზოგადი სასკოლო მიზნების შესრულების შედეგების მიხედვით, იგეგმება სამომავლო მოქმედებები.	
მშობლებისა და თემის ჩართულობა	
10. სკოლაში არსებობს კომუნიკაციის გამართული სისტემა, რათა მშობლები და ადგილობრივი თემი მუდმივად ინფორმირებული იყოს სკოლის მხრიდან. 11. სკოლაში არსებობს კომუნიკაციის გამართული სისტემა, რათა მშობლებსა და ადგილობრივ თემს საშუალება ჰქონდეს, ნებისმიერ დროს დაუკავშირდეს სკოლას. 12. მშობლებსა და ადგილობრივი თემის წარმომადგენლებს საშუალება აქვთ, მონაწილეობა მიიღონ სასკოლო ცხოვრებაში. 13. მშობლებსა და ადგილობრივი თემის წარმომადგენლებს საშუალება აქვთ, მონაწილეობა მიიღონ სკოლის მმართველობაში.	

[illegible] ნორმატების განმსაზღვრელი ფაქტორები	შესაძლებლ[illegible]ტრატეგიები
უსაფრთხო და მოწესრიგებული გარემო	
14. სკოლის ფიზიკური გარემო და შინაგანაწესი გამორიცხავს უწესრიგობას და ხელს უწყობს დადებით ქცევას. 15. ქცევის ნორმები და პროცედურები განსაზღვრულია სკოლის შინაგანაწესით. 16. შინაგანაწესის დარღვევის შემთხვევაში, დადგენილია შესაბამისი ადმინისტრაციული სახდელი. 17. სკოლაში დანერგილია პროგრამა, რომელიც მოსწავლეებს თვითდისციპლინასა და დაკისრებული პასუხისმგებლობების შესრულებას ასწავლის. 18. სკოლას შემუშავებული აქვს კონკრეტული მექანიზმები, რომელთა მეშვეობით, დასაწყისშივე გამოვლინდებიან ძალადობისა და ექსტრემალური ქცევისადმი მიდრეკილი მოსწავლეები.	
თანამშრომელთა კოლეგიალობა და პროფესიონალიზმი	
19. სკოლაში დანერგილია ქცევის ნორმები, რომლებიც ხელს უწყობს თანამშრომლობითი ურთიერთობის დამყარებას თანამშრომლებსა და ადმინისტრაციას შორის. 20. მასწავლებლები მონაწილეობას იღებენ სასკოლო გადაწყვეტილებების მიღებასა და სასკოლო პოლიტიკის განსაზღვრაში. 21. მასწავლებლები ჩართულები არიან პროფესიული განვითარების ღონისძიებებში, რომელთა შინაარსიც საჭიროებების მიხედვით დგინდება. პროფესიული განვითარების ღონისძიებები მასწავლებლებს პრაქტიკული უნარ-ჩვევებით უზრუნველყოფს და სწავლების მეთოდოლოგიის შეფასების საშუალებასაც იძლევა.	

ზემოთ ჩამოთვლილი ელემენტები ადაპტირებულია შემდეგი წყაროდან: *რა განაპირობებს სკოლის ეფექტურობას: კვლევის შედეგების გამოყენება პრაქტიკაში*, რ. ჯ. მარზანო, 2003 ნელი, ალექსანდრია, ვირჯინია, *სასწავლო გეგმების შემუშავებისა* და *მენტორობის ასოციაცია*.

სამუშაო ფურცელი №3

სკოლის ნარმატების განმსაზღვრელ ფაქტორებზე მუშაობის სტრატეგიები

სკოლის ნარმატების განმსაზღვრელი ფაქტორები	შესაძლებელი სტრატეგიები
სავალდებულო და განხორციელებადი სასწავლო გეგმა	
1. პროგრამა, რომლის შესწავლაც სავალდებულოა ყველა მოსწავლისთვის და რომელიც განსხვავდება მასწავლებლის მიერ შერჩეული დამატებითი მასალისგან. 2. სავალდებულო პროგრამის მოცულობის დაფარვა შესაძლებელია მოცემულ აკადემიურ პერიოდში. 3. პროგრამა კარგად ორგანიზებული და თანმიმდევრულია, რათა მოსწავლეებმა ადვილად შეძლონ მასალის ათვისება. 4. მასწავლებლის მუშაობას თვალს ადევნებს და ამოწმებს ადმინისტრაცია, რათა სავალდებულო პროგრამის დაფარვა ადეკვატურად განხორციელდეს. 5. აკადემიური საათების მაქსიმალურად გამოყენების მიზნით, ღონისძიებები და შეხვედრები იგეგმება გაკვეთილების შემდეგ.	• სტანდარტების მოდიფიკაცია; • ახალი სამიზნეს დადგენა; • სამიზნე მაჩვენებლის მკაფიოდ განსაზღვრა; • გამოცდების ანალიზი; • მართვის მოდელის ჩამოყალიბება; • პოლიტიკის განსაზღვრა და დროული აუდიტის ჩატარება.
მიზნების დასახვა და ეფექტური შეფასება	
6. გამოიყენება შეფასების სისტემა, რომელიც მოსწავლის ცოდნასა და უნარ-ჩვევებს რეგულარულად უნევს მონიტორინგს (მაგ. სულ მცირე, ყოველ ცხრა კვირაში ერთხელ), კონკრეტული სფეროების მიხედვით. 7. სკოლას დადგენილი აქვს მოსწავლეების აკადემიური მოსწრების კონკრეტული სამიზნე მაჩვენებელი. 8. მოსწავლეებმა უნდა მიაღწიონ აკადემიური მოსწრების კონკრეტულ დონეს. 9. მოსწავლეების ინდივიდუალური და ზოგადი სასკოლო მიზნების შესრულების შედეგების მიხედვით, იგეგმება სამომავლო ღონისძიებები.	• კვარტალური შეფასების გამოყენება; • ანგარიშგების ბარათების გამოყენება სტანდარტების ან თემების მიხედვით; • კომპიუტერული პროგრამების გამოყენება; • სკოლის მიზნების განსაზღვრა; • მოსწავლის ინდივიდუალური მიზნების განსაზღვრა; • ახალი ღონისძიებების დაგეგმვა ხარვეზების გასასწორებლად; • მოსწავლის გეგმის შედგენა კონკრეტული ხარვეზების გასასწორებლად.
მშობლებისა და თემის ჩართულობა	
10. სკოლაში არსებობს კომუნიკაციის გამართული სისტემა, რათა მშობლები და ადგილობრივი თემი მუდმივად ინფორმირებული იყოს სკოლის მხრიდან. 11. სკოლაში არსებობს კომუნიკაციის გამართული სისტემა, რათა მშობლებსა და ადგილობრივ თემს საშუალება ჰქონდეს, ნებისმიერ დროს დაუკავშირდეს სკოლას. 12. მშობლებსა და ადგილობრივი თემის წარმომადგენლებს საშუალება აქვთ, მონაწილეობა მიიღონ სასკოლო ცხოვრებაში. 13. მშობლებსა და ადგილობრივი თემის წარმომადგენლებს საშუალება აქვთ, მონაწილეობა მიიღონ სკოლის მმართველობაში.	• ჟურნალის გამოშვება მშობლებისა და თემისათვის; • ბრიფინგების მოწყობა მშობლებისა და თემის წარმომადგენლებისთვის; • მმართველობითი სტრუქტურების ჩამოყალიბება, მშობლებისა და თემის წარმომადგენლების მონაწილეობით; • სასკოლო ცხოვრებაში მშობლებისა და თემის წარმომადგენლების მონაწილეობის ხელშემწყობი პროგრამების შექმნა.

[redacted]	[redacted]
ფიზიკური და მონესრიგებული გარემო	
14. სკოლის ფიზიკური გარემო და შინაგანანესი გამორიცხავს უნესრიგობას და ხელს უწყობს დადებითი ქცევის დამკვიდრებას. 15. ქცევის ნორმები და პროცედურებით განსაზღვრულია სკოლის შინაგანაწესი. 16. შინაგანანესის დარღვევის შემთხვევაში, დადგენილია დარღვევის შესაბამისი ადმინისტრაციული სახდელი. 17. სკოლაში დანერგილია პროგრამა, რომელიც მოსწავლეებს თვითდისციპლინასა და დაკისრებული პასუხისმგებლობების შესრულებას ასწავლის. 18. სკოლას შემუშავებული აქვს კონკრეტული მექანიზმები, რომელთა მეშვეობით, დასაწყისშივე გამოვლინდებიან ძალადობისა და ექსტრემალური ქცევისადმი მიდრეკილი მოსწავლეები.	• ქცევის კოდექსის შემუშავება; • დისციპლინური სახდელების შემუშავება; • სასკოლო პოლიტიკის განსაზღვრა, გაცდენებთან დაკავშირებით; • სასკოლო პოლიტიკის განსაზღვრა, დაგვიანებასთან დაკავშირებით.
თანამშრომელთა კოლეგიალობა და პროფესიონალიზმი	
19. სკოლაში დანერგილია ქცევის ნორმები, რომლებიც ხელს უწყობს თანამშრომლობითი ურთიერთობის დამყარებას თანამშრომლებსა და ადმინისტრაციას შორის. 20. მასწავლებლები მონაწილეობას იღებენ სასკოლო მასშტაბის გადაწყვეტილებების მიღებასა და სასკოლო პოლიტიკის განსაზღვრაში. 21. მასწავლებლები ჩართულები არიან პროფესიული განვითარების ღონისძიებებში, რომელთა შინაარსიც საჭიროებების მიხედვით დგინდება. პროფესიული განვითარების ღონისძიებები მასწავლებლებს პრაქტიკული უნარ-ჩვევებით უზრუნველყოფს და სწავლების მეთოდოლოგიის შეფასების საშუალებასაც იძლევა.	• ადმინისტრაციასა და მასწავლებლებს შორის რეგულარული შეხვედრების დანიშვნა; • მმართველობითი სტრუქტურების ჩამოყალიბება მასწავლებლების მონაწილეობით; • კოლეგიალობის ნორმების დადგენა; • თანამშრომლებისთვის პროფესიული განვითარების პროგრამების შემუშავება; • კვლევითი საქმიანობის განხორციელება;

ზემოთ ჩამოთვლილი ელემენტები ადაპტირებულია შემდეგი წყაროდან: *რა განაპირობებს სკოლის ეფექტურობას: კვლევის შედეგების გამოყენება პრაქტიკაში*, რ. ჯ. მარზანო, 2003 წელი, ალექსანდრია, ვირჯინია, *სასწავლო გეგმების შემუშავებისა და მენტორობის ასოციაცია*.

სამუშაო ფურცელი №4

ქითხვარი სკოლის ნარმაგების განმსაზღვრელი ფაქტორების შესახებ

	რამდენად აქტიურად ვართ ჩართული ამ საკითხზე მუშაობაში?				ამ საკითხთან დაკავშირებით, არსებული პრაქტიკის შეცვლა რამდენად შეცვლის მოსწავლეების აკადემიურ მოსწრებას?				რამდენად დიდი ძალისხმევა დასჭირდება ამ საკითხთან დაკავშირებით არსებული პრაქტიკის შეცვლას?			
	სრულიად არა			ძალიან	სრულიად არა			ძალიან	სრულიად არა			ძალიან
ჩემს სკოლაში	1	2	3	4	1	2	3	4	1	2	3	4
საავალდებულო და განხორციელებადი სასწავლო გეგმა												
1. პროგრამა, რომლის შესწავლაც აუცილებელია ყველა მოსწავლისათვის და რომელიც განსხვავდება მასწავლებლის მიერ შერჩეული დამატებითი მასალისაგან.												
2. საავალდებულო პროგრამის მოცულობის დაფარვა შესაძლებელია მოცემულ აკადემიურ პერიოდში.												
3. პროგრამა კარგად ორგანიზებული და თანმიმდეურულია, რათა მოსწავლეებმა ადვილად შეძლონ მასალის ათვისება.												
4. მასწავლებლის მუშაობას თვალს ადევნებს და ამონმებს ადმინისტრაცია, რათა საავალდებულო პროგრამის დაფარვა ადეკვატურად განხორციელდეს.												
5. აკადემიური საათების მაქსიმალურად გამოყენების მიზნით, ღონისძიებები და შეხვედრები იგეგმება გაკვეთილების შემდეგ.												

სამუშაო ფურცელი №4 – გაგრძელება

	რამდენად აქტიურად ვართ ჩართული ამ საკითხზე მუშაობაში?				ამ საკითხთან დაკავშირებით, არსებული პრაქტიკის შეცვლა რამდენად შეცვლის მოსწავლეების აკადემიურ მოსწრებას?				რამდენად დიდი ძალისხმევა დასჭირდება ამ საკითხთან დაკავშირებით არსებული პრაქტიკის შეცვლას?			
	სრულიად არა			ძალიან	სრულიად არა			ძალიან	სრულიად არა			ძალიან
ჩემს სკოლაში —	1	2	3	4	1	2	3	4	1	2	3	4
მიზნების დასახვა და ეფექტური შეფასება:												
6. გამოიყენება შეფასების სისტემა, რომელიც მოსწავლის ცოდნასა და უნარ-ჩვევებს რეგულარულად უწევს მონიტორინგს (მაგ. სულ მცირე, ყოველ ცხრა კვირაში ერთხელ), კონკრეტული სფეროების მიხედვით.												
7. სკოლას დადგენილი აქვს მოსწავლეების აკადემიური მოსწრების კონკრეტული სამიზნე მაჩვენებელი.												
8. მოსწავლეების მიზნები ნინასწარ განსაზღვრულია.												
9. მოსწავლეების მიერ ინდივიდუალური და ზოგადი სასკოლო მიზნების მიღნევის შედეგების მიხედვით, იგეგშება სამომავლო ღონისძიებები.												
მშობლებისა და თემის ჩართულობა												
10. სკოლაში არსებობს კომუნიკაციის გამართული სისტემა, რათა მშობლები და ადგილობრივი თემი მუდმივად ინფორმირებული იყოს სკოლის მხრიდან.												
11. სკოლაში არსებობს კომუნიკაციის გამართული სისტემა, რათა მშობლებსა და ადგილობრივ თემს საშუალება ჰქონდეს, ნებისმიერ დროს დაუკავშირდეს სკოლას.												

სამუშაო ფურცელი №4 – გაგრძელება

	რამდენად აქტიურად ვართ ჩართული ამ საკითხზე მუშაობაში?				ამ საკითხთან დაკავშირებით, არსებული პრაქტიკის შეცვლა რამდენად შეცვლის მოსწავლეების აკადემიურ მოსწრებას?				რამდენად დიდი ძალისხმევა დასჭირდება ამ საკითხთან დაკავშირებით არსებული პრაქტიკის შეცვლას?			
	სრულიად არა			ძალიან	სრულიად არა			ძალიან	სრულიად არა			ძალიან
ჩემს სკოლაში	1	2	3	4	1	2	3	4	1	2	3	4
12. მშობლებსა და ადგილობრივი თემის წარმომადგენლებს საშუალება აქვთ, მონაწილეობა მიიღონ სასკოლო ცხოვრებაში.												
13. მშობლებსა და ადგილობრივი თემის წარმომადგენლებს საშუალება აქვთ, მონაწილეობა მიიღონ სკოლის მმართველობაში.												
უსაფრთხო და მოწესრიგებული გარემო												
14. სკოლის ფიზიკური გარემო და შინაგანაწესი გამორიცხავს უწესრიგობას და ხელს უწყობს დადებითი ქცევის დამკვიდრებას.												
15. ქცევის ნორმები და პროცედურები განსაზღვრულია სკოლის შინაგანაწესით.												
16. შინაგანაწესის დარღვევის შემთხვევაში, დადგენილია დარღვეეის შესაბამისი ადმინისტრაციული სახდელი.												
17. სკოლაში დანერგილია პროგრამა, რომელიც მოსწავლეებს თვითდისციპლინასა და დაკისრებული პასუხისმგებლობების შესრულებას ასწავლის.												

სამუშაო ფურცელი №4 – გაგრძელება

	რამდენად აქტიურად ვართ ჩართული ამ საკითხზე მუშაობაში?				ამ საკითხთან დაკავშირებით, არსებული პრაქტიკის შეცვლა რამდენად შეცვლის მოსწავლეების აკადემიურ მოსწრებას?				რამდენად დიდი ძალისხმევა დასჭირდება ამ საკითხთან დაკავშირებით არსებული პრაქტიკის შეცვლას?			
	სრულიად არა			ძალიან	სრულიად არა			ძალიან	სრულიად არა			ძალიან
ჩემს სკოლაში —	1	2	3	4	1	2	3	4	1	2	3	4
18. სკოლას შემუშავებული აქვს კონკრეტული მექანიზმები, რომელთა მეშვეობით, დასაწყისშივე გამოვლინდებიან ძალადობისა და ექსტრემალური ქცევისადმი მიდრეკილი მოსწავლეები.												
თანამშრომელთა კოლეგიალობა და პროფესიონალიზმი:												
19. სკოლაში დანერგილია ქცევის ნორმები, რომლებიც ხელს უწყობს თანამშრომლობითი ურთიერთობების ჩამოყალიბებას თანამშრომლებსა და ადმინისტრაციას შორის.												
20. მასწავლებლები მონაწილეობას იღებენ სასკოლო მასშტაბის გადაწყვეტილებების მიღებასა და სასკოლო პოლიტიკის განსაზღვრაში.												
21. მასწავლებლები ჩართულნი არიან პროფესიული განვითარების ღონისძიებებში, რომელთა შინაარსიც საჭიროებების მიხედვით დგინდება. პროფესიული განვითარების ღონისძიებები მასწავლებლებს პრაქტიკული უნარ-ჩვევებით უზრუნველყოფს და სწავლების მეთოდოლოგიის შეფასების საშუალებასაც იძლევა.												

წყარო: *რა განაპირობებს სკოლის ეფექტურობას: კვლევების შედეგების გამოყენება პრაქტიკაში*, რ. ჯ. მარზანო, 2003, ალექსანდრია, ვირჯინია: სასწავლო გეგმების შემუშავებისა და მენტორობის ასოციაცია.

მოცემული კითხვარი განთავსებულია შემდეგ ვებ-გვერდზე: www.whatworksinschools.org

სამუშაო ფურცელი №5

მასნავლებლის წარმატების განმსაზღვრელი ფაქტორები

დაწერეთ, თქვენი აზრით, რას გულისხმობს მასწავლებლის წარმატების განმსაზღვრელი შემდეგი ფაქტორები:

1. სწავლების მეთოდები;

2. კლასის მართვის სტილი;

3. გაკვეთილის დაგეგმვა.

სამუშაო ფურცელი №6

მასწავლებლის ნარმატების განმსაზღვრელი ფაქტორების შეფასების ინვენტარი

მასწავლებლის ნარმატების განმსაზღვრელ ფაქტორები	შესაძლო სტრატეგიებ
სწავლების მეთოდები	
1. მოსწავლეები, ყოველ ახალ თემაზე გადასვლისას, პირველ რიგში, ეცნობიან სასწავლო მიზნებს.	
2. ყოველ ახალ თემაზე გადასელისას, მასწავლებელი მოსწავლეებს სთხოვს, დაისახონ ინდივიდუალური მიზნები, რომლებიც, გარკვეულნილად, მასწავლებლის მიერ დადგენილ მიზნებს შეესაბამება.	
3. მასწავლებელი მოსწავლეებს სისტემატურად უზიარებს კომენტარებს იმის შესახებ, თუ რამდენად აკმაყოფილებენ ისინი სასწავლო მიზნებს.	
4. მასწავლებელი ავალებს მოსწავლეებს, თავად ადევნონ თვალი თავიანთ პროგრესს.	
5. მასწავლებელი ცდილობს, წაახალისოს ის მოსწავლეები, რომლებიც განსაკუთრებული წარმატებით ასრულებენ სასწავლო ამოცანებს.	
6. მასწავლებელი ყოველ ›ვის აფასებს მოსწავლეების მონდომებას.	
7. საჭიროების შემთხვევაში, მასწავლებელი მოსწავლეებს, ერთნაირი შესაძლებლობების მიხედვით, ჯგუფებად ყოფს.	
8. საჭიროების შემთხვევაში, მასწავლებელი მოსწავლეებს თანამშრომლობით ჯგუფებად ყოფს.	
9. მასწავლებელი სისტემატურად ამონმებს და აფასებს მოსწავლეების მიერ შესრულებულ საშინაო დავალებას.	
10. ყოველი ახალი თემის დასრულების შემდეგ, მასწავლებელი აფასებს მოსწავლეების მიერ სასწავლო მიზნების მიღწევის ხარისხს.	
11. ყოველი ახალი თემის დასრულების შემდეგ, მასწავლებელი მოსწავლეებს სთხოვს, თავად შეაფასონ, რამდენად წარმატებით მიაღწიეს დასახულ მიზნებს.	
12. ყოველი ახალი თემის დასრულებისას, მასწავლებელი ულოცავს მოსწავლეებს სასწავლო მიზნების მიღწევას.	
13. ახალი თემის ახსნამდე, მასწავლებელი მოსწავლეებს შეკითხვებს უსვამს, რათა დაადგინოს მათი საბაზისო ცოდნა ამ თემის გარშემო.	
14. ახალ თემაზე გადასელისას, მასწავლებელი მას უკვე შესნავლილ მასალას უკავშირებს.	

[illegible]ფორმატების განმსაზღვრელ ფაქტორები	შესაძლო სტრატეგიები
[illegible]ების მეთოდები	
15. ახალ თემაზე გადასვლისას, მასწავლებელი მოსწავლეებს რჩევებს აძლევს ახალი ინფორმაციის ორგანიზებასთან დაკავშირებით (მაგ: ჩანაწერების გაკეთება). 16. მასწავლებელი მოსწავლეებს ავალებს ახალი თემის შინაარსის ჩამოყალიბებას ზეპირად ან ნერილობით. 17. მასწავლებელი ავალებს მოსწავლეებს, გააკეთონ ჩანაწერები ახალ თემაზე. 18. მასწავლებელი მოსწავლეებს ავალებს, არალინგვისტური ნარმოდგენის საშუალებებით (მაგ. სურათით, პიქტოგრამით, გრაფიკული გამოსახულებით, მოდელით, გათამაშებით) გადმოსცენ ახალი თემა. 19. მასწავლებელი მოსწავლეებს ისეთ დავალებებს აძლევს, რომლებიც ძირითადი უნარ-ჩვევების გამოყენებას მოითხოვს. 20. მასწავლებელი ავალებს მოსწავლეებს, გაასწორონ შეცდომები თემის გამეორებისას. 21. მასწავლებელი მოსწავლეებს ავალებს, თემის გამეორებისას, არალინგვისტური ნარმოდგენის საშუალებებით გაასწორონ შეცდომები. 22. მასწავლებელი მოსწავლეებს ისეთ დავალებებს აძლევს, რომელთა შესრულების დროსაც, მოსწავლეებს თემების შედარება და კლასიფიცირება უნევთ. 23. მასწავლებელი მოსწავლეებს ისეთ დავალებებს აძლევს, რომელთა შესრულების დროსაც მოსწავლეებს უნევთ მეტაფორებისა და ანალოგიების შექმნა. 24. მასწავლებელი მოსწავლეებს ისეთ დავალებებს აძლევს, რომელთა შესრულების დროსაც მოსწავლეებს ჰიპოთეზის ჩამოყალიბება უნევთ.	
კლასის მართვის სტილი	
25. მოსწავლეებისთვის დადგენილია სრულყოფილი და მკაფიოდ ჩამოყალიბებული საკლასო ყოფაქცევის ნესები და პროცედურები. განსაზღვრულია სასწავლო დღის დასაწყისი და დასასრული, შესვენებების დრო, მასალებისა და ტექნიკური მონყობილობების გამოყენების წესები, ჯგუფური და ინდივიდუალური მუშაობის დრო. 26. გაკვეთილზე მასწავლებელი ისეთ დისციპლინურ საშუალებებს იყენებს, რომლებიც ხელს უნყობს ადეკვატური ქცევის ნორმების დანერგვას. 27. მოსწავლეებს სჯერათ, რომ მასწავლებელი მათ სწორ მიმართულებას აძლევს. 28. მოსწავლეებს სჯერათ, რომ მათი პრობლემები და სურვილები გათვალისწინებული იქნება.	

სამუშაო ფურცელი №6 – გაგრძელება

მასწავლებლის ნარმატების განმსაზღვრელ ფაქტორები	შესაძლო სტრატეგიებ
კლასის მართვის სტილი	
29. მასწავლებელი სხვადასხვა მოსწავლესთან განსხვავებულ სტრატეგიებს იყენებს, რათა ყოველი მათგანი თანაბარ ყურადღებას გრძნობდეს. 30. მასწავლებელი აქტიურად იყენებს სხვადასხვა მეთოდს, რათა გამოავლინოს კლასში არსებული ან პოტენციური პრობლემები. 31. მასწავლებელი სწრაფად და თავდაჯერებულად რეაგირებს მოსწავლის არაადეკვატურ საქციელზე. 32. მასწავლებელი აქტიურად იყენებს სხვადასხვა მეთოდს, რათა შეინარჩუნოს ობიექტურობა მოსწავლეების არაადეკვატურ საქციელზე რეაგირებისას.	
გაკვეთილის დაგეგმვა	
33. გაკვეთილის დაგეგმვისას, მასწავლებელი განსაზღვრავს, რა ცოდნის მიღებაა აუცილებელი მოსწავლეებისთვის (მაგ: მაგალითები, შედარებები, მიზეზ-შედეგობრივი კავშირი, ფაქტები, შემთხვევები, ეპიზოდები, ტერმინები, უნარ-ჩვევები, პროცესი). 34. გაკვეთილის დაგეგმვისას, მასწავლებელი ითვალისწინებს, რომ მოსწავლე სხვადასხვა ფორმითა და სხვადასხვა საშუალების გამოყენებით უნდა გაეცნოს ახალ მასალას (მაგ: მოთხრობა, აღნერილობა, კითხვა, დემონსტრირება, პრეზენტაცია). 35. გაკვეთილის დაგეგმვისას, მასწავლებელი მკაფიო ზღვარს ავლებს იმ უნარ-ჩვევებსა და პროცესებს შორის, რომელიც უნდა შეიძინოს ან გაიმყაროს მოსწავლემ. 36. გაკვეთილის დაგეგმვისას, მასწავლებელი გამოყენებულ მაგალითებს იმ ჯგუფების ან კატეგორიების მიხედვით ალაგებს, რომლებიც მოცემული თემის ძირითად მახასიათებლებს შეესაბამება. 37. გაკვეთილის დაგეგმვისას, მასწავლებელი ითვალისწინებს, რომ მოსწავლეები უნდა ჩაერთონ რთულ პროექტებში, სადაც მათ ახალ თემაზე ინდივიდუალურად მუშაობა მოეთხოვებათ.	

წყარო: *რა განაპირობებს სკოლის ეფექტურობას: კვლევის შედეგების გამოყენება პრაქტიკაში,* რ. ჯ. მარზანო, 2003, ალექსანდრია, ვირჯინია: სასწავლო გეგმების შემუშავებისა და მენტორობის ასოციაცია.

სამუშაო ფურცელი №7

მასწავლებლის ნარმატების განმსაზღვრელ ფაქტორებზე მუშაობის სტრატეგიები

მასწავლებლის ნარმატების განმსაზღვრელ ფაქტორები	შესაძლ. სტრატეგიებ
სწავლების მეთოდები	
1. მოსწავლეები, ყოველ ახალ თემაზე გადასვლისას, პირველ რიგში, ეცნობიან სასნავლო მიზნებს. 2. ყოველ ახალ თემაზე გადასვლისას, მასწავლებელი მოსწავლეებს სთხოვს, დაისახონ ინდივიდუალური მიზნები, რომლებიც, გარკვეულწილად, მასწავლებლის მიერ დადგენილ მიზნებს შეესაბამება. 3. მასწავლებელი სისტემატურად უზიარებს მოსწავლეებს კომენტარებს იმის შესახებ, თუ რამდენად აკმაყოფილებენ ისინი სასნავლო ამოცანებს. 4. მასწავლებელი ავალებს მოსწავლეებს, თავად ადევნონ თვალი თავიანთ პროგრესს. 5. მასწავლებელი ცდილობს, ნაახალისოს ის მოსწავლეები, რომლებიც განსაკუთრებული ნარმატებით ასრულებენ სასნაელო ამოცანებს. 6. მასწავლებელი ყოველთვის აფასებს მოსწავლეების მონდომებას. 7. საჭიროების შემთხვევაში, მასწავლებელი მოსწავლეებს, ერთნაირი შესაძლებლობების მიხედვით, ჯგუფებად ყოფს. 8. საჭიროების შემთხვევაში, მასწავლებელი მოსწავლეებს თანამშრომლობით ჯგუფებად ყოფს. 9. მასწავლებელი სისტემატურად ამონმებს და აფასებს მოსწავლეების მიერ შესრულებულ საშინაო დავალებას. 10. ყოველი ახალი თემის დასრულების შემდეგ, მასწავლებელი აფასებს მოსწავლეების მიერ სასნავლო მიზნების მიღნევის ხარისხს. 11. ყოველი ახალი თემის დასრულების შემდეგ, მასწავლებელი მოსნავლეებს სთხოვს, თავად შეაფასონ მათ მიერ სასნავლო ამოცანების შესრულების ხარისხი. 12. ყოველი ახალი თემის დასრულებისას, მასწავლებელი ულოცავს მოსწავლეებს სასნავლო ამოცანების შესრულებას. 13. ახალი თემის ახსნამდე, მასწავლებელი მოსნავლეებს შეკითხვებს უსვამს, რათა დაადგინოს მათი საბაზისო ცოდნა ამ თემის გარშემო. 14. ახალ თემაზე გადასვლისას, მასწავლებელი მას უკვე შესნავლილ მასალას უკავშირებს.	• სასკოლო პოლიტიკის შემუშაეება; • სასნავლო თემის განსაზღვრა;. • გაკვეთილის გეგმის მოდელის შედგენა; • კელეების ჩატარება სტრატეგიების ეფექტურობის შეფასებისთვის.

მასწავლებლის ნარმატების განმსაზღვრელი ფაქტორები	შესაძლო სტრატეგიები
სწავლების მეთოდები	
15. ახალ თემაზე გადასვლისას, მასწავლებელი მოსწავლეებს აძლევს რჩევებს, ახალი ინფორმაციის ორგანიზებასთან დაკავშირებით (მაგ: ჩანაწერების გაკეთება). 16. მასწავლებელი ავალებს მოსწავლეებს ახალი თემის შინაარსის ჩამოყალიბებას ზეპირად ან წერილობით. 17. მასწავლებელი ავალებს მოსწავლეებს ჩანაწერების გაკეთებას ახალ თემასთან დაკავშირებით. 18. მასწავლებელი ავალებს მოსწავლეებს, წარმოდგენის არალინგვისტური საშუალებებით (მაგ. სურათით, პიქტოგრამით, გრაფიკული გამოსახულებით, მოდელით, გათამაშებით) გადმოსცენ ახალი თემა. 19. მასწავლებელი მოსწავლეებს ისეთ დავალებებს აძლევს, რომლებიც ძირითადი უნარ-ჩვევების გამოყენებას მოითხოვს. 20. მასწავლებელი ავალებს მოსწავლეებს, გაასწორონ შეცდომები თემის გამეორებისას. 21. მასწავლებელი ავალებს მოსწავლეებს, თემის გამეორებისას, წარმოდგენის არალინგვისტური საშუალებებით გაასწორონ შეცდომები. 22. მასწავლებელი მოსწავლეებს ისეთ დავალებებს აძლევს, რომელთა შესრულების დროსაც თემების შედარება და კლასიფიცირება უწევთ. 23. მასწავლებელი მოსწავლეებს ისეთ დავალებებს აძლევს, რომელთა შესრულების დროსაც მეტაფორებისა და ანალოგიების შექმნა უწევთ. 24. მასწავლებელი მოსწავლეებს ისეთ დავალებებს აძლევს, რომელთა შესრულების დროსაც ჰიპოთეზის ჩამოყალიბება უწევთ.	
კლასის მართვის სტილი	
25. მოსწავლეებისთვის დადგენილია სრულყოფილი და მკაფიოდ ჩამოყალიბებული საკლასო ყოფაქცევის წესები და პროცედურები. განსაზღვრულია სასწავლო დღის დასაწყისი და დასასრული, შესვენებების დრო, მასალებისა და ტექნიკური მონყობილობების გამოყენების წესები, ჯგუფური და ინდივიდუალური მუშაობის დრო. 26. გაკვეთილზე მასწავლებელი ისეთ დისციპლინურ საშუალებებს იყენებს, რომლებიც ხელს უწყობს ადეკვატური ქცევის ნორმების დანერგვას. 27. მოსწავლეებს სჯერათ, რომ მასწავლებელი მათ სწორ მიმართულებას აძლევს. 28. მოსწავლეებს სჯერათ, რომ მათი პრობლემები და სურვილები გათვალისწინებული იქნება.	• სასკოლო წესებისა და პროცედურების დადგენა; • სკოლის ზოგადი მიდგომის ჩამოყალიბება დისციპლინის საკითხების მიმართ; • ტრენინგების ჩატარება მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის ურთიერთობის საკითხზე. • ტრენინგების ჩატარება კლასის მართვის საკითხებთან დაკავშირებით.

სამუშაო ფურცელი №7 – გაგრძელება

მასწავლებლის ნარმატების განმსაზღვრელ ფაქტორები	შესაძლ ტრატეგიებ
კლასის მართვის სტილი	
29. მასწავლებელი სხვადასხვა მოსწავლესთან განსხვავებულ სტრატეგიებს იყენებს, რათა ყოველი მათგანი თანაბარ ყურადღებას გრძნობდეს. 30. მასწავლებელი აქტიურად იყენებს სხვადასხვა მეთოდს, რათა გამოაელინოს კლასში არსებული ან პოტენციური პრობლემები. 31. მასწავლებელი სწრაფად და თავდაჯერებულად რეაგირებს მოსწავლის არაადეკვატურ საქციელზე. 32. მასწავლებელი აქტიურად იყენებს სხვადასხვა მეთოდს, რათა შეინარჩუნოს ობიექტურობა მოსწავლეების არაადეკვატურ საქციელზე რეაგირებისას.	
გაკვეთილის დაგეგმვა	
33. გაკვეთილის დაგეგმვისას, მასწავლებელი განსაზღერავს, რა ცოდნის მიღებაა აუცილებელი მოსწავლეებისთვის (მაგ: მაგალითები, შედარებები, მიზეზ-შედეგობრივი კავშირი, ფაქტები, შემთხვევები, ეპიზოდები, ტერმინები, უნარ-ჩვევები, პროცესი). 34. გაკვეთილის დაგეგმვისას, მასწავლებელი ითვალისწინებს, რომ მოსწავლე სხვადასხვა ფორმითა და სხვადასხვა საშუალებების გამოყენებით უნდა გაეცნოს ახალ მასალას (მაგ: მოთხრობა, აღნერილობა, კითხვა, დემონსტრირება, პრეზენტაცია). 35. გაკვეთილის დაგეგმვისას, მასწავლებელი მკაფიო ზღვარს აკლებს იმ უნარ-ჩვევებსა და პროცესებს შორის, რომელიც უნდა შეიძინოს ან გაიმყაროს მოსწავლემ. 36. გაკვეთილის დაგეგმვისას, მასწავლებელი გამოყენებულ მაგალითებს იმ ჯგუფების ან კატეგორიების მიხედვით ალაგებს, რომლებიც მოცემული თემის ძირითად მახასიათებლებს შეესაბამება. 37. გაკვეთილის დაგეგმვისას, მასწავლებელი ითვალისწინებს, რომ მოსწავლეები უნდა ჩაერთონ რთულ პროექტებში, სადაც მათ ახალ თემაზე ინდივიდუალურად მუშაობა მოეთხოვებათ.	• კლასის ან კურსის სილაბუსების შედგენა. • გაკვეთილის გეგმის მოდელის შემუშავება.

წყარო: *რა განაპირობებს სკოლის ეფექტურობას: კვლევის შედეგების გამოყენება პრაქტიკაში*, რ. ჯ. მარზანო, 2003, ალექსანდრია, ვირჯინია: სასწავლო გეგმების შემუშავებისა და მენტორობის ასოციაცია.

სამუშაო ფურცელი №8

ქითხვარი მასწავლებლის ნარმაპების განსაზღვრელი ფაქტორების შესახებ

	რამდენად აქტიურად ვართ ჩართული ამ საკითხზე მუშაობაში?				ამ საკითხთან დაკავშირებით, არსებული პრაქტიკის შეცვლა რამდენად შეცვლის მოსწავლეების აკადემიურ მოსწრებას?				რამდენად დიდი ძალისხმევა დასჭირდება ამ საკითხთან დაკავშირებით არსებული პრაქტიკის შეცვლას?			
	სრულიად არ			ძალიან	სრულიად არ			ძალიან	სრულიად არ			ძალიან
ჩემს სკოლაში	1	2	3	4	1	2	3	4	1	2	3	4
სწავლების მეთოდები:												
1. მოსწავლეები, ყოველ ახალ თემაზე გადასვლისას, პირველ რიგში, ეცნობიან სასწავლო მიზნებს.												
2. ყოველ ახალ თემაზე გადასვლისას, მასწავლებელი მოსწავლეებს სთხოვს, დაისახონ ინდივიდუალური მიზნები, რომლებიც, გარკვეულწილად, მასწავლებლის მიერ დადგენილ მიზნებს შეესაბამება.												
3. მასწავლებელი სისტემატურად უზიარებს მოსწავლეებს კომენტარებს იმის შესახებ, თუ რამდენად აკმაყოფილებენ ისინი სასწავლო ამოცანებს.												
4. მასწავლებელი ავალებს მოსწავლეებს, თავად ადევნონ თვალი თავიანთ პროგრესს.												
5. მასწავლებელი ცდილობს, წაახალისოს ის მოსწავლეები, რომლებიც განსაკუთრებული ნარმატებით ასრულებენ სასწავლო ამოცანებს.												
6. მასწავლებელი ყოველთვის აფასებს მოსწავლეების მონდომებას.												

სამუშაო ფურცელი №8 – გაგრძელება

	რამდენად აქტიურად ვართ ჩართული ამ საკითხზე მუშაობაში?				ამ საკითხთან დაკავშირებით, არსებული პრაქტიკის შეცვლა რამდენად შეცვლის მოსწავლეების აკადემიურ მოსწრებას?				რამდენად დიდი ძალისხმევა დასჭირდება ამ საკითხთან დაკავშირებით არსებული პრაქტიკის შეცვლას?			
	სრულიად არა			ძალიან	სრულიად არა			ძალიან	სრულიად არა			ძალიან
ჩემს სკოლაში ...	1	2	3	4	1	2	3	4	1	2	3	4
7. საჭიროების შემთხვევაში, მასწავლებელი მოსწავლეებს, ერთნაირი შესაძლებლობების მიხედვით, ჯგუფებად ყოფს.												
8. საჭიროების შემთხვევაში, მასწავლებელი მოსწავლეებს თანამშრომლობით ჯგუფებად ყოფს.												
9. მასწავლებელი სისტემატურად ამონმებს და აფასებს მოსწავლეების მიერ შესრულებულ საშინაო დავალებას.												
10. ყოველი თემის დასრულების შემდეგ, მასწავლებელი აფასებს მოსწავლეების მიერ სასწავლო მიზნების მიღწევის ხარისხს.												
11. ყოველი ახალი თემის დასრულების შემდეგ, მასწავლებელი მოსწავლეებს სთხოვს, თავად შეაფასონ მათ მიერ სასწავლო ამოცანების შესრულების ხარისხი.												
12. ყოველი ახალი თემის დასრულებისას, მასწავლებელი ულოცავს მოსწავლეებს სასწავლო ამოცანების შესრულებას.												
13. ახალი თემის ახსნამდე, მასწავლებელი მოსწავლეებს უსვამს შეკითხვებს, რათა დაადგინოს მათი საბაზისო ცოდნა ამ თემის გარშემო.												
14. ახალ თემაზე გადასვლისას, მასწავლებელი მას უკვე შესწავლილ მასალას უკავშირებს.												

სამუშაო ფურცელი №8 – გაგრძელება

	რამდენად აქტიურად ვართ ჩართული ამ საკითხზე მუშაობაში?				ამ საკითხთან დაკავშირებით, არსებული პრაქტიკის შეცვლა რამდენად შეცვლის მოსწავლეების აკადემიურ მოსწრებას?				რამდენად დიდი ძალისხმევა დასჭირდება ამ საკითხთან დაკავშირებით არსებული პრაქტიკის შეცვლას?			
	სრულიად არა			ძალიან	სრულიად არა			ძალიან	სრულიად არა			ძალიან
ჩემს სკოლაში …	1	2	3	4	1	2	3	4	1	2	3	4
15. ახალ თემაზე გადასვლისას, მასწავლებელი მოსწავლეებს აძლევს რჩევებს, ახალი ინფორმაციის ორგანიზებასთან დაკავშირებით (მაგ: ჩანაწერების გაკეთება).												
16. მასწავლებელი ავალებს მოსწავლეებს ახალი თემის შინაარსის ჩამოყალიბებას ზეპირად ან წერილობით.												
17. მასწავლებელი ავალებს მოსწავლეებს ჩანაწერების გაკეთებას ახალ თემასთან დაკავშირებით.												
18. მასწავლებელი ავალებს მოსწავლეებს, წარმოდგენის არალინგვისტური საშუალებებით (მაგ. სურათით, პიქტოგრამით, გრაფიკული გამოსახულებით, მოდელით, გათამაშებით) გადმოსცენ ახალი თემა.												
19. მასწავლებელი მოსწავლეებს ისეთ დავალებებს აძლევს, რომლებიც მოითხოვს ძირითადი უნარ-ჩვევების გამოყენებას.												
20. მასწავლებელი ავალებს მოსწავლეებს, გაასწორონ შეცდომები თემის გამეორებისას.												

სამუშაო ფურცელი №8 – გაგრძელება

	რამდენად აქტიურად ვართ ჩართული ამ საკითხზე მუშაობაში?				ამ საკითხთან დაკავშირებით, არსებული პრაქტიკის შეცვლა რამდენად შეცვლის მოსწავლეების აკადემიურ მოსწრებას?				რამდენად დიდი ძალისხმევა დასჭირდება ამ საკითხთან დაკავშირებით არსებული პრაქტიკის შეცვლას?			
	სრულიად არა			ძალიან	სრულიად არა			ძალიან	სრულიად არა			ძალიან
ჩემს სკოლაში ...	1	2	3	4	1	2	3	4	1	2	3	4
21. მასწავლებელი ავალებს მოსწავლეებს, თემის გამეორებისას, წარმოდგენის არალინგვისტური საშუალებებით გაასწორონ შეცდომები.												
22. მასწაელებელი მოსწავლეებს ისეთ დავალებებს აძლევს, რომელთა შესრულების დროსაც თემების შედარება და კლასიფიცირება უნევთ.												
23. მასწავლებელი მოსწავლეებს ისეთ დავალებებს აძლევს, რომელთა შესრულების დროსაც მეტაფორებისა და ანალოგიების შექმნა უნევთ.												
24. მასწავლებელი მოსწავლეებს ისეთ დავალებებს აძლევს, რომელთა შესრულების დროსაც მოსწავლეებს უნევთ ჰიპოთეზის ჩამოყალიბება.												
კლასის მართვის სტილი:												
25. მოსწავლეებისთვის დადგენილია სრულყოფილი და მკაფიოდ ჩამოყალიბებული საკლასო ყოფაქცევის წესები და პროცედურები; განსაზღვრულია სასწავლო დღის დასაწყისი და დასასრული, შესვენებების დრო, მასალებისა და ტექნიკური მონყობილობების გამოყენების წესები ჯგუფური და ინდივიდუალური მუშაობისას.												

სამუშაო ფურცელი №8 – გაგრძელება

	რამდენად აქტიურად ეართ ჩართული ამ საკითხზე მუშაობაში?				ამ საკითხთან დაკავშირებით, არსებული პრაქტიკის შეცვლა რამდენად შეცვლის მოსწავლეების აკადემიურ მოსწრებას?				რამდენად დიდი ძალისხმევა დასჭირდება ამ საკითხთან დაკავშირებით არსებული პრაქტიკის შეცელას?			
	სრულიად არა			ძალიან	სრულიად არა			ძალიან	სრულიად არა			ძალიან
ჩემს სკოლაში	1	2	3	4	1	2	3	4	1	2	3	4
26. გაკვეთილზე მასწავლებელი ისეთ დისციპლინურ საშუალებებს იყენებს, რომლებიც ხელს უწყობს ადეკვატური ქცევის ნორმების დანერგვას.												
27. მოსწავლეებს სჯერათ, რომ მასწავლებელი მათ სწორ მიმართულებას აძლევს.												
28. მოსწავლეებს სჯერათ, რომ მათი პრობლემები და სურვილები გათვალისწინებული იქნება.												
29. მასწავლებელი სხვადასხვა მოსწავლესთან განსხვავებულ სტრატეგიებს იყენებს, რათა ყოველი მათგანი თანაბარ ყურადღებას გრძნობდეს.												
30. მასწავლებელი აქტიურად იყენებს სხვადასხვა მეთოდს, რათა გამოავლინოს კლასში არსებული ან პოტენციული პრობლემები.												
31. მასწავლებელი სწრაფად და თავდაჯერებულად რეაგირებს მოსწავლის არაადეკვატურ საქციელზე.												
32. მასწავლებელი აქტიურად იყენებს სხვადასხვა მეთოდს, რათა შეინარჩუნოს ობიექტურობა მოსწავლეების არაადეკვატურ საქციელზე რეაგირებისას.												

სამუშაო ფურცელი №8 – გაგრძელება

	რამდენად აქტიურად ვართ ჩართული ამ საკითხზე მუშაობაში?				ამ საკითხთან დაკავშირებით, არსებული პრაქტიკის შეცვლა რამდენად შეცვლის მოსწავლეების აკადემიურ მოსწრებას?				რამდენად დიდი ძალისხმევა დასჭირდება ამ საკითხთან დაკავშირებით არსებული პრაქტიკის შეცვლას?			
	სრულიად არა			ძალიან	სრულიად არა			ძალიან	სრულიად არა			ძალიან
ჩემს სკოლაში —	1	2	3	4	1	2	3	4	1	2	3	4
გაკვეთილის დაგეგმვა												
33. გაკვეთილის დაგეგმვისას, მასწავლებელი განსაზღვრავს, რა ცოდნის მოლებაა აუცილებელი მოსწავლეებისთვის (მაგ: ცოდნის კატეგორიები, მაგალითები, შედარებები, მიზეზ-შედეგობრივი კავშირი, ფაქტები, შემთხვევები, ეპიზოდები, ტერმინები, უნარ-ჩვევები, პროცესი).												
34. გაკვეთილის დაგეგმვისას, მასწავლებელი ითვალისწინებს, რომ მოსწავლე სხვადასხვა ფორმითა და სხვადასხვა საშუალების გამოყენებით უნდა გაეცნოს ახალ მასალას (მაგ: მოთხრობა, აღწერილობა, კითხვა, დემონსტრირება, პრეზენტაცია).												
35. გაკვეთილის დაგეგმვისას, მასწავლებელი მკაფიო ზღვარს ავლებს იმ უნარ-ჩვევებსა და პროცესებს შორის, რომელიც უნდა შეიძინოს ან გაიმყაროს მოსწავლემ.												
36. გაკვეთილის დაგეგმვისას, მასწავლებელი გამოყენებულ მაგალითებს იმ ჯგუფების ან კატეგორიების მიხედვით ალაგებს, რომლებიც მოცემული თემის ძირითად მახასიათებლებს წარმოადგენს.												

სამუშაო ფურცელი №8 – გაგრძელება

	რამდენად აქტიურად ვართ ჩართული ამ საკითხზე მუშაობაში?				ამ საკითხთან დაკავშირებით, არსებული პრაქტიკის შეცვლა რამდენად შეცვლის მოსწავლეების აკადემიურ მოსწრებას?				რამდენად დიდი ძალისხმევა დასჭირდება ამ საკითხთან დაკავშირებით არსებული პრაქტიკის შეცვლას?			
	სრულიად არა			ძალიან	სრულიად არა			ძალიან	სრულიად არა			ძალიან
ჩემს სკოლაში	1	2	3	4	1	2	3	4	1	2	3	4
37. გაკვეთილის დაგეგმვისას, მასწავლებელი ითვალისწინებს, რომ მოსწავლეები უნდა ჩაერთონ რთულ პროექტებში, სადაც მათ ახალ თემაზე ინდივიდუალურად მუშაობა მოეთხოვებათ.												

წყარო: *რა განაპირობებს სკოლის ეფექტურობას: კვლევის შედეგების გამოყენება პრაქტიკაში*, რ. ჯ. მარზანო, 2003, ალექსანდრია, ვირჯინია: სასწავლო გეგმების შემუშავებისა და მენტორობის ასოციაცია.

მოცემული კითხვარი განთავსებულია შემდეგ ვებ-გვერდზე: www.whatworksinschools.org

სამუშაო ფურცელი №9

მოსწავლის წარმატების განმსაზღვრელი ფაქტორები

დაწერეთ მოსწავლის წარმატების განმსაზღვრელი შემდეგი ფაქტორების განსაზღვრებები:

1. ოჯახური გარემო;

2. მოსწავლის ინტელექტი და ზოგადი განათლება (ანუ საბაზისო ცოდნა);

3. მოტივაცია.

განიხილეთ შემდეგი შეკითხვა: როგორ ფიქრობთ, რამდენად შეუძლია სკოლას, გავლენა მოახდინოს მოსწავლის წარმატების განმსაზღვრელ ფაქტორებზე?

სამუშაო ფურცელი №10

მოსწავლის წარმატების განმსაზღვრელი ფაქტორების შემადგენელი ელემენტები

მოსწავლის წარმატების განმსაზღვრელ ფაქტორები	შესაძლო სტრატეგიებ
ოჯახური გარემო	
1. მშობლებისთვის სკოლა ატარებს ტრენინგებს, რათა მათ გაუმჯობესონ კომუნიკაცია შვილებთან, დახვეწონ შვილების აღზრდისა და მეთვალყურეობის სტილი.	
მოსწავლის ინტელექტი და ზოგადი განათლება (ანუ საბაზისო ცოდნა)	
2. მოსწავლეები ისეთ სასკოლო პროგრამებში არიან ჩართულნი, რომლებიც ზრდიან და აუმჯობესებენ მათ გამოცდილებას. 3. მოსწავლეები ჩართულნი არიან სასკოლო კითხვის პროგრამაში, რაც ამდიდრებს მათ ლექსიკას. 4. მოსწავლეები გარკვეული პროგრამის ფარგლებში სწავლობენ იმ ლექსიკასა და ფრაზეოლოგიას, რომლებიც კონკრეტულ საგნებში სჭირდებათ.	
მოსწავლის მოტივაცია	
5. მასწავლებლები აფასებენ მოსწავლეების პროგრესს და რეგულარულად უზიარებენ კომენტარებს. 6. მოსწავლეები ჩართულნი არიან სიმულაციურ თამაშებსა და სხვა აქტივობებში. 7. მოსწავლეებს საშუალება ეძლევათ, შექმნან და იმუშაონ საკუთარ გრძელვადიან პროექტებზე. 8. მოსწავლეები ესწრებიან ტრენინგებს მოტივაციის საკითხზე და ეცნობიან მოსაზრებებს იმის თაობაზე, თუ რა გავლენას ახდენს მოტივაციის დინამიკა მათ სწავლაზე.	

ზემოთ ჩამოთვლილი ელემენტები ადაპტირებულია შემდეგი წყაროდან: *რა განაპირობებს სკოლის ეფექტურობას: კვლევის შედეგების გამოყენება პრაქტიკაში*, რ. ჯ. მარზანო, 2003 წელი, ალექსანდრია, ვირჯინია, *სასწავლო გეგმების შემუშავებისა* და *მენტორობის ასოციაცია*.

სამუშაო ფურცელი №11

მოსწავლის ნარმატების განმსაზღვრელი ფაქტორების შემაჯამებელი ელემენტები

მოსწავლის ნარმატების განმსაზღვრელ ფაქტორები	შესაძლო სტრატეგიებ
ოჯახური გარემო	
1. სკოლა მშობლებისთვის ატარებს ტრენინგებს, რათა მათ გააუმჯობესონ კომუნიკაცია შვილებთან, დახვენონ შვილების აღზრდისა და მეთვალყურეობის სტილი.	• მშობელთა ტრენინგების პროგრამების შემუშავება შემდეგ საკითხებზე: აკადემიური მხარდაჭერა, კომუნიკაცია, ნახალისება, დადებითი აღმზრდელობითი სტილი.
მოსწავლის ინტელექტი და ზოგადი განათლება (ანუ საბაზისო ცოდნა)	
2. მოსწავლეები ისეთ სასკოლო პროგრამებში არიან ჩართულნი, რომლებიც ზრდიან და აუმჯობესებენ მათ გამოცდილებას. 3. მოსწავლეები ჩართულნი არიან სასკოლო კითხვის პროგრამაში, რაც ამდიდრებს მათ ლექსიკას. 4. მოსწავლეები, გარკვეული პროგრამის ფარგლებში, სნავლობენ იმ ლექსიკასა და ფრაზეოლოგიას, რომელიც კონკრეტულ საგნებში სჭირდებათ.	• მენტორობის პროგრამის დანერგვა; • ლექსიკის გაუმჯობესების პროგრამების შემუშავება; • საკითხავი პროგრამების შემუშავება.
მოსწავლის მოტივაცია	
5. მასწავლებელი აფასებს მოსწავლეების პროგრესს და რეგულარულად უზიარებს კომენტარებს. 6. მოსწავლეები ჩართულნი არიან სიმულაციურ თამაშებსა და სხვა აქტივობებში. 7. მოსწავლეებს საშუალება ეძლევათ, შექმნან და იმუშაონ საკუთარ გრძელვადიან პროექტებზე. 8. მოსწავლეები ესწრებიან ტრენინგებს მოტივაციის საკითხებზე და ეცნობიან მოსაზრებებს იმის თაობაზე, თუ რა გაელენას ახდენს მოტივაციის დინამიკა მათ სნავლაზე.	• მოსწავლეთა სასკოლო პროექტების დანერგვა; • მონაცემთა ბაზის წარმოება მოსწავლეების აკადემიური მოსწრების მონიტორინგისთვის; • საკუთარი პროგრესის მონიტორინგის უნარ-ჩვევების შესწავლა; • სიმულაციური თამაშებისა და აქტივობების გამოყენება.

ზემოთ ჩამოთვლილი ელემენტები ადაპტირებულია შემდეგი წყაროდან: *რა განაპირობებს სკოლის ეფექტურობას: კვლევის შედეგების გამოყენება პრაქტიკაში*, რ. ჯ. მარზანო, 2003 ნელი, ალექსანდრია, ვირჯინია, *სასწავლო გეგმების შემუშავებისა* და *მენტორობის ასოციაცია*.

სამუშაო ფურცელი №12

კითხვარი მოსწავლის ნარმატების განმსაზღვრელი ფაქტორების შესახებ

	რამდენად აქტიურად ვართ ჩართული ამ საკითხზე მუშაობაში?				ამ საკითხთან დაკავშირებით, არსებული პრაქტიკის შეცვლა რამდენად შეცვლის მოსწავლეების აკადემიურ მოსწრებას?				რამდენად დიდი ძალისხმევა დასჭირდება ამ საკითხთან დაკავშირებით არსებული პრაქტიკის შეცვლას?			
	სრულიად არა			ძალიან	სრულიად არა			ძალიან	სრულიად არა			ძალიან
ჩემს სკოლაში	1	2	3	4	1	2	3	4	1	2	3	4
ოჯახური გარემო:												
1. სკოლა მშობლებისთვის ატარებს ტრენინგებს, რათა მათ გააუმჯობესონ კომუნიკაცია შვილებთან, დახვეწონ შვილების აღზრდისა და მეთვალყურეობის სტილი.												
მოსწავლის ინტელექტი და ზოგადი განათლება (ანუ საბაზისო ცოდნა):												
2. მოსწავლეები ისეთ სასკოლო პროგრამებში არიან ჩართულნი, რომლებიც ზრდიან და აუმჯობესებენ მათ გამოცდილებას.												
3. მოსწავლეები ჩართულნი არიან სასკოლო კითხვის პროგრამაში, რაც ამდიდრებს მათ ლექსიკას.												
4. მოსწავლეები, გარკვეული პროგრამის ფარგლებში, სწავლობენ იმ ლექსიკასა და ფრაზეოლოგიას, რომლებიც კონკრეტულ საგნებში სჭირდებათ.												

სამუშაო ფურცელი №12 – გაგრძელება

	რამდენად აქტიურად ვართ ჩართული ამ საკითხზე მუშაობაში?				ამ საკითხთან დაკავშირებით, არსებული პრაქტიკის შეცვლა რამდენად შეცვლის მოსწავლეების აკადემიურ მოსწრებას?				რამდენად დიდი ძალისხმევა დასჭირდება ამ საკითხთან დაკავშირებით არსებული პრაქტიკის შეცვლას?			
	სრულიად არა			ძალიან	სრულიად არა			ძალიან	სრულიად არა			ძალიან
ჩემს სკოლაში —	1	2	3	4	1	2	3	4	1	2	3	4
მოსწავლის მოტივაცია:												
5. მასწავლებელი აფასებს მოსწავლეების პროგრესს და რეგულარულად უზიარებს თავის კომენტარებს.												
6. მოსწავლეები ჩართულნი არიან სიმულაციურ თამაშებსა და სხვა აქტივობებში.												
7. მოსწავლეებს საშუალება ეძლევათ, შექმნან და იმუშაონ საკუთარ გრძელვადიან პროექტებზე.												
8. მოსწავლეები ესწრებიან ტრენინგებს მოტივაციის საკითხებზე და ეცნობიან მოსაზრებებს იმის თაობაზე, თუ რა გავლენას ახდენს მოტივაციის დინამიკა მათ სწავლაზე.												

წყარო: *რა განაპირობებს სკოლის ეფექტურობას: კვლევის შედეგების გამოყენება პრაქტიკაში*, რ. ჯ. მარზანო, 2003, ალექსანდრია, ვირჯინია: სასწავლო გეგმების შემუშავებისა და მენტორობის ასოციაცია.

მოცემული კითხვარი განთავსებულია შემდეგ ვებ-გვერდზე: www.whatworksinschools.org

საპრეზენტაციო პლაკატი №1

პირველი (ა) საგუშაო სემინარის მიზნები:

1. მონაწილეები გაეცნობიან სკოლის წარმატების განმსაზღვრელ ხუთ ფაქტორს:
   - სავალდებულო და განხორციელებადი სასნავლო გეგმა;
   - მიზნების დასახვა და ეფექტური შეფასება;
   - მშობლებისა და თემის ჩართულობა;
   - უსაფრთხო და მოწესრიგებული გარემო;
   - თანამშრომელთა კოლეგიალობა და პროფესიონალიზმი.

2. მონაწილეები განიხილავენ თითოეული ფაქტორის შემადგენელ კონკრეტულ ელემენტებს.
3. მონაწილეები ჩამოაყალიბებენ სკოლების შესაძლო სტრატეგიებს ამ ფაქტორებზე მუშაობისას.

საპრეზენტაციო პლაკატი №2

პირველი (ბ) საგუშაო სემინარის მიზნები:

1. მონაწილეები გაეცნობიან სკოლის წარმატების განმსაზღვრელ ხუთ ფაქტორს:
   - სავალდებულო და განხორციელებადი სასწავლო გეგმა;
   - მიზნების დასახვა და ეფექტური შეფასება;
   - მშობლებისა და თემის ჩართულობა;
   - უსაფრთხო და მოწესრიგებული გარემო;
   - თანამშრომელთა კოლეგიალობა და პროფესიონალიზმი.
2. მონაწილეები განიხილავენ თითოეული ფაქტორის შემადგენელ კონკრეტულ ელემენტებს.
3. მონაწილეები ჩამოაყალიბებენ სკოლების შესაძლო სტრატეგიებს ამ ფაქტორებზე მუშაობისას.
4. მონაწილეები გამოავლენენ იმ სფეროებს, სადაც მათი სკოლა ყველაზე ნაკლებად წარმატებულია.
5. მონაწილეები ჩამოაყალიბებენ სამოქმედო გეგმას მათი სკოლის პრიორიტეტების შესაბამისად.

საპრეზენტაციო პლაკატი №3

მეორე (ა) საგუშაო სემინარის მიზნები:

1. მონაწილეები გაეცნობიან მასწავლებლის წარმატების განმსაზღვრელ სამ ფაქტორს:
   - სწავლების მეთოდები;
   - კლასის მართვის სტილი;
   - გაკვეთილის დაგეგმვა.
2. მონაწილეები განიხილავენ თითოეული ფაქტორის შემადგენელ კონკრეტულ ელემენტებს.
3. მონაწილეები ჩამოაყალიბებენ სკოლების შესაძლო სტრატეგიებს ამ ფაქტორებზე მუშაობისას.

საპრეზენტაციო პლაკატი №4

მეორე (ბ) სამუშაო სემინარის მიზნები:

1. მონაწილეები გაეცნობიან სკოლის წარმატების განმსაზღვრელ სამ ფაქტორს:
   - სწავლების მეთოდები;
   - კლასის მართვის სტილი;
   - გაკვეთილის დაგეგმვა.
2. მონაწილეები განიხილავენ თითოეული ფაქტორის შემადგენელ კონკრეტულ ელემენტებს.
3. მონაწილეები ჩამოაყალიბებენ სკოლების შესაძლო სტრატეგიებს ამ ფაქტორებზე მუშაობისას.
4. მონაწილეები გამოავლენენ იმ სფეროებს, სადაც მათი სკოლა ყველაზე ნაკლებად წარმატებულია.
5. მონაწილეები ჩამოაყალიბებენ სამოქმედო გეგმას თავიანთი სკოლის პრიორიტეტების შესაბამისად.

საპრეზენტაციო პლაკატი №5

მესამე (ა) საეშეპო სემინარის მიზნები:

1. მონაწილეები გაეცნობიან მოსწავლის წარმატების განმსაზღვრელ სამ ფაქტორს:
   - ოჯახური გარემო;
   - მოსწავლის ინტელექტი და ზოგადი განათლება (ანუ საბაზისო ცოდნა);
   - მოსწავლის მოტივაცია.
2. მონაწილეები განიხილავენ თითოეული ფაქტორის შემადგენელ კონკრეტულ ელემენტებს
3. მონაწილეები ჩამოაყალიბებენ სკოლების შესაძლო სტრატეგიებს ამ ფაქტორებზე მუშაობისას.

საპრეზენტაციო პლაკატი №6

მესამე (ბ) საგუშაო სემინარის მიზნები:

1. მონაწილეები გაეცნობიან მოსწავლის წარმატების განმ-საზღვრელ სამ ფაქტორს:
   - ოჯახური გარემო;
   - მოსწავლის ინტელექტი და ზოგადი განათლება (ანუ საბაზისო ცოდნა);
   - მოსწავლის მოტივაცია.
2. მონაწილეები განიხილავენ თითოეული ფაქტორის შე-მადგენელ კონკრეტულ ელემენტებს
3. მონაწილეები ჩამოაყალიბებენ სკოლების შესაძლო სტრატეგიებს ამ ფაქტორებზე მუშაობისას.
4. მონაწილეები გამოავლენენ იმ სფეროებს, სადაც მათი სკოლა ყველაზე ნაკლებად წარმატებულია.
5. მონაწილეები ჩამოაყალიბებენ სამოქმედო გეგმას მათი სკოლის პრიორიტეტების შესაბამისად.

რა განსაზღვრავს

სკოლის ეფექტურობას



ხაოიხავი
მასალა და სხვა
რესურსები

Barth, P., Haycock, K., Jackson, H., Mora, K., Ruiz, P., Robinson, S., et al. (1999). *Dispelling the myth: High poverty schools exceeding expectations*. Washington, DC: The Education Trust.

Marzano, R. J. (1998a). *A theory-based meta-analysis of research on instruction*. Aurora, CO: Mid-continent Research for Education and Learning. (ERIC Document Reproduction No. ED 427087)

Marzano, R. J. (2000). *A new era of school reform: Going where the research takes us*. Aurora, CO: Mid-continent Research for Education and Learning. (ERIC Document Reproduction Service No. ED454255)

Marzano, R. J. (2003). *What works in schools: Translating research into action*. Alexandria, VA: Association for Supervision and Curriculum Development.

Mazano, R. J., Pickering, D. J., & Pollock, J. E. (2001). *Classroom instruction that works: Research-based strategies for increasing student achievement*. Alexandria, VA: Association for Supervision and Curriculum Development.

Scheerens, J., & Bosker, R. (1997). *The foundations of educational effectiveness*. New York: Elsevier.

Teddlie, C., & Reynolds, D. (Eds.). (2000). *The international Handbook of school effectiveness research*. New York: The Falmer Press.

Wang, M. C., Haertel, G. D., & Walberg, H. J. (1993). Toward a knowledge base for school learning. *Review of Educational Research, 63(3), 249-294*.

საკითხავი მასალა №1



საუკეთესო დროის შესახებ

ალბათ ციტატა ჩარლზ დიკენსის მოთხრობიდან, *ორი ქალაქის ამბავი*, დღესდღეობით, უფრო ზუსტად, ვიდრე ოდესმე, საჯარო განათლების მდგომარეობას აღწერს: „ეს იყო საუკეთესო და ყველაზე უარესი დრო". პრინციპში, დღევანდელი საჯარო განათლების სისტემის კრიტიკას თუ გავითვალისწინებთ, ყველა, ვინც თორმეტწლიან საშუალო განათლების სისტემაშია ჩართული, ამ ციტატის მეორე ნაწილს უფრო დაეთანხმება, ვიდრე პირველს. წინამდებარე წიგნმა კი გვსურს, ახალი პერსპექტივა შექმნას; კერძოდ, დაამტკიცოს ის, რომ თორმეტწლიან საშუალო განათლების სისტემას საუკეთესო პერიოდი დაუდგება, თუკი ჩვენ ამას მოვინდომებთ. აღნიშნული განცხადების გაკეთების საფუძველს მაძლევს ოცდათხუთმეტწლიანი კვლევის შედეგები, რომლის მიზანმიმართულად გამოყენებაც შეიძლება საჯარო განათლების უპრეცედენტო ეფექტურობის საფუძველი გახდეს. საჯარო სკოლებმა უნდა შეძლონ მოსწავლეთა სწავლის პროცესისა და შედეგების გაუმჯობესება. როგორც მომდევნო თავებშია აღწერილი, ამერიკის შეერთებულ შტატებში ნებისმიერ სკოლას შეუძლია ეფექტურობის მაღალი ხარისხის მიღწევა, თუ ის მოისურვებს სათანადო რეფორმების განხორციელებას. ვიდრე ამ შესაძლებლობებს განვიხილავდეთ, პირველ რიგში, გავეცნოთ კრიტიკულ შეხედულებებს ამერიკის შეერთებული შტატების განათლების სისტემის შესახებ – ანუ იმ მოსაზრებებს, რომლებიც ამტკიცებენ, რომ განათლების სისტემა, დღეს ყველაზე ცუდ ვითარებაშია.

მტიცებულებები განათლების სისტემის არადამაკმაყოფილებელი ვითარების შესახებ

საჯარო განათლების ისტორია, განსაკუთრებით XX საუკუნეში, მდიდარია კრიტიკით (ტიაკი, 1974 წელი; გიაკი და ტობინი, 1994 წელი). მეოცე საუკუნე თორმეტწლიანი საშუალო განათლების შეცვლის მცდელობით დაიწყო. ამ ინიციატივას მეთაურობდა ***კარნეგის ფონდი სწავლების გაუმჯობესების შესახებ***. აღნიშნული რეფორმის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შედეგი იყო „კარნეგის დეპარტამენტის" დაფუძნება, რომელიც მომავალში აკადემიური მიღწევების სტანდარტების განმსაზღვრელი იქნებოდა.

საჯარო განათლების კრიტიკამ და ამ კრიტიკის თანამდევმა რეფორმამ წარმატებით იმუშავა მეოცე საუკუნის პირველ ნახევარში. თუმცა, განათლების სისტემის დღევანდელ მდგომარეობაზე პირდაპირი გაელენა საუკუნის მეორე ნახევარში გატარებულ რეფორმებს უფრო აქვს. პირველი რეფორმა უკავშირდება 1957 წელს *თანამგზავრის* გაშ-

ვებას. ამ ფაქტით განცვიფრებულმა ამერიკულმა საზოგადოებამ კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა ამერიკის განათლების სისტემის ეფექტურობა. ისეთი გავლენიანი ფიგურა, როგორიც იყო ადმირალი ჰიმან რიკოვერი (1959 წელი) ამტკიცებდა, რომ საჯარო განათლების სისტემა ასუსტებდა მოსწავლეების ინტელექტუალურ შესაძლებლობებს. რიკოვერის ნიგნში, ***განათლება და თავისუფლება***, პირდაპირ უკავშირდება ერთმანეთს ქვეყნის უსაფრთხოება და განათლების ხარისხი.

XX საუკუნის 1960-იან წლებში კვლავ გრძელდებოდა განათლების სისტემის მწვავე კრიტიკა. ამ დროს გამოქვეყნდა ნაშრომი, რომელშიც წარმოდგენილი იყო ყველაზე კონკრეტული მტკიცებულებები განათლების სისტემის არაადეკვატურობისა და წარუმატებლობის შესახებ. პრეზიდენტ ჯონსონის ინიციატივის, „ბრძოლა სიღარიბის წინააღმდეგ", ფარგლებში, 1964 წლის სამოქალაქო უფლებების აქტში, აღნიშნული იყო, რომ აუცილებლად უნდა ჩატარდეს გამოკითხვა ქვეყნის მასშტაბით, საგანმანათლებლო შესაძლებლობების შესახებ. აღნიშნული დირექტივის საპასუხო ძალისხმევა, დღევანდელი გადმოსახედიდანაც კი, შთამბეჭდავი იყო. კვლევის ფარგლებში, პირველი, მესამე, მეექვსე, მეცხრე და მეთორმეტე კლასის 640 000-მა მოსწავლემ ჩააბარა გამოცდები, რის შემდეგაც ისინი ექვს ეთნიკურ და კულტურულ ჯგუფად დაყვეს. 4 000 სკოლის სამოციათასმა მასწავლებელმა შეავსო კითხვარი მათი საუნივერსიტეტო განათლებისა და პროფესიული მომზადების პროგრამების შესახებ. შედეგად, დაიწერა და 1966 წლის იელისში გამოქვეყნდა ანგარიში, ***თანასწორუფლებიანობა განათლების ხელმისაწვდომობაში***. მკვლევარების (კოლმანი, კემბელი, ჰობსონი, მაკპარტლენდი, მუდი, ვაინფილდი და იორკი, 1966 წელი) ეს ანგარიში ცნობილია, როგორც „ქოულმანის ანგარიში", ძირითადი ავტორის, ჯეიმს ქოულმანის საპატივსაცემოდ. მოკლედ რომ ვთქვათ, აღნიშნული ანგარიში, ნამდვილად არ ასხამს ხოტბას იმდროინდელ საჯარო განათლებას:

> *შედეგების მიხედვით, ერთი რამ ცხადია: სკოლები მინიმალურ როლსაც კი არ თამაშობენ ბავშვების აკადემიურ წარმატებაში. მათი წინსვლა მხოლოდ სოციალურ მდგომარეობაზე და სკოლის გარეთ მიღებულ ცოდნაზეა დაფუძნებული. სკოლის ასეთი უფუნქციობა არათანაბარ მდგომარეობაში აყენებს სხვადასხვა ოჯახსა და სოციალურ გარემოში გაზრდილ ბავშვებს და, სკოლის დამთავრების შემდეგ, მათ ცხოვრებისეულ უთანასწორობას განაპირობებს. (გვ. 325)*

აღნიშნულმა ანგარიშმა ამერიკის შეერთებულ შტატებში დიდი გავლენა იქონია საზოგადოებრივ შეხედულებებზე საჯარო განათლების მიმართ (მადაუსი, აირასიანი და კელაგანი, 1980 წელი; მადაუსი, კელაგანი, რაკოვი და კინგი, 1979 წელი). ამ ანგარიშის გამოქვეყნებისა და გავრცელების შემდეგ, საბოლოოდ დაინგრა მითი იმის შესახებ, რომ სკოლას შეუძლია მოსწავლის ცოდნის ამაღლება. ყველაზე მეტად ანგარიშის იმ მტკიცებულებაზე საუბრობდნენ, რომლის მიხედვითაც სკოლის გავლენა მოსწავლის აკადემიურ წარმატებაზე მხოლოდ 10%-ის ფარგლებში მერყეობს. დანარჩენი 90% კი სხვა გარემოებებით არის განპირობებული.

ქოულმანის ანგარიშის დასკვნები კიდევ უფრო გამყარდა ქრისტოფერ ჯენქსისა და მისი კოლეგების ნაშრომის გამოქვეყნების შემდეგ: ***უთანასწორობა: მოსწავლეზე ოჯახისა და სკოლის გავლენის გადაფასება***. აღნიშნული ანგარიში ქოულმანის მონაცემების ხელახალი ანალიზის საფუძველზე დაიწერა (ჯენქსი და სხვ. 1972 წელი). ჯენქსის კვლევის შედეგები შემდეგნაირი იყო:

- სკოლები ძალიან მცირედს აკეთებენ იმისათვის, რომ მდიდარი და ღარიბი მოსწავლეების მდგომარეობა გაათანაბრონ;
- სკოლები ძალიან მცირედს აკეთებენ იმისათვის, რომ ათვისების განსხვავებული უნარის მქონე მოსწავლეების აკადემიურ მოსწრებას შორის სხვაობები შეამცირონ;
- მოსწავლის აკადემიურ წარმატებას ერთადერთი ფაქტორი განსაზღვრავს – მოსწავლის სოციალური მდგომარეობა;

- ძალიან მწირია მტკიცებულებები იმის შესახებ, რომ სკოლას შეუძლია მნიშვნელოვანი გაავლენა იქონიოს მოსწავლის აკადემიურ წარმატებაზე.

ქოულმანის და ჯენქსის კვლევის შედეგად გამოტანილი დასკვნები ამერიკის შეერთებული შტატების განათლების სისტემის გამოფხიზლებას მოითხოვდა. გაჩნდა კითხვა: თუ სკოლებს არც კი აქვთ შანსი, განმსაზღვრელი როლი ითამაშონ მოსწავლის აკადემიურ წინსვლაში, მაშინ საერთოდ რატომ უნდა დაიხარჯოს ენერგია სასკოლო რეფორმაზე?

საჯარო განათლების 60-იანი და 70-იანი წლების უარყოფითი შეფასებები კიდევ უფრო რადიკალური გახდა 80-იან წლებში. პიტერ დოუ (1991 წელი) თავის წიგნში, *სასკოლო პოლიტიკა: რა გვასწავლა თანამგზავრის ერამ*, წერს:

> *1983 წელს განათლების სფეროში მოღვაწე პირები დ: მთლიანად, საზოგადოება, ისტორიის მანძილზე ყველაზე მწვავე კრიტიკულობას იჩენენ და 50-იანი წლების კრიტიკასაც კი აჭარბებენ. ამ დროს გამოქვეყნებული ორმოცდაათამდე ნაშრომი სამოციათას გვერდს აღნევს და ამერიკის განათლების სისტემის საეალალო ვითარებას უფრო განსხვავებული კუთხით ხატავს. ნაშრომებში საუბარია სასკოლო სასწავლო გეგმების ფრაგმენტულობაზე, სასწავლო პროცესის არათანმიმდევრულობაზე, განყენებულ ფაქტობრივ მასალაზე გაკეთებულ გადაჭარბებულ აქცენტებზე, ყველაზე მნიშვნელოვანი უნარ-ჩვევებისა და ცნებების მიმართ ყურადღების ნაკლებობაზე. მკვლევარები მოითხოვდნენ მეტ ინდივიდუალიზმს სასწავლო მეთოდებში, მჭიდრო ურთიერთობების ჩამოყალიბებას მასწავლებლებსა და მოსწავლეებს შორის და წამახალისებელი მეთოდების დანერგვას, სასწავლო პროცესში მოსწავლეების აქტიურად ჩაბმისთვის (გვ. 243).*

ამ პერიოდში, **განათლების ხარისხის ეროვნული კომისიის** მიერ გამოქვეყნებულმა კვლევამ, *„ერი რისკის წინაშე"*, კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ თორმეტწლიანი საშუალო განათლების სისტემა გამოუსწორებელ ვითარებაში იმყოფებოდა. ანგარიშში აღნიშნულია, რომ „ჩვენი საზოგადოების საგანმანათლებლო სისტემის საფუძვლები შერყეული და დასუსტებულია, რაც საფრთხეს უქმნის ჩვენს მომავალსა და ერს" (განათლების ხარისხის ეროვნული კომისია, 1983, გვ.5). აღნიშნული მოსაზრების კიდევ უფრო გასამყარებლად, ანგარიშში ასეთი ციტატაც კი გვხვდება: „და ჩვენ, რატომღაც, დაფიქრებისა და ყოველგვარი მცდელობის გარეშე, დავყარეთ ფარ-ხმალი" (გვ. 5).

აღნიშნულმა კვლევამ მნიშვნელოვანი შედეგები გამოიღო, მით უფრო იმიტომ, რომ მასში წარმოდგენილი დასკვნები თეთრი სახლის მიერ სანქცირებულ ოფიციალურ მოსაზრებად იქნა აღქმული. დევიდ ბერლინერი და ბრუს ბიდლი წიგნში, *„შექმნილი კრიზისი: მითები, სიყალბე და თავდასხმა ამერიკის საჯარო სკოლებზე"* (ბერლინერი და ბიდლი, 1995 წელი) აღნიშნავენ:

> *. . . 1983 წელს, თეთრმა სახლმა ამერიკის განათლების სისტემის მიმართ კრიტიკული დოკუმენტი გამოაქვეყნა. ნაშრომი სათაურით, ერი რისკის წინაშე, მომზადდა განათლების მდივნის ტერელ ბელის ხელმძღვანელობის ქვეშ არსებული პრესტიჟული კომიტეტის მიერ და მოხსენიებულ იქნა პრეზიდენტ რონალდ რეიგანის გამოსვლაში (გვ. 3).*

საკმაოდ დიდი იყო ნაშრომის გავლენა 90-იან წლებში. ის ამ პერიოდის ბევრი ავტორის მიერაა ციტირებული (ბენეტი, 1992 წელი, ფინი, 1991 წელი) და განათლების სისტემის დაღმასვლის დამამტკიცებელ ძირითად წყაროდ გამოიყენებოდა.

მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული ნაშრომი სრულიად საკმარისი იყო, 90-იან წლებში განათლების სისტემა ნეგატიური აჩრდილის ქვეშ დაეტოვებინა, მაინც გამოქვეყნდა ახალი კვლევა, *„მესამე საერთაშორისო*

კვლევა მათემატიკასა და ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში", რომელიც კვლავ ამერიკის შეერთებული შტატების განათლების სისტემის არაეფექტურობაზე საუბრობდა. კვლევა ეფუძნებოდა მათემატიკისა და ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების სასწავლო გეგმების, სასწავლო მეთოდებისა და სხვა სასკოლო ფაქტორების ფართომასშტაბიან შედარებით ანალიზს სხვადასხვა ქვეყანაში. ზოგადად, აღმოჩნდა, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში მეოთხე კლასის მოსწავლეებს, სხვა ქვეყნების ამავე ასაკის მოსწავლეებთან შედარებით, უკეთესი აკადემიური შედეგები აქვთ, მერვე კლასელებს კი უფრო დაბალი, ხოლო მეთორმეტე კლასელებში ყველაზე უარესი შედეგები დაფიქსირდა. როგორც ტექნიკურ ანგარიშებში (შმიდტი, მაკნაითი და რეიზონი, 1996 წელი; ამერიკის შეერთებული შტატების განათლების დეპარტამენტი, საგანმანათლებლო სტატისტიკის ეროვნული ცენტრი, 1998 წელი), ასევე კომენტარებში (სტივენსონი და სტიგლერი, 1992 წელი; სტიგლერი და ჰიბერტი, 1999 წელი), საუბარია საჯარო განათლების რეფორმის აუცილებლობაზე. ჩესტერ ფინი (1998 წელი), *„ეოლ სტრიტ ჟურნალში"* გამოქვეყნებულ პროვოკაციულ სტატიაში სათაურით, „რატომ ჰყავს ამერიკას მსოფლიოში ყველაზე ნაკლებად ნიჭიერი ბავშვები", შემდეგ დასკვნებს აკეთებს:

> *დღეს ამერიკის შეერთებული შტატების განათლების დეპარტამენტი ოფიციალურად აქვეყნებს მესამე საერთაშორისო კვლევის მონაცემებს მათემატიკასა და ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში. კვლევა მოიცავს 1995 წელს მსოფლიოს 41 ქვეყანაში ნახევარი მილიონი მოსწავლის მიერ ჩაბარებული გამოცდების შედეგებს. კვლევის შედეგად, ნათელი გახდა, რომ ჩვენს მეოთხე კლასელებს საკმაოდ კარგი შედეგები აქვთ, სხვა ქვეყნების ამავე ასაკის მოსწავლეებთან შედარებით, ხოლო ჩვენი მერვე კლასელების შედეგები საშუალოდან სუსტისკენ იხრება. რაც შეეხება ჩვენს მეთორმეტე კლასელებს, ისინი ყველაზე სუსტები არიან. ალსანიშნავია, რომ ამ მონაცემებში არ შედის აზიის ქვეყნები, მაგალითაც სინგაპური, კორეა და იაპონია, რომელთაც უარი თქვეს კვლევაში მონაწილეობაზე და რომელთა შედეგები ჩვენს უმცროსკლასელებზე უკეთესია (გვ. ა22).*

საჯარო განათლებასთან დაკავშირებული კრიტიკული შეფასებები, რომლებიც მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში ასეთი მძლავრი იყო, ნათლად გვაჩვენებდა, რომ მტკიცებულებები განათლების სისტემის არადამაკმაყოფილებელი ვითარების დამადასტურებლად, საკმაოდ მრავლად არსებობდა. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ალბათ ძნელია, წარმოვიდგინოთ რაიმე არგუმენტი, რომელიც საჯარო განათლების ძლიერ მხარეებს წარმოაჩენდა.

მტიცებულებები განათლების სისტემის სასარგებლოდ

ჩემი პოზიცია იმის თაობაზე, რომ ახლა განათლების სისტემა საუკეთესო პერიოდის საწყის ეტაპზეა, არ ნიშნავს იმას, რომ ზემოჩამოთვლილ ანგარიშებში მოცემულ მტკიცებულებებს აბსოლუტურად უარვყოფ. თუმცა, გასათვალისწინებელია, რომ განათლების სისტემის სასარგებლო არგუმენტები გვხვდება ნაშრომებში *„ერი რისკის წინაშე"* და, ნაწილობრივ, *„მესამე საერთაშორისო კვლევა მათემატიკასა და ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში"*. ყველაზე ნიშანდობლივი არგუმენტები კი, გვხვდება დევიდ ბერლინერისა და ბრუს ბიდლის წიგნში, *„შექმნილი კრიზისი: მითები, სიყალბე და თავდასხმა ამერიკის საჯარო სკოლებზე"* (ბერლინერი და ბიდლი, 1995 წელი); ასევე, ჯერალდ ბრეისის (1997 წელი) წიგნში, *„მონაცემთა გასწორება: არგუმენტები ამერიკის შეერთებული შტატების საჯარო განათლების არასწორი ინტერპრეტაციის საპასუხოდ"*. აღნიშნული ნაშრომები საკმაოდ აგრესიული ტონით ამტკიცებს, რომ წარ-

სულში ჩატარებული კვლევების არასწორად ინტერპრეტაციის გამო, ამერიკის შეერთებული შტატების განათლების სისტემა უარყოფითადაა წარმოჩენილი. მიუხედავად იმისა, რომ ამ ორ ნაშრომში წარმოდგენილ ხედვას სრულად არ ვიზიარებ, მაინც უნდა ითქვას, რომ ორივე მათგანი საკმაოდ დამაჯერებელ არგუმენტებსა და მიდგომას გვთავაზობს, რომელთაც განათლების სფეროში მოღვაწე ადმიანები უნდა იცნობდნენ.

ჩემი ძირითადი პოზიცია საკმაოდ მარტივია: ჩემი აზრით, სკოლებს შეუძლიათ, უზარმაზარი გავლენა იქონიონ მოსწავლის აკადემიურ მიღწევებზე, თუ ისინი, სასწავლო პროცესის გადახალისებისას, კვლევის შედეგებს გაითვალისწინებენ. ამ პოზიციის დასამტკიცებლად, კონკრეტული სკოლებიდან მოყვანილ მაგალითებს არ გამოვიყენებ, უბრალოდ, იმიტომ, რომ ყველა დანარჩენი ავტორი ასე იქცევა (იხილეთ დარლინგ-ჰამონდი, 1997 წელი; რივსი, 2002 სელი; შმოკერი, 1999 და 2001 წლები). ჩემი არგუმენტის ყველაზე მყარი მტიცებულება ალბათ ***Education Trust***-*ის* მიერ გამოქვეყნებული სკოლების სიაა. ამ სკოლებს, ჩვეულებრივ, „სასწაულებრივ ძლევას" უწოდებენ ხოლმე (ბარტი და სხვ. 1999 წელი). აღნიშნული სკოლები ამ სახელწოდებით იმიტომ არიან ცნობილი, რომ მათი მოსწავლეები, რომელთა სოციალური გარემოც აკადემიური წარმატების საშუალებას არ იძლევა, შთამბეჭდავი აკადემიური მოსწრებით გამოირჩევიან. კონკრეტული მაგალითების წარმოდგენის ნაცვლად, მე წარმოვადგენ ოცდათხუთმეტწლიანი კვლევების სინთეზის შედეგად მიღებულ მტკიცებულებებს, რომელთაც, ვფიქრობ, რომ, სასკოლო განათლების სისტემის შესახებ, უპრეცედენტოდ საინტერესო ინფორმაციის მოწოდება შეუძლიათ. ჩემი შეხედულებების ტექნიკური და არატექნიკური აღწერილობა რამდენიმე გამოცემაში მაქვს წარმოდგენილი (მარზანო 1998ა, 2000ა; მარზანო, ფიქერინგი და ფოლოქი, 2001). ჩემი მოსაზრებები დეტალურადაა აღწერილი მომდევნო თავებში. ახლა კი მოკლედ წარმოგიდგენთ სამ ძირითად არგუმენტს.

არგუმენტი I: იმ კვლევებშიც კი, რომელთა მონაცემების მიხედვით, ამტკიცებენ, რომ სკოლა ვერ ახდენს მნიშვნელოვან გავლენას მოსწავლის აკადემიურ წარმატებაზე, რეალურად ჩანს სკოლების გავლენის პოტენციალი, თუკი მონაცემებს სწორ ინტერპრეტაციას გავუკეთებთ.

ქოულმანის ანგარიში, უდავოდ, პირველი პოპულარული კვლევა იყო მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში, რომელიც ამტკიცებდა, რომ მოსწავლის აკადემიურ წარმატებაში სკოლების როლი მინიმალურია. ამ ანგარიშის მთავარი აღმოჩენა ის იყო, რომ სკოლის გავლენა მოსწავლის აკადემიურ წარმატებაზე მხოლოდ 10%-ის ფარგლებში მერყეობს. აღნიშნული მოსაზრება, მოგვიანებით, ჯენქსისა და მისი კოლეგების (1972 წელი) მიერაც დასტურდებოდა. ამ პრობლემის პროცენტული ცვლადების გაზომვის შემდეგ, ნათელი ხდება, რომ, რეალურად, სკოლებს შეუძლიათ, გავლენა იქონიონ მოსწავლის აკადემიურ წარმატებაზე (პროცენტული ცვლადების შესახებ ტექნიკური ინფორმაცია იხილეთ *ტექნიკურ შენიშვნა 1-ში, გვ. 187-188).*

არასტატისტიკური ტერმინებით რომ ვისაუბროთ, ქოულმანის ანგარიშში ასეთი მონაცემების ინტერპრეტაცია შემდეგნაირად ხდება: დავუშვათ, თქვენ ამოწმებთ 1000 მე-8 კლასელის აკადემიურ მოსწრებას. ისინი ხუთი სხვადასხვა სკოლის მოსწავლეები არიან, თითოეული სკოლიდან 200 მოსწავლეა წარმოდგენილი. ასევე, განსხვავებულია მოსწავლეების აკადემიური მოსწრება – ზოგიერთ მათგანს ძალიან მაღალი, ზოგიერთს ძალიან დაბალი, ხოლო უმეტეს მათგანს საშუალო ქულები აქვს. ქოულმანის ანგარიშის მიხედვით, მოსწავლეებს შორის განსხვავებების (უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, კვადრატული სხვაობის) მხოლოდ 10% გამოხატავს იმ სკოლის როლს, რომელშიც კონკრეტული მოსწავლე ირიცხება. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, საუკეთესო და ყველაზე სუსტი სკოლის მოსწავლეების ქულებს შორის განსხვავება მხოლოდ 10 %-ია. მაშ, რა განაპიროებს დანარჩენ 90% განსხვავებებს ქულებს შორის? ქოულმანსა და მის კოლეგებს (1966 წელი) გამოაქვთ დასკვნა, რომ ამ განსხვა-

ცხრილი 1.1. ქოულმანის დასკვნების ხელახალი ინტერპრეტაცია BESD-ის გამოყენებით		
ჯგუფი	შედეგი	
	მოსწავლეების რაოდენობა, რომელთაც გამოცდა ჩააბარეს	მოსწავლეების რაოდენობა, რომლებიც გამოცდაში ჩაიჭრნენ
ეფექტური სკოლები	65.8%	34.2%
არაეფექტური სკოლები	34.2%	65.8%
BESD = ბინომიალური გავლენის ზომის ჩვენება		

ვებების საფუძველი მოსწავლის სოციალური გარემოა.

რამდენად შესაძლებელია ზემოთ აღწერილი მონაცემების ინტერპრეტაცია ისე, რომ დავამტკიცოთ სკოლის დადებითი და მნიშვნელოვანი გავლენის პოტენციალი მოსწავლის აკადემიურ მოსწრებაზე. ქოულმანის ანგარიშის გამოქვეყნების შემდეგ, სტატისტიკოსებმა აღმოაჩინეს, რომ პროცენტული ცვლადების გამოყენება რაიმე ფაქტორის მნიშვნელობის განსასაზღვრად, კვლევის მონაცემების ინტერპრეტაციის საუკეთესო გზა არ არის. ფაქტობრივად, ასეთი ინტერპრეტაცია, გადაჭარბებულად პესიმისტურ/სკეპტიკურ სურათს ქმნის სკოლის როლის შესახებ.

მკვლევარებმა, რობერტ როზენტალმა და დონალდ რუბინმა (1982 წელი) შექმნეს კვლევის მონაცემთა ინტერპრეტაციის უფრო პრაქტიკული ფორმა, განსაკუთრებით, ცვლადის პროცენტულობასთან დაკავშირებით. მათი მიდგომა ცნობილია, როგორც **ბინომიალური გავლების ზომის ჩვენება (*Binomial Effect Size Display)*** ანუ ***BESD*** (ტექნიკური და დეტალური აღწერის გასაცნობად, იხილეთ ტექნიკური შენიშვნა 2, გვ. 189-190). როზენტალისა და რუბინის შეხედულების საილუსტრაციოდ, იხილეთ ცხრილი №1.1, რომელიც ეფუძნება ქოულმანის დასკვნას მოსწავლის აკადემიურ წარმატებაში სკოლის მხოლოდ 10%-იანი გავლენის შესახებ.

მიუხედავად იმისა, რომ სკოლებს შორის არსებობს გრადაცია ეფექტურიდან არაეფექტურამდე, როზენტალისა და რუბინის მიდგომის მიხედვით, სკოლა აუცილებლად უნდა მოექცეს ამ ორი ფართო კეტეგორიიდან ერთ-ერთში. ამდენად, სკოლა უნდა იყოს ან ეფექტური, ან არაეფექტური. როზენტალისა და რუბინის მიდგომა, ასევე, გულისხმობს, რომ მოსწავლეებს, ეფექტური თუ არაეფექტური სკოლებიდან, ჩაუტარდათ ისეთი გამოცდა, რომელიც, თეორიულად, შესაძლოა, მხოლოდ მოსწავლეების ნახევარმა ჩააბაროს. ამ მოცემულობების მიხედვით, ახლა გავაანალიზოთ 1.1. ცხრილი. ცხრილში მოცემული სეტები ორ კატეგორიად იყოფა „მოსწავლეების პროცენტული მაჩვენებელი, რომელთაც გამოცდა ჩააბარეს" და „მოსწავლეების პროცენტული მაჩვენებელი, რომლებიც გამოცდაში ჩაიჭრნენ". ეფექტურ სკოლაში, ჩვეულებრივ, მოსწავლეების 65.8 % ჩააბარებდა გამოცდას, ხოლო 34.2% ჩაიჭრებოდა. შესაბამისად, არაეფექტურ სკოლაში მოსწავლეების 34.2% მიაღწევდა წარმატებას, ხოლო 65.8% – ვერა.

აღნიშნული ხედვა ქოულმანის დასკვნებისგან გაცილებით განსხვავებულ სურათს გვიხატავს. როგორც ვხედავთ, ეფექტურ სკოლებში, არაეფექტურ სკოლებთან შედარებით, მოსწავლეების ორჯერ უფრო მეტი რაოდენობა ჩააბარებდა გამოცდას. ამიტომ ლოგიკური იქნება, თუ ვიტყვით, რომ ეფექტურ სკოლებს, სწორედ რომ შეუძლიათ, გავლენა იქონიონ მოსწავლის აკადემიურ წარმატებაზე.

არგუმენტი II: სკოლების ეფექტურობის კვლევა, საერთო ჯამში, მოსწავლის აკადემიურ წარმატებაზე სკოლის გავლენის საკმაოდ პოზიტიურ სურათს გვიხატავს.

ქოულმანისა და ჯენქსის ანგარიშებით დასაბამი დაედო სკოლის გავლენის შემსწავლელ მომდევნო კვლევებს. მათი ნაშრომის

გავრცელების შემდეგ, ამ საკითხზე მრავალი კვლევა ჩატარდა და გამოქვეყნდა. მაგალითად, ჩარლზ ტედლი, დევიდ რეინოლდსი და პემ სამონსი (2000 წელი) აღნიშნავენ, რომ მოსწავლის აკადემიურ წარმატებაზე სკოლების გავლენა გაცილებით უფრო მაღალია, ვიდრე ქოულმანის 10%-იანი მაჩვენებელი. აღნიშნული ანალიზის სინთეზი მეც წარმოვადგინე ერთ-ერთ ნამუშევარში (მარზანო, 2000ა წელი). გარდა ამისა, ანალიზი გავუკეთე ათ სხვადასხვა კვლევას (ბოსკერი, 1992 წელი; ბირკი და დაუდენბუში, 1992 წელი; ქოულმანი და სხვა, 1972 წელი, ლეიტენი, 1994 წელი; მადაუსი და სხვა, 1979 წელი; როუვი და ჰილი, 1994 წელი; შირენსი და ბოსკერი, 1997 წელი; სტრინგფილდი და ტედლი, 1989 წელი) და აღმოვაჩინე, რომ მოსწავლის აკადემიურ წარმატებაში სკოლების როლი 20%-ის ფარგლებში მერყეობს, რაც, ქოულმანის მაჩვენებელთან შედარებით, ორჯერ უფრო დიდია. რატომ იყო ქოულმანის მაჩვენებელი ასეთი დაბალი? ჯორჯ მადაუსი, მისი კოლეგები (1979 წელი) და ბერლინერი და ბიდლი (1995 წელი) ამ საკითხს დეტალურად განიხილავენ. მადაუსისა და მისი კოლეგების ხედვის მოკლედ ასახსნელად, აუცილებელია, აღინიშნოს შემდეგი: მიუხედავად იმისა, რომ ქოულმანისა და მისი კოლეგებისთვის ხელმისაწვდომი იყო მოსწავლეთა სტანდარტული აკადემიური გამოცდების შედეგები, მათ გადაწყვიტეს, საზომ ერთეულად ლექსიკური მარაგი აერჩიათ. ამიტომაც, მოსწავლის სკოლამდელი საბაზისო ცოდნა აღმოჩნდა ის ცვლადი, რომლის კორელაციაც ყველაზე მაღალი იყო მოსწავლის აკადემიურ მოსწრებასთან. მადაუდი და მისი კოლეგები აღნიშნავენ:

> *. . . . „ვერბალური უნარ-ჩვევები და „სასკოლო მიღწევები" ქოულმანის ანგარიშში ერთმანეთთან არის დაკავშირებული. მათი ანალიზის დასკვნები ახლა უკვე პოპულარულ მითად გადაიქცა, რომლის მიხედვითაც, სკოლის შენობა-ნაგებობები, პირობები, რესურსები, თანამშრომლები და სასწავლო გეგმა დამოუკიდებელ გავლენას ვერ ახდენს მოსწავლის აკადემიურ წარმატებაზე. ქოულმანის განზოგადება ძალიან ზედაპირული და ზიანის მომტანია... იმის მტკიცება, რომ სკოლა ვერ ახდენს სოციალური გარემოსგან დამოუკიდებელ გავლენას მოსწავლის უნარ-ჩვევებზე ზეპირსიტყვიერებაში, სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ სკოლის გავლენა ასევე მინიმალურია კონკრეტული საგნის, მაგალითად, ფიზიკის შესწავლაში... ის ფაქტი, რომ ოჯახურ გარემოსთან დაკავშირებულ ცვლადს, სკოლებთან შედარებით, გაცილებით უფრო დიდი გავლენა აქვთ მოსწავლის ზეპირსიტყვიერებაზე, არ უნდა გამორიცხავდეს სკოლების მნიშვნელოვან როლს, ტრადიციულ აკადემიურ საგნებში ცოდნის ამაღლების კუთხით, რაც სასწავლო პროცესის ყველაზე არსებითი ნაწილია (გვ. 210).*

როგორც ვხედავთ, ქოულმანისა და მისი კოლეგების მიერ მოსწავლის აკადემიურ წარმატებაში ზეპირსიტყვიერების უნარ-ჩვევების მთავარ საზომ ერთეულად გამოყენებამ სკოლის გავლენის არასათანადო შეფასება გამოიწვია.

რამდენად იცვლება რეალური სურათი თუ ჩემ მიერ შემოთავაზებულ, 20%-იან მაჩვენებელს გამოვიყენებთ? დავუბრუნდეთ ისევ როზენტალისა და რუბინის ხედვას, რომელიც 1.2. ცხრილშია წარმოდგენილი.

როგორც 1.2. ცხრილიდან ჩანს, კვლევის განახლებული ანალიზი გვაჩვენებს, რომ ეფექტურ სკოლებს საკმაოდ მნიშვნელოვანი გავლენა აქვთ მოსწავლის აკადემიურ წარმატებაზე. თუ, მაგალითად, ტესტი, რომელსაც, ჩვეულებრივ, მოსწავლეების ნახევარი ჩააბარებდა და ნახევარი ვერა, ჩაუტარდება ეფექტური სკოლის მოსწავლეებს, ტესტის წარმატებით ჩაბარების მაჩვენებელი 72.4 %-მდე იზრდება. შესაბამისად, არაეფექტურ სკოლებში, მოსწავლეების მხოლოდ 27.6% შეძლებდა ამ ტესტის ჩაბარებას. ამდენად, კვლევა გვაჩვენებს, რომ ეფექტურ სკოლებს დიდი გავლენა აქვთ მოსწავლის აკადემიურ წარმატებაზე. მადაუსისა და მისი კოლეგების თანახმად (1979 წელი), მოსწავ-

ცხრილი 1.2. ეფექტური და არაეფექტური სკოლები, 20%-იანი მაჩვენებლის მაგალითზე		
ჯგუფი	შედეგი	
	მოსწავლეების რაოდენობა, რომელთაც გამოცდა ჩააბარეს	მოსწავლეების რაოდენობა, რომლებიც გამოცდაში ჩაიჭრნენ
ეფექტური სკოლები	72.4%	27.6%
არაეფექტური სკოლები	27.6%	72.4%

ლის აკადემიური წარმატების სწორი საზომი ერთეულების გამოყენების შემთხვევაში, დავინახავთ, რომ „სკოლის გავლენა პირდაპირ-პროპორციულია სკოლის ეფექტურობასთან; სხვაობა, სკოლების ეფექტურობას შორის, იწვევს სხვაობას მოსწავლის აკადემიურ მოსწრებაში" (გვ. 223).

არგუმენტი III: მოსწავლის აკადემიურ მოსწრებაზე ეფექტური სკოლების გავლენა გაცილებით უფრო დიდია, ვიდრე მოსწავლის სოციალური ფონისა.

პირველი და მეორე არგუმენტები ეფუძნება სკოლების ტრადიციულ კლასიფიკაციას ორ ძირითად კატეგორიად – ეფექტურ და არაეფექტურ სკოლებად. თუ გავითვალისწინებთ, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში სულ, დაახლოებით, 92 000 საჯარო სკოლაა (საგანმანათლებლო სტატისტიკის ეროვნული ცენტრი, 2002 წელი), შეგვიძლია ვიფარაუდოთ, რომ მათი პროპორციული განაწილება, ეფექტურობის მიხედვით, 1.3. ცხრილში წარმოდგენილი გრაფიკის შესაბამისია (აბსოლუტურად არაეფექტურიდან აბსოლუტურად ეფექტურამდე, სკოლები ხუთი კატეგორიის ქვეშ, შემდეგნაირად განაწილდება: 2.14 – 13.59 – 34.13 – 34.13 – 13.59 – 2.14).

პირველ რიგში, განვიხილოთ 99%-იან ნიშნულთან, აბსოლუტურად ეფექტური სკოლების ქვეშ გაერთიანებული სკოლების 2.14%. რა გავლენა აქვთ ასეთ სკოლებს მოსწავლის აკადემიურ მოსწრებაზე? BESD-ის მიდგომის მიხედვით, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ამ სკოლების მოსწავლეების 84.7% ჩააბარებდა იმ ტესტს, რომლის ჩაბარების საშუალო მოლოდინიც მხოლოდ 50%-ია (დეტალური ახსნა იხილეთ ტექნიკურ შენიშვნა №3-ში, გვ. 190). *ტესტის ჩაბარების ეს მაჩვენებელი დამოკიდებული ვერ იქნება მოსწავლის ზოგად სოციალურ ფონზე.* ამ კატეგორიის ქვეშ გაერთიანებული სკოლები კონკრეტულ ზომებს ატარებენ, რათა დაძლიონ ის სოციალური ფაქტორები, რომელთაც, შესაძლოა, დამაბრკოლებელი გავლენა ჰქონდეთ მოსწავლის აკადემიურ მოსწრებაზე. სკოლების მიერ ამ მიზნით გატარებული ღონისძიებები დეტალურადაა აღწერილი ამ წიგნის მესამე ნაწილში. დასკვნის სახით, შეგვიძლია ერთი რამ განვაცხადოთ, რომ სკოლის გავლენის ასეთი პოტენციალი საჯარო განათლებისთვის დიდ იმედს წარმოადგენს.

ბოლო ოცდათხუთმეტი წლის მანძილზე ჩატარებული კვლევები გვიჩვენებს, რომ ეფექტურ სკოლას ფუნდამენტური გავლენის მოხდენა შეუძლია მოსწავლის აკადემიურ წარმატებაზე. მომდევნო თავებში წარმოდგენილია კვლევების შედეგად შემუშავებული რეკომენდაციები. თუმცა, ამ რეკომენდაციების განხილვამდე, აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ კიდევ ერთი ფაქტორი. მართალია, ეფექტურ სწავლებასთან დაკავშირებით, კვლევების შედეგად მკაფიო რეკომენდაციები შემუშავდა, მაგრამ არის თუ არა ამერიკის შეერთებული შტატების საჯარო განათლების სისტემა მზად ახალი გამოწვევებისთვის?

რამდენად მზად არიან საჯარო სკოლები, კვლევების შედეგების გამოყენებით განახორციელონ სასწავლო რეფორმები?

1990 წელს, ჯონ ჩაბის და ტერი მოუს ავტორობით გამოქვეყნდა გავლენიანი წიგნი *„პოლიტიკა, ბაზარი და ამერიკის სკოლები"* (ჩაბი და მოუ, 1990 წელი). ფართომასშტაბიანი

ცხრილი 1.3
სკოლების ეფექტურობის ამსახველი დიაგრამა



კვლევის შედეგად, რომელშიც 400 სკოლა და 10 000 მასწავლებელი იყო ჩართული, ჩაბიმ და მოუმ ჩემი დასკვნების მსგავსი მოსაზრებები გამოთქვეს:

> *ყველა დანარჩენი ფაქტორის თანაბრობის შემთხვევაში, საშუალო სკოლის ბოლო ორ წელს ეფექტური სკოლის მოსწავლე ერთი სემესტრით მეტ ცოდნას იღებს, ვიდრე არაეფექტური სკოლის მოსწავლე. თუ ამ სხვაობას საშუალო სკოლის ბოლო ოთხი წლის პროპროციულად გამოვთვლით, გამოდის, რომ ეფექტური სკოლის მოსწავლე სრული ერთი აკადემიური წლით მეტ ცოდნას იღებს. ეს კი, უდაოდ, მაღალი მაჩვენებელია. (გვ. 140)*

წინამდებარე წიგნში ვცდილობ, დავამტკიცო, რომ საჯარო განათლების მესვეურები მზად არიან, სკოლის ეფექტურობის გაზრდის მიზნით, კვლევის შედეგებზე დაყრდნობით განახორციელონ რეფორმები, თუმცა ჩაბი და მოუ ამტკიცებენ, რომ საჯარო სკოლების ბიუროკრატიული სტრუქტურა გამორიცხავს რეფორმების გატარების შესაძლებლობას.

> *. . . ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ ამერიკის საჯარო განათლების სფეროში მიმდინარე „რევოლუცია“ მხოლოდ იმედგაცრუებით დასრულდება. პროცესი, შესაძლოა, წარმატებული ყოფილიყო, თუ ის მართლაც რევოლუციური იქნებოდა. სამწუხაროდ, მიუხედავად ასეთი რიტორიკისა, რეფორმა არც გეგმების დონეზე და არც რეალურად იყო რევოლუციური (გვ. 228).*

საბოლოოდ, ჩაბი და მოუ ამტკიცებენ, რომ სკოლების არჩევანი (მაგალითად, ვაუჩერების გამოყენება) კვლევის რეკომენდაციების შესრულების ერთადერთი გზაა.

ჩაბი და მოუ საინტერესო არგუმენტებს გვთავაზობენ რეფორმის გატარებაში სკოლების ავტონომიურობის მნიშვნელობის შესახებ. მათი აზრით, რაც უფრო მეტია სკოლების კონტროლი და შეზღუდვები, მით უფრო ნაკლები შანსი აქვს სკოლას, ეფექტური იყოს. სკოლების თანამშრომლების ცენტრალიზებულად მართვა კი განსაკუთრებით შეაფერხებს სკოლის ეფექტურობისკენ სვლას:

> *ცენტრალიზებული კონტროლის დამაბრკოლებელ გავლენათა შორის, ალბათ ყველაზე დამანგრეველია*

თანამშრომელთა გარე კონტროლი. თუ სკოლის დირექტორები არანაირ როლს არ ასრულებენ თავიანთი სკოლის მასწავლებელთა შერჩევაში, მოსალოდნელია, რომ მათ სკოლაში დასაქმდეს ბევრი ისეთი მასწავლებელი, რომელიც დირექტორისთვის მისაღები არ არის. ნებისმიერ ორგანიზაციაში, სადაც მნიშვნელოვანია გადაწყვეტილებების ერთობლივად მიღება და პასუხისმგებლობების განანილება, ლიდერთან კონფლიქტში მყოფი თანამშრომელი დიდ პრობლემას წარმოადგენს... თანამშრომელთა მართვის ცენტრალიზებული პოლიტიკა, შესაძლოა, სკოლისთვის ყველაზე დიდი ტვირთი აღმოჩნდეს. (გვ. 152).

ამ დასკვნებიდან სასკოლო ვაუჩერებამდე და ქარტიებამდე მხოლოდ პატარა ნაბიჯია დარჩენილი. თუმცა ჩაბისა და მოუს მოსაზრებები „იდეოლოგიური საფუძვლებისა" და კვლევაზე დაფუძნებული ობიექტური შეფასებების ნაკლებობის გამო გააკრიტიკეს (ბერლინერი და ბიდლი, 1995 წელი, გვ. 75). მე კი ვფიქრობ, რომ მათმა მოსაზრებებმა მნიშვნელოვნად განაპირობეს განათლების სისტემის მიყვანა გარდამტეხ გზაჯვარედინამდე – განვახორციელებთ თუ არა რეფორმებს კვლევის შედეგად შემუშავებული რეკომენდაციების მიხედვით? ასეთი ნაბიჯის გადადგმა და არსებული ვითარების შეცვლა სერიოზულ ძალისხმევას მოითხოვს.

როგორია ამ წიგნის სტრუქტურა?

მრავალი მკვლევარის მიერ გამოყენებული კატეგორიზაციის სქემის გათვალისწინებით (ქეროლი, 1963; კოტონი, 1995; ქრემერი, 1994; ელბერტსი და სტოუნი, 1988; გოლდშტაინი, 1997; რაუდენბუში და ბირკი, 1988; რაუდენბუში და ვილმსი, 1995; შირენსი, 1992; შირენსი და ბოსკერი, 1997; ვან დერ ვერფი, 1997; ვალბერგი, 1984; რაიტი, ჰორნი და სანდერსი, 1997), ოცდათხუთმეტწლიანი კვლევის შედეგები, მოსნავლის აკადემიურ მოსწრებაზე გავლენის მიხედვით, სამი ზოგადი კატეგორიის ქვეშ გავაერთიანე. ესენია: (1) სკოლის წარმატების განმსაზღვრელი ფაქტორები, (2) მასწავლებლის წარმატების განმსაზღვრელი ფაქტორები და (3) მოსნავლის წარმატების განმსაზღვრელი ფაქტორები.

სკოლის წარმატების განმსაზღვრელი ფაქტორები, ფუნქციურად, სასკოლო პოლიტიკის, სკოლის მასშტაბით მისაღები გადაწყვეტილებებისა და სასკოლო ინიციატივების სფეროებს მოიცავს (ესენია: სავალდებულო და განხორციელებადი სასნავლო გეგმა, მიზნების დასახვა და ეფექტური შეფასება, მშობლებისა და თემის ჩართულობა, უსაფრთხო და მოწესრიგებული გარემო, კოლეგიალობა და პროფესიონალიზმი).

მასწავლებლის წარმატების განმსაზღვრელი ფაქტორები ინდივიდუალურად, ყოველი მასწავლებლის კონტროლის ქვეშ არსებული მექანიზმებია (სწავლების სპეციფიკური მეთოდები, კლასის მართვის სტილი და გაკვეთილის დაგეგმვა).

მოსწავლის წარმატების განმსაზღვრელი ფაქტორები მოსწავლის სოციალურ ფონსა და სკოლის გარეთ მიღებულ ცოდნას უკავშირდება (ესენია: ოჯახური გარემო, შეძენილი ინტელექტი და საბაზისო ცოდნა, მოტივაცია). 1.4. ცხრილი სრულყოფილად წარმოგვიდგენს ამ მოდელს.

ცხრილი 1.4
მოსწავლის აკადემიური მოსწრების განმსაზღვრელი ფაქტორები

ფაქტორი	მაგალითი
სკოლა	• სავალდებულო და განხორციელებადი სასნავლო გეგმა • მიზნების დასახვა და ეფექტური შეფასება • მშობლებისა და თემის ჩართულობა • უსაფრთხო და მოწესრიგებული გარემო • თანამშრომელთა კოლეგიალობა და პროფესიონალიზმი
მასწავლებელი	• სნავლების მეთოდები • კლასის მართვის სტილი • გაკვეთილის დაგეგმვა
მოსწავლე	• ოჯახური გარემო • მოსწავლის ინტელექტი და ზოგადი განათლება (ანუ საბაზისო ცოდნა) • მოტივაცია

1.4. ცხრილი გულისხმობს, რომ სკოლა წარმოადგენს რეფორმის ცენტრალურ ფოკუსს. უახლესი კელევითი ლიტერატურის დასკვნებიც სნორედ ასეთია (შირენსი და ბოსკერი, 1997 წელი; რეინოლდსი და ტედლი, 2000 წელი; ვანგი, ჰარტელი და ვალბერგი, 1993 წელი). უნდა ითქვას, რომ, ნანილობრივ, ჩვენც ვიზიარებთ ჩაბისა და მოუს წუხილს იმის თაობაზე, რომ რაიონულმა ან ცენტრალურმა ადმინისტრაციამ ზოგჯერ, შესაძლოა, დააბრკოლოს სასკოლო რეფორმა, თუმცა მაინც ვფიქრობთ, რომ საჯარო განათლების სტრუქტურა ახლა საკმარისად მოქნილია იმისათვის, რომ შესაძლებელი გახდეს ცვლილებების განხორციელება, წინამდებარე წიგნში წარმოდგენილი რეკომენდაციების საფუძველზე.

1.4 ცხრილში წარმოდგენილი კატეგორიების მიხედვით, წინამდებარე წიგნი დაყოფილია შემდეგნაირად: პირველ თავში განხილულია სკოლის წარმატების განმსაზღვრელი ხუთი ფაქტორი, მეორე თავი ეთმობა მასნავლებლის ნარმატების განმსაზღერელ ფაქტორებს, მესამე თავი წარმოგვიდგენს მოსნავლის წარმატების განმსაზღვრელ ფაქტორებს და ბოლოს, მეოთხე თავში ჩამოყალიბებულია რეკომენდაციები და წინამდებარე წიგნში მოცემული ინფორმაციის გამოყენების გზები.

შეჯამება

ოცდათხუთმეტწლიანი კვლევა სკოლებს წარმატებისკენ მიმავალი გზისკენ მიუთითებს. მიუხედავად იმისა, რომ მითითებები სრულიად ნათელია, მკვლევარები და საზოგადოება ჯერ კიდევ აგრძელებენ კამათს იმის შესახებ, თუ რამდენად შეუძლია საჯარო განათლებას რეფორმების გატარება. კვლევების შედეგების მიხედვით, წინამდებარე წიგნი სამ ძირითად კატეგორიას განიხილავს: სკოლის, მასნავლებლისა და მოსნავლის წარმატების განმსაზღვრელ ფაქტორებს.

საკითხავი მასალა №2



სკოლის წარმატების განმსაზღვრელი ფაქტორები

დავიწყოთ სკოლის წარმატების განმსაზღვრელი ხუთი ფაქტორის განხილვა, რომელიც 1.4. ცხრილშია წარმოდგენილი. აღნიშნული ფაქტორები სკოლასთან იმიტომ ასოცირდება, რომ მათ შესახებ გადაწყვეტილებების მიღება და მათი უზრუნველყოფა მეტ-ნაკლებად სკოლის უფლებამოსილების ფარგლებში შედის. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, რაიმე ცვლილება ამ ფაქტორებში სკოლის ფორმალური თუ არაფორმალური გადაწყვეტილებების შედეგია.

ვინც ბოლო 35 წლის მანძილზე სკოლის ეფექტურობის თემაზე ჩატარებულ კვლევებს იცნობს, იცის, რომ სკოლის წარმატების განმსაზღვრელი ფაქტორების დიდი ნუსხა არსებობს. ჩვენ ამ ფაქტორებს ხუთი ძირითადი კატეგორიის ქვეშ ვაერთიანებთ. ესენია:

1. საავალდებულო და განხორციელებადი სასწავლო გეგმა;
2. მიზნების დასახვა და ეფექტური შეფასება;
3. მშობლებისა და თემის ჩართულობა;
4. უსაფრთხო და მოწესრიგებული გარემო;
5. თანამშრომელთა კოლეგიალობა და პროფესიონალიზმი.

მოცემული კატეგორიების რიგითობა მოსწავლის აკადემიურ მოსწრებაზე მათი გავლენის მასშტაბის მიხედვითაა მოცემული. ეს იმას ნიშნავს, რომ საავალდებულო და განხორციელებადი სასწავლო გეგმის ფაქტორი ყველაზე დიდ გავლენას ახდენს მოსწავლის აკადემიურ მოსწრებაზე. მას მოჰყვება *მიზნების დასახვა* და *ეფექტური შეფასება* და ა.შ. აღნიშნული რიგითობის დადგენაში სკოლის ეფექტურობის განმსაზღვრელი ფაქტორების შესახებ ჩატარებული კვლევების სინთეზი დაგვეხმარა. კვლევების სინთეზის შესახებ მეტი ინფორმაციის მისაღებად, იხილეთ გუდი და ბროფი, 1986 წელი; მარზანო, 2000, შირენსი და ბოსკერი, 1997; რეინოლდსი და ტედლი, 2000. სკოლის წარმატების განმსაზღვრელი ხუთი ფაქტორის შემუშავებისას, ვეცადეთ, ისეთი ფაქტორები შეგვერჩია, რომელზე მუშაობისთვისაც სკოლას ძალიან ბევრი დამატებითი რესურსის მოძიება არ დასჭირდება. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, წინამდებარე წიგნში განხილული არ არის ისეთი რეკომენდაციები, რომლებიც სამუშაო დროის მნიშვნელოვნად გაზრდას, ან დამატებითი თანამშრომლების დაქირავებას, ან დამატებითი აპარატურის შეძენას მოითხოვს. მიუხედავად იმისა, რომ ყოველი ასეთი ცვლილება მნიშვნელოვან გავლენას მოახდენდა მოსწავლის აკადემიურ მოსწრებაზე, ჩვენი მთავარი მიზანი იყო, ისეთ რეფორმებზე გვემსჯელა, რომლებიც შეიძლება სკოლაში უკვე არსებული რესურსების გამოყენებით განხორციელდეს.

სკოლის წარმატების განმსაზღვრელი ფაქტორები: სხვადასხვა მკვლევარის მოსაზრებათა შედარება

სკოლის წარმატების განმსაზღვრელი ფაქტორებიდან ყველაზე ცნობილია ის ფაქტორები, რომლებიც 70-იან წლებში სკოლების ეფექტურობაზე ჩატარებული კვლევიდან შემუშავდა (იხილეთ გუდი და ბროფი, 1986; მარზანო, 2000). ამ პერიოდის ცნობილი მკვლევარები იყვნენ რონ ედმონდსი (ედმონდსი, 1979, 1979ბ, 1979გ, 1981, 1981ბ), მაიკლ რუტერი (რუტერი, მაუგანი, მორტიმორი, ოუსტონი და სმიტი, 1979) და ვილბურ ბროკოვერი (ბროკოვერი, შვაიცერი, შნაიდერი, ბიდი, ფლადი და ვაიზენბეიკერი, 1978; ბროკოვერი, ბიდი, ფლადი, შვაიცერი და ვაიზენბეიკერი, 1979). ამ მკვლევარებს შორის, სკოლების ეფექტურობის საკითხში, ედმონდის ნაშრომს მოწინავე ადგილი უჭირავს. როგორც გუდი და ბროფი (1986) აღნიშნავენ:

> *1983 წელს მის უდროო გარდაცვალებამდე (ედმონდის), ის იყო ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ფიგურა სკოლების ეფექტურობის მკვლევართა შორის... ედმონდი იყო მკვლევარი, რომელმაც გაავრცელა მოსაზრება, რომ სკოლებს შეუძლიათ და ახდენენ კიდევაც გავლენას მოსწავლის აკადემიურ მოსწრებაზე. (გვ. 582)*

სკოლის წარმატების განმსაზღვრელი ფაქტორები მაშინ უკავშირდებოდა 70-იანი წლების სკოლის ეფექტურობის მოძრაობას, რომელიც შემდეგ კომპონენტებს მოიცავდა:

- ძლიერი ადმინისტრაცია;
- აქცენტის გაკეთება მთავარი უნარ-ჩვევების შეძენაზე;
- აკადემიური მოსწრების მაღალი მოთხოვნის დაწესება;
- უსაფრთხო და მოწესრიგებული გარემო, რომელიც ხელს უწყობს სასწავლო პროცესს;
- მოსწავლეების პროგრესის ხშირი მონიტორინგი.

მართალია, სხვადასხვა მკვლევართან ამ ხუთი ფაქტორის ოდნავ განსხვავებული ვარიანტები გვხვდება (იხილეთ პერკი და სმიტი, 1982), აღნიშნული ხუთი „კორელატი" (ასეთი ტერმინი გამოიყენებოდა ამ ფაქტორებსა და მოსწავლის აკადემიურ მოსწრებას შორის ძლიერი კორელაციის გამო) 70-იანი და ადრეული 80-იანი წლების რეფორმების საფუძველი გახდა. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული „კორელატები", როგორც წესი, სკოლების ეფექტურობის მოძრაობასთან ასოცირდება, ამ წიგნის მომდევნო თავებში მათ ედმონდის კვლევასთან ვაიგივებთ.

სკოლის წარმატების განმსაზღვრელი ფაქტორების კიდევ ერთი გავრცელებული ჩამონათვალი შემუშავებულ იქნა დანიელ ლევინის და ლორენს ლეზოტეს მიერ (1990). ეს ავტორები, ძირითადად, სიტუაციურ ანალიზს ეყრდნობიან და კვლევის შემდეგ გზას მიმართავენ: მაგალითად, ისინი აანალიზებენ სკოლების წარმატების ყველაზე მაღალი მაჩვენებლის მქონე 25 %-ს, და არა დაბალი მაჩვენებლის მქონე 25%-ს. მათი ანალიზის შედეგად, შემუშავდა შემდეგი ფაქტორები:

- ეფექტური გარემო და კულტურა;
- მთავარი აქცენტის გაკეთება სწავლის უნარ-ჩვევების განვითარებაზე;
- სათანადო მონიტორინგი;
- პრაქტიკაზე ორიენტირებულ თანამშრომელთა პროფესიული განვითარება;
- ძლიერი ხელმძღვანელობა;
- მშობლების აქტიური ჩართულობა;
- მაღალი მოლოდინი და მოთხოვნები მოსწავლეების მიმართ.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ლევინისა და ლეზოტეს მიერ შემუშავებული ფაქტორები, ასევე, მოიცავდა ეფექტურ სასწავლო მეთოდებსა და მათ პრაქტიკაში გამოყენებას. ჩვენს ნაშრომში კი ეს ფაქტორი მასწავლებლის წარმატების განმსაზღვრელ ფაქტორებშია გაერთიანებული.

პემ სემონსმა და მისი კოლეგებმა (სემონსი, 1999; სემონსი, ჰილმანი და მორტიმო-

რი, 1995) ჩაატარეს ლევინისა და ლეზოტეს (1990) მსგავსი ანალიზი. თუმცა, მათ უფრო რაოდენობრივი მონაცემები გამოიყენეს და ნაკლებად მიმართეს სიტუაციური ანალიზის მეთოდს. მათ გამოაქვეყნეს სკოლის წარმატების განმსაზღვრელი შემდეგი ფაქტორები:

- ადმინისტრაციის პროფესიონალიზმი;
- მთავარი აქცენტი სწავლებასა და სწავლაზე;
- საერთო ხედვა და მიზნები;
- სწავლის ხელშემწყობი გარემო;
- მაღალი მოლოდინი;
- პოზიტიური მხარდაჭერა;
- პროგრესის მონიტორინგი;
- მოსწავლის უფლებები და მოვალეობები;
- სკოლისა და ოჯახის პარტნიორობა;
- სწავლის ორგანიზება.

ამ მკვლევარების მიერ შემუშავებული სრული სია, ასევე, მოიცავს *მიზანმიმართულ სწავლებას*, რომელიც ამ წიგნში მასწავლებლის წარმატების განმსაზღვრელ ფაქტორებს შორის განიხილება.

რაოდენობრივ კვლევებს შორის, ერთ-ერთი ძლიერი ნაშრომი, სკოლის წარმატების განმსაზღვრელი ფაქტორების შესახებ, გამოაქვეყნა ჯაპ შირენსმა და როელ ბოსკერმა (შირენსი და ბოსკერი, 1997; შირენსი, 1992; ბოსკერი, 1992; ბოსკერი და ვიციერსი, 1995, 1996). მათ შეიმუშავეს სკოლის წარმატების განმსაზღვრელი რვა ფაქტორი. მათი ნაშრომი იმით განსხვავდებოდა ყველა დანარჩენისგან, რომ მათ მიერ შემუშავებული ფაქტორები იმ რიგითობით იყო წარმოდგენილი, რა მასშტაბის გავლენასაც ახდენდნენ მოსწავლის აკადემიურ მოსწრებაზე (იხილეთ ცხრილი 2.1.).

შირენსისა და ბოსკერის ცხრილმა მნიშვნელოვნად გააფართოვა ჩვენი წარმოდგენა მოსწავლის აკადემიურ მოსწრებასა და სკოლის წარმატების განმსაზღვრელ ფაქტორებს შორის ურთიერთკავშირზე.

ცხრილი 2.1.

შირენსისა და ბოსკერის ცხრილი.

სკოლის წარმატების განმსაზღვრელი ფაქტორები

რიგითობა	ფაქტორი
1	დრო
2	მონიტორინგი
3	მიღწევების მოთხოვნა
4	მშობლების ჩართულობა
5	ატმოსფერო
6	მასალის დაფარვა
7	სკოლის ხელმძღვანელობა
8	თანამშრომლობა

შენიშვნა: შირენსისა და ბოსკერის სიაში, ასევე, შედიოდა მეცხრე ფაქტორი — საშინაო დავალება. ჩვენს ნაშრომში აღნიშნული ფაქტორი მასწავლებლის წარმატების განმსაზღვრელ ფაქტორებს შორისაა განხილული. იხილეთ, მარზანო, 2000ა.

წყარო: შირენსი და ბოსკერი (1997). საგანმანათლებლო ეფექტურობის საფუძვლები. ნიუ-იორკი: ელსევირი.

წინამდებარე წიგნში წარმოდგენილი. სკოლის წარმატების განმსაზღვრელი ხუთი ფაქტორის შემუშავების საფუძვლად გამოვიყენეთ კიდევ ერთი კვლევა, რომელიც თავად ჩავატარეთ (მარზანო 2000ა). ჩვენი ნაშრომი, ფაქტობრივად, შირენსისა და ბოსკერის კვლევის ხელახალ ანალიზსა და განახლებას მოიცავდა. ამ ნაშრომის შედეგები შეჯამებულია ქვემოთ მოცემულ 2.2 ცხრილში (გვ. 18).

ცხრილი 2.2.	
სკოლის წარმატების განმსაზღვრელი ფაქტორების ცხრილი. მარზანო, 2000-ის მიხედვით	
რიგითობა	ფაქტორი
1	სწავლის შესაძლებლობა
2	დრო
3	მონიტორინგი
4	მიღწევების მოთხოვნა
5	მშობლების ჩართულობა
6	ატმოსფერო
7	სკოლის ხელმძღვანელობა
8	თანამშრომლობა
წყარო: მარზანო, რ.ჯ. (2000ა) სკოლის რეფორმის ახალი ერა: საით წაგვიყვანს კვლევა?	

2.1. და 2.2. ცხრილს შორის მთავარი სხვაობა ისაა, რომ შირენსისა და ბოსკერის ფაქტორს „მასალის დაფარვა" სახელი და რიგითობა აქვს შეცვლილი ახალი სახელით -„სწავლის შესაძლებლობა" - ამ ფაქტორმა მეექვსედან პირველ ადგილზე გადაინაცვლა. ეს უმნიშვნელო ცვლილება არ არის. წინამდებარე წიგნის მესამე თავში აღვნერ, თუ რატომ აქვს, სხვა ფაქტორებთან შედარებით, უფრო დიდი გავლენა „სწავლის შესაძლებლობის" ფაქტორს მოსწავლის აკადემიურ მოსწრებაზე.

შესაძლოა, აქ წარმოდგენილი, სკოლის წარმატების განმსაზღვრელი ფაქტორების ხუთი სხვადასხვა ჩამონათვალი, ერთი შეხედვით, ერთმანეთთან აბსოლუტურად შეუთავსებელი მოგეჩვენოთ, თუმცა, კარგად თუ დაკვირდებით, აღმოაჩენთ, რომ ხუთივე, განსხვავებული ტერმინებით, ერთსა და იმავე ელემენტებს მოიცავს. 2.3. ცხრილში წარმოდგენილია მსგავსებები ამ განსხვავებულ ჩამონათვალებს შორის, ხოლო შემდეგ ახსნილია, თუ რა სინთეზის საფუძველზე ჩამოვაყალიბეთ ეს ფაქტორები ხუთ განახლებულ ფაქტორად, რომელიც წიგნის მომდევნო ხუთ თავშია განხილული.

2.3. ცხრილი წარმოგიდგენთ, თუ როგორ იყენებენ მკვლევარები ოდნავ განსხვავებულ ტერმინებს ერთი და იგივე ფაქტორის გამოსახატად. მაგალითად, გაეცანით „მიზნების დასახვისა და ეფექტური შეფასების" ფაქტორის ალტერნატიულ ვარიანტებს:

- „მოსწავლის აკადემიური მოსწრების მაღალი მოთხოვნები" და „მოსწავლის პროგრესის ხშირი მონიტორინგი" – ედმონდსთან;
- „სათანადო მონიტორინგი„ და „მაღალი მოლოდინი და მოთხოვნები" – ლევინსა და ლესოტესთან;
- „მაღალი მოლოდინი" და „პროგრესის მონიტორინგი" – სამონსთან;
- „მონიტორინგი" და „მიღწევების მოთხოვნა" – შირენსსა და ბოსკერთან;
- „მონიტორინგი და „მიღწევების მოთხოვნა" – მარზანოსთან.

ყველა ეს მაგალითი გულისხმობს მოსწავლეებისთვის აკადემიური მიზნების დასახვას, მათი მიღწევებისა და პროგრესის აღიარებასა და შეფასებას. ამდენად, ეს ორი ფაქტორი მე ერთ კატეგორიაში გავაერთიანე და ვუწოდე „რთული მიზნები და ეფექტური შეფასება". შედეგად, 2.3. ცხრილში სინთეზირებული ფაქტორები, სხვა მკვლევარების მიერ შემუშავებული ფაქტორების მსგავსად, კომპლექსური არ გვეჩვენება. მაგალითად, 2.3. ცხრილში, სამონსის ერთ-ერთი ფაქტორი, „პოზიტიური მხარდაჭერა" ჩვენ გავაერთიანეთ „უსაფრთხო და მონესრიგებულ გარემოში". სამონსი აღნიშნულ ფაქტორში მოიაზრებს სამართლიან დისციპლინასა და მოსწავლის შეფასებას. ამდენად, სამონსის ეს ფაქტორი ნაწილობრივ ემთხვევა ჩვენს „მიზნების დასახვასა და ეფექტურ შეფასებას". მოკლედ, 2.3. ცხრილში სხვა მკვლევარების მიერ წარმოდგენილი ფაქტორების სინთეზი ჩვენ მიერ შემუშავებულ, სკოლის წარმატების განმსაზღვრელ ხუთ ფაქტო-

ცხრილი 23

სხვადასხვა მკვლევარის მიერ შემუშავებული, სკოლის წარმატების განმსაზღვრელი ფაქტორების შედარება

ფაქტორები	რიგითობა*	მარზანო	შირენსი და ბოსკერი	სამონსი	ლევინი და ლესტეტ	ედმონდსი
სავალდებულო და განხორციელებადი სასწავლო გეგმა	1	სწავლის შესაძლებლობა	მასალის დაფარვა	მთავარი აქცენტი სწავლებასა და სწავლაზე	სწავლის უნარ-ჩვევების განვითარება	ათვისების უნარ-ჩვევების განვითარება
		დრო	დრო			
მიზნების დასახვა და ეფექტური შეფასება	2	მონიტორინგი	მონიტორინგი	მაღალი მოლოდინი	მაღალი მოთხოვნები და მოლოდინი	მაღალი მოთხოვნები და მოლოდინები
		მიღწევების მოთხოვნა	მიღწევების მოთხოვნა	პროგრესის მონიტორინგი	სათანადო მონიტორინგი	მოსწავლის პროგრესის ხშირი მონიტორინგი
მშობლებისა და თემის ჩართულობა	3	მშობლების ჩართულობა	მშობლების ჩართულობა	პარტნიორობა ოჯახსა და სკოლას შორის	მშობლების აქტიური ჩართულობა	
უსაფრთხო და მონესრიგებული გარემო	4	ატმოსფერო სკოლაში	ატმოსფერო სკოლაში	სასწავლო გარემო	ეფექტური გარემო და კულტურა	უსაფრთხო და მონესრიგებული, სწავლის ხელშემწყობი გარემო
				პოზიტიური მხარდაჭერა		
				მოსწავლის უფლებები და მოვალეობები		
თანამშრომელთა კოლეგიალობა და პროფესიონალიზმი	5	ხელმძღვანელობა	ხელმძღვანელობა	ადმინისტრაციის პროფესიონა-ლიზმი	ეფექტური ხელმძღვანელობა	ძლიერი ადმინისტრაცია
				საერთო ხედვა და მიზნები		
		თანამშრომლობა	თანამშრომლობა	სწავლის ორგანიზება	პრაქტიკაზე ორიენტირებული პროფესიული განვითარება	

* წარმოდგენილი რიგითობა შეესაბამება მოსწავლის აკადემიურ მოსწრებაზე მათი გავლენის მასშტაბებს

რად აბსოლუტურად პირდაპირპროპორციულად არ გარდაიქმნება. თუმცა, ზოგადად, ვამტკიცებთ, რომ სხვადასხვა მკვლევარის მიერ წარმოდგენილი, სკოლის წარმატების განმსაზღვრელი ფაქტორები მაინც ხუთ ძირითად კატეგორიაში ერთიანდება.

ჩვენ მიერ შემუშავებული ფაქტორების რიგითობა შეესაბამება მოსწავლის აკადემიურ მოსწრებაზე ამ ფაქტორების გავლენის მასშტაბებს. ასეთი გადანაწილება ეფუძნება ჩვენსავე ნაშრომს, *„სასკოლო რეფორმის ახალი ერა: საით წაგვიყვანს კვლევა?"* (მარზანო, 2000ა). სკოლის წარმატების განმსაზღვრელი პირველი ფაქტორი, „სავალდებულო და განხორციელებადი სასწავლო გეგმა", პირველი და მეორე ფაქტორების – „სწავლის შესაძლებლობისა" და „დროის" – ნაერთია. მეორე ფაქტორი, „მიზნების დასახვა და ეფექტური შეფასება", ასევე, ორი ფაქტორის, „მონიტორინგისა" და „აკადემიური მიღწევების მოთხოვნის" ერთობლიობას წარმოადგენს.

ჩემი აზრით, ამ ფაქტორების რიგითობის დაცვა აუცილებელია. თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ დაბალი რიგითობის მქონე ფაქტორი ნაკლებად მნიშვნელოვან როლს თამაშობს სკოლის ეფექტურობის კუთხით. ფაქტორები, რომელთა კავშირი, მოსწავლის აკადემიურ მოსწრებასთან შედარებით, სუსტია, გავლენას ახდენენ აკადემიურ წარმატებაზე მხოლოდ გარკვეულ ეტაპამდე. ასეთ კავშირს სტატისტიკურად არაპირდაპირ-პროპორციული კავშირი ეწოდება. გუდი და ბროფი (1986) აღნიშნავენ: „სკოლების ეფექტურობის ბევრ ცვლადს ალბათ არაპირდაპირპროპორციული კავშირი აქვს შედეგე-

ბთან". (გვ. 588). მაგალითად, განვიხილოთ „თანამშრომელთა კოლეგიალობა და პროფესიონალიზმი", რომელიც სკოლის წარმატების განმსაზღვრელ ფაქტორებს შორის მეხუთე ადგილს იკავებს. ერთი შეხედვით, შეიძლება ითქვას კიდეც, რომ თანამშრომლებს შორის კოლეგიალური და პროფესიონალური დამოკიდებულება პირდაპირ გავლენას არ ახდენს მოსწავლის აკადემიურ მოსწრებაზე. თუმცა არაპირდაპირპროპორციული კავშირი ნამდვილად არსებობს და ეს ფაქტორი თავის როლს თამაშობს მოსწავლის აკადემიურ მოსწრებაში. ამ ჰიპოთეზას არა მხოლოდ სტატისტიკური, არამედ ანალიტიკური საფუძველიც აქვს. მასწავლებლებსა და სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენლებს შორის კოლეგიალური და პროფესიონალური დამოკიდებულება, შესაძლოა, აუცილებელი პირობაც კი იყოს მოსწავლის აკადემიური წარმატებისთვის.

ჩვენ მიერ შემუშავებულ ფაქტორებს შორის „ხელმძღვანელობის" ფაქტორის არარსებობა უყურადღებობის შედეგი არ არის. მით უფრო, რომ ეს ფაქტორი ყველა სხვა მკვლევარის ჩამონათვალის ნაწილია. კვლევებში ამ ფაქტორის განსაზღვრება იმდენად ვიწრო, ან იმდენად ყოველისმომცველი იყო, რომ ყველა კატეგორიას მოიცავდა. მაგალითად, შირენსის და ბოსკერის (1997) ნაშრომში, „ხელმძღვანელობის" როლი საკმაოდ ვიწროა და ის ხარისხის კონტროლით შემოიფარგლება. სწორედ ამიტომ იკავებს ალბათ ჩამონათვალში ეს ფაქტორი ბოლოდან მეორე ადგილს. მეორე მხრივ, ლევინის და ლესოტეს ნაშრომში (1990) „ხელმძღვანელობა" მოიცავს: სკოლის გაუმჯობესების მიზნით დახარჯულ დროსა და ენერგიას, მაღალი პროფესიონალიზმის მქონე სასწავლო ადმინისტაციას, სასკოლო აქტივობების ხშირ, უშუალო მონიტორინგსა და რესურსების მოპოვებას. სამონსი და ედმონდსიც „ხელმძღვანელობის" ასეთ ფართო დეფინიციას გვთავაზობენ. ჩვენ გადავწყვიტეთ, ეს ფაქტორი საერთოდ ამოგველო სკოლის წარმატების განმსაზღვრელი ფაქტორებიდან. ჩვენი აზრით, ეს ფაქტორი ყოველისმომცველია და გავლენას ახდენს, როგორც სკოლის, ისე მასწავლებლისა და მოსწავლის წარმატების განმსაზღვრელ ფაქტორებზე. მეთვრამეტე თავში განხილულია ხელმძღვანელობის კრიტიკული როლი სასკოლო რეფორმაში.

ამ თავის მომდევნო ქვეთავებში სათითაოდ აღწერილია სკოლის წარმატების განმსაზღვრელი ფაქტორები. თითოეული ქვეთავში ჯერ განხილულია შესაბამისი კვლევები და შემდეგ წარმოდგენილია რეკომენდებული „სამოქმედო გეგმა".

შეჯამება

მოცემულ თავში მოკლედ გაგაცანით სკოლის წარმატების განმსაზღვრელი ხუთი ფაქტორი. წარმოგიდგინეთ, თუ როგორ მივიღეთ აღნიშნული ხუთი ფაქტორი წინა ხუთი კვლევის შედეგების სინთეზის შემდეგ და თუ რის საფუძველზე დადგინდა აღნიშნული ფაქტორების რიგითობა.

საკითხავი მასალა №3



მასწავლებლის წარმატების განმსაზღვრელი ფაქტორები

ახლა განვიხილავთ იმ ფაქტორებს, რომლებიც გაკვეთილის პროცესში პირდაპირ გავლენას ახდენენ მოსწავლეებზე– ესაა მასწავლებლის გავლენა მოსწავლის აკადემიურ წინსვლაზე. ბუნებრივია, თითოეული მასწავლებელი მოქმედებს იმ გადაწყვეტილებების ფარგლებში, რომელსაც სკოლა იღებს (გადაწყვეტილებები სავალდებულო და განხორციელებადი სასწავლო გეგმის, მიზნების, შეფასების და ა.შ. შესახებ). თუმცა მომდევნო თავებში განხილულ, მასწაელებლის წარმატების განმსაზღვრელ ფაქტორებში ერთიანდება ის კატეგორიები, რომლებიც მასწავლებლის ინდივიდუალური გადაწყვეტილების საგანია. ესენია: სასწაელო მეთოდოლოგია, კლასის მართვის სტილი და გაკვეთილის დაგეგმვა.

80-იანი წლების შუა პერიოდამდე, სკოლების ეფექტურობაზე ჩატარებული კვლევები მხოლოდ სკოლის წარმატების განმსაზღვრელ ფაქტორებს განიხილავდა ისე, თითქოს მხოლოდ სკოლას შეეძლო მოსწაელის აკადემიურ პროგრესზე გავლენის მოხდენა. გუდი და ბროფი (1986) ამ მიდგომასთან დაკავშირებულ რისკებზე საუბრობენ:

> *სკოლების ეფექტურობის კვლევის შედეგად, გამოელინდა წარმატებული სკოლების პროფილი, თუმცა უნდა გავითვალისწინოთ, რომ ეს პროფილი ჯგუფური საშუალო მაჩვენებლების შედეგადაა გამოყვანილი, რაც, შესაძლოა, რეალურად ვერ გვაჩვენებდეს ეფექტურ სკოლაში კონკრეტული ეფექტური მასწავლებლის მუშაობის შედეგებს. სასწავლო პრაქტიკის სფეროში ჩართული მკვლევარები ხშირად ერთიანად განიხილავენ ყველა მასწავლებლის მუშაობას, რათა ჯგუფური საშუალო მაჩვენებელი გამოთვალონ. ასეთი გამარტივებული მიდგომა გამოიწვევს თეორიული ლიტერატურის არამიზანმიმართულ და შეუსაბამო გამოყენებას (გე. 588).*

თუ ჩვენ მართლაც დაინტერესებულნი ვართ, გაეარკვიოთ, თუ რომელი ფაქტორები ახდენენ გავლენას მოსწავლის აკადემიურ მოსწრებაზე, აუცილებელია, დავსვათ შემდეგი შეკითხვა: ზოგადად, სკოლის გარდა, რა გავლენას ახდენს მოსწავლის აკადემიურ მოსწრებაზე თითოეული მასწავლებელი?

მასწავლებლების ინდივიდუალური გავლენა

მიუხედავად იმისა, რომ ამ საკითხის შესახებ ჩატარებული კვლევები ერთმანეთისგან ოდ-

ნავ განსხვავებულ რაოდენობრივ შედეგებს გვაძლევს, მაინც ყველა მკვლევარი თანხმდება ერთ რამეზე, რომ მასწავლებლის ინდივიდუალური გადაწყვეტილებები გაცილებით დიდ გავლენას ახდენს მოსწავლეზე, ვიდრე სკოლის დონეზე მიღებული გადაწყვეტილებები. ს. პოლ რაიტი, სანდრა ჰორნი და უილიამ სანდერსი (1997), მესამედან მეხუთე კლასის ჩათვლით, 60 000 მოსწავლის აკადემიური მოსწრების კვლევის შედეგებზე დაყრდნობით, რაც ხუთი საგნობრივი დისციპლინის (მათემატიკა, კითხვა, ენები, სოციალური მეცნიერებები და ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებები) საგამოცდო ქულების ანალიზს მოიცავდა, აღნიშნავენ:

> *ამ კვლევის შედეგები გვაჩვენებს, რომ მოსწავლის აკადემიურ მოსწრებაზე ყველაზე დიდ გავლენას მასწავლებელი ახდენს. გარდა ამისა, კვლევამ აჩვენა, რომ მასწავლებლების ეფექტურობას შორის არსებობს დიდი სხვაობები. ამდენად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ, ნებისმიერ ფაქტორთან შედარებით, მასწავლებლის ეფექტურობის გაზრდით, ყველაზე უკეთ შეეძლებთ განათლების პროცესის გაუმჯობესებას. ეფექტური მასწავლებლები კარგ შედეგებს იღებენ ნებისმიერი აკადემიური მოსწრების მქონე მოსწავლესთან, კლასის ჰეტეროგენურობის მიუხედავად. თუ მასწავლებელი არაეფექტურია, მისი მოსწავლეებიც, შესაბამისად, ვერ მიაღწევენ აკადემიურ პროგრესს, მიუხედავად მათი ინდივიდუალური მონაცემებისა (გვ.63).*

ამ კვლევის გარდა, უილიამ სანდერსისა და მისი კოლეგების მიერ ჩატარებული კვლევაც (სანდერსი და ჰორნი, 1994; რაიტი, ჰორნი და სანდერსი, 1997) ამტკიცებს, რომ მასწავლებელი ძალიან დიდ გავლენას ახდენს მოსწავლის აკადემიურ მოსწრებაზე. მაგალითად, კატი ჰეიკოკი (1998) აღნიშნავს, რომ სანდერსის კვლევის შედეგები ნათლად გვაჩვენებს იმ სხვაობას, რომელიც შეინიშნება ორ მოსწავლეს შორის, რომელთაგან ერთმა აკადემიური წელი ეფექტურ მასწავლებელთან გაიარა, ხოლო მეორემ – ნაკლებად ეფექტურთან. აღნიშნული სხვაობები

ცხრილი 8.1

სხვაობები მოსწავლეთა აკადემიურ მოსწრებაში, მასწავლებლის ეფექტურობის ფონზე

მასწავლებელი	მოსწავლის აკადემიური მოსწრების ზრდა ერთი აკადემიური წლის განმავლობაში
ნაკლებად ეფექტური	14 %-ით
ყველაზე ეფექტური	53 %-ით

შენიშვნა: სანდერსმა, მოსწავლეების აკადემიური მოსწრების ზრდის მიხედვით, გამოავლინა „ყველაზე ეფექტური" და „ნაკლებად ეფექტური" მასწავლებლები ხუთ ძირითად კატეგორიას შორის: „ყველაზე ეფექტური მასწავლებლები" მიეკუთვნებიან ყველაზე მაღალ კატეგორიას (კატეგორია 1), ხოლო „ნაკლებად ეფექტური მასწავლებლები" ყველაზე დაბალ კატეგორიას (კატეგორია 5).

დამატებითი ტექნიკური ინფორმაციისთვის, იხილეთ ჰეიკოკი, 1998.

ცხრილი ადაპტირებულია შემდეგი წყაროებიდან:

სანდერსი, ე.ლ. და ჰორნი ს.პ. (1994). ტენესის დამატებით ღირებულებაზე დაფუძნებული შეფასების სისტემა: შერეული მოდელის მეთოდოლოგია საგანმანათლებლო შეფასებაში, ჟურნალი: *თანამშრომელთა განათლება განათლების სისტემაში, 8.299-311.*

რაიტი, ს.პ., ჰორნი, ს.პ. და სანდერსი, ვ.ლ. (1997) მასწავლებლისა და საკლასო ოთახში არსებული გარემოს გავლენა მოსწავლის აკადემიურ მოსწრებაზე: მასწავლებელთა შეფასება; ჟურნალი: *თანამშრომელთა განათლება განათლების სისტემაში, 11.57-67.*

წარმოდგენილია 8.1. ცხრილში. საშუალოდ, ეფექტურ მასწავლებლებთან, ერთი აკადემიური წლის შემდეგ, მოსწავლის აკადემიური მოსწრება 53%-ით გაიზარდა, ხოლო დაბალი ეფექტურობის მქონე მასწავლებელთან ასეთმა ზრდამ მხოლოდ 14% შეადგინა. ამ შედეგების ანალიზისთვის, გაითვალისწინეთ ისიც, რომ მკვლევარების თანახმად, მოსწავლე, ერთი აკადემიური წლის განმავლობაში, საშუალოდ, 34%-იან ზრდას უნდა აღწევდეს (იხილეთ გლასი, მაკგოუ და სმიტი, 1981).

კვლევის შედეგების მიხედვით, მოსწავლე, რომელიც აკადემიური წლის დასაწყისში, სექტემბერში, მათემატიკის ტესტში მიიღებს 50 %-იან შეფასებას, წლის ბოლოს იმავე ტესტში 84%-იან შედეგს აჩვენებს. 8.1. ცხრილის მიხედვით, ყველაზე ეფექტური მასწავლებლების კლასში მყოფი მოსწავლეები მოსალოდნელზე მეტ ზრდას აჩვენებენ (მაგ. 53%-იანი, და არა 34%-იანი ზრდა). ხოლო, მოსწავლეები, რომლებიც „ყველაზე ნაკლებ ეფექტური მასწავლებლების" კლასში ირიცხებიან, მოსალოდნელზე დაბალ შედეგს გვაჩვენებენ (მაგ: 14%-იანი ზრდა, 34%-იანის ნაცვლად). აღნიშნული შედეგები უფრო შემაშფოთებელი ხდება, თუ სხვა მკვლევარების მოსაზრებებს გავეცნობით, მოსწავლის ასაკობრივი ზრდისა და აკადემიური მაჩვენებლების ურთიერთობასთან დაკავშირებით. ჰეტი (1992), ჰაენი და დევისი (1977) ამტკიცებენ, რომ, ერთი აკადემიური წლის განმავლობაში, მოსწავლის აკადემიური მიღწევები, ყველა სხვა ფაქტორის უმოქმედობის შემთხვევაში, მხოლოდ ასაკობრივი ზრდის გამო, 6%-ით იზრდება. ამდენად, გამოდის, რომ „ნაკლებად ეფექტური მასწავლებლები", ერთი აკადემიური წლის განმავლობაში, მხოლოდ მინიმალურ ცოდნას აძლევენ მოსწავლეებს.

„ნაკლებად ეფექტურ მასწავლებელთან" ერთი აკადემიური წლის გატარება საკმაოდ უარყოფით შედეგს გვაძლევს, თუმცა ჯამური ეფექტი კიდევ უფრო დამანგრეველია. საილუსტრაციოდ, იხილეთ სანდერსისა და მისი კოლეგების კვლევაზე დაყრდნობით შედგენილი 8.2. ცხრილი (ჰეიკოკის ანგარიშიდან, 1998).

8.2 ცხრილი გვაჩვენებს 54%-იან სხვაობას, იმ მოსწავლეების აკადემიურ მოსწრებას შორის, რომლებიც „ყველაზე მეტად ეფექტურ" და „ყველაზე ნაკლებად ეფექტურ" მასწავლებელთან სწავლობენ – 29%-იანი და 83%-იანი ზრდა სამი წლის განმავლობაში. ამ სხვაობაზე ჰეიკოკი (1998) აღნიშნავს:

> *ასეთი სიდიდის სხვაობა, 50%-ზე მეტი, გამაოგნებელია. ალბათ ყველანი ეთანხმებით იმაზე, რომ მოსწავლეების აკადემიურ მოსწრებას შორის ასეთი სხვაობა, საბოლოო ჯამში, ერთი მხრივ, აბსოლუტურად „წარმატებულ" კარიერას და, მეორე მხრივ, „ეკლიან" გზას ნიშნავს. ასეთი სხვაობა განაპირობებს ან პრესტიჟულ უნივერსიტეტში სწავლის გაგრძელებას, ან მთელი ცხოვრება „მაკდონალდსში" მუშაობას (გვ.4).*

სანდერსმა და მისმა კოლეგებმა მონაცემები ტენესის სკოლების დაწყებით კლასებში შეაგროვეს. აღსანიშნავია, რომ მათ გარდა სხვა ბევრმა მკვლევარმაც აღმოაჩინა ასეთი განსხვავებები. ჰეიკოკი (1998) მსგავს დასკვნებს აკეთებს დალასისა და ბოსტონის სკოლების მაგალითზე.

ჩვენი კვლევები ოდნავ განსხვავებული მიმართულებით ჩატარდა, თუმცა ჩვენც იმავე დასკვნებამდე მივედით. ტენესიში, დალასსა და ბოსტონში ჩატარებული კვლევები

ცხრილი 8.2

ჯამური ეფექტი სამი წლის განმავლობაში, მოსწავლეების აკადემიურ მოსწრებაზე მასწავლებლის ეფექტურობის გავლენის მიხედვით

ყველაზე ეფექტური	83 %-იანი ზრდა
ნაკლებად ეფექტური	29 %-იანი ზრდა

სხვადასხვა პერიოდში შეგროვებულ მონაცემებს ეფუძნებოდა; ჩვენი ანალიზი იმ წინაპირობას ეფუძნებოდა, რომელიც წინა კვლევების შედეგად დავადგინეთ და რომლის მიხედვითაც სკოლების როლი მოსწავლის აკადემიურ მოსწრებაში 20%-ის ფარგლებში მერყეობს (იხ. თავი 1). თუმცა, კვლევების სინთეზის შედეგად, აღმოვაჩინეთ, რომ, 20%-იანი მაჩვენებლის ფარგლებში, გავლენის 67% ინდივიდუალური მასწავლებლის ეფექტურობით არის განპირობებული. ანუ, სკოლის 20%-იანი გავლენის ფარგლებში, ეფექტის 13% მასწავლებლის ეფექტურობით განისაზღვრება, ხოლო 7% - სკოლის ეფექტურობით (ბოსკერი, 1992; ლუოტენი, 1994; მადაუსი და სხვ. 1979; მარზანო, 2000ა; სტრინგფილდი და ტედლი, 1989). ჩვენ მიერ ჩატარებული ანალიზის შედეგები წარმოდგენილია 8.3. ცხრილში. ამ მონაცემების შესახებ მეტი ინფორმაციის მისაღებად, იხილეთ ტექნიკური შენიშვნა 6, გვ. 191-192.

8.3. ცხრილში წარმოდგენილია მოსწავლის აკადემიური მოსწრების ექვსი სხვადასხვა სცენარი, სკოლისა და მასწავლებლის სხვადასხვა დონის ეფექტურობის კომბინაციების მიხედვითა და იმ წინაპირობის გათვალისწინებით, რომ, მოსწავლის სკოლაში შესვლისას, მისი აკადემიური მოსწრება 50%-იან ნიშნულზე დგას. თუ, მაგალითად, მოსწავლის სანყისი წერტილი მათემატიკაში 50%-იან ნიშნულზეა და ის საშუალო ეფექტურობის სკოლაში საშუალოდ ეფექტურ მასწავლებელთან სწავლობს, მისი აკადემიური მოსწრება იმავე, 50%-იან ნიშნულზე დარჩება ორი წლის შემდეგაც (იხილეთ 8.3. ცხრილის პირველი კომბინაცია). ახლა განვიხილოთ მეორე სცენარი, სადაც მოსწავლე სწავლობს დაბალი ეფექტურობის სკოლაში და ჰყავს დაბალი ეფექტურობის მასწავლებელი. ამ შემთხვევაში, ორი წლის შემდეგ მოსწავლის აკადემიური მოსწრება 50%-იანი ნიშნულიდან 3%-იან ნიშნულამდე ინევს. მესამე სცენარში მოსწავლე დაბალი ეფექტურობის სკოლაში სწავლობს და ჰყავს მაღალი ეფექტურობის მასწავლებელი. მიუხედავად იმისა, რომ მოსწავლის აკადემიური მოსწრება საწყის ეტაპზე 50%-იან ნიშნულზეა, ორი წლის შემდეგ ეს მაჩვენებელი 37%-იან ნიშ-

ცხრილი 8.3

სკოლის გავლენა მოსწავლის აკადემიურ მოსწრებაზე და მასწავლებლის ეფექტურობის გავლენა მოსწავლეზე, რომელიც სკოლაში 50%-იანი მაჩვენებლით შედის

სკოლისა და მასწავლებლის ეფექტურობა	აკადემიური მიღწევების პროცენტული მაჩვენებელი ორი წლის შემდეგ
საშუალო დონის სკოლა და საშუალო დონის მასწავლებელი	50%
დაბალი ეფექტურობის სკოლა და დაბალი ეფექტურობის მასწავლებელი	3%
მაღალი ეფექტურობის სკოლა და დაბალი ეფექტურობის მასწავლებელი	37%
დაბალი ეფექტურობის სკოლა და მაღალი ეფექტურობის მასწავლებელი	63%
მაღალი ეფექტურობის სკოლა და მაღალი ეფექტურობის მასწავლებელი	96%
მაღალი ეფექტურობის სკოლა და საშუალო დონის მასწავლებელი	78%

იხილეთ ტექნიკური შენიშვნა 6, გვ.191-192, საშუალო, დაბალი და მაღალი ეფექტურობის სკოლებისა და მასწავლებლების კატეგორიზაციის შესახებ ინფორმაციის მისაღებად.

ადაპტირებულია შემდეგი წყაროდან: მარზანო, რ.ჯ: *სასკოლო რეფორმის ახალი ერა: საით ნაგვიყვანს კვლევა?* 2000 წ.

ნულამდე ინევა. მეოთხე სცენარში მოსწავლე დაბალი ეფექტურობის სკოლაში სწავლობს, მაგრამ მაღალი ეფექტურობის მასწავლებელი ჰყავს. ამ შემთხვევაში, ორი წლის შემდეგ მოსწავლის აკადემიური მოსწრება 50%-იანი ნიშნულიდან 63%-იანი ნიშნულამდე იზრდება – საწყის წერტილზე 13%-ით მაღალი მაჩვენებლით. მეხუთე სცენარი ყველაზე ოპტიმისტურია. მოსწავლე მაღალი ეფექტურობის სკოლაში მაღალეფექტურ მასწავლებელთან სწავლობს. საწყის ეტაპზე მისი აკადემიური მოსწრება 50%-იან ნიშნულზეა დაფიქსირებული და ეს მაჩვენებელი ორი წლის შემდეგ 96%-მდე იზრდება. მეექვსე სცენარში სკოლა მაღალეფექტურია, ხოლო მასწავლებელი საშუალო დონის. ასეთ შემთხვევაში, 50%-იან ნიშნულზე მყოფი მოსწავლე ორი წლის შემდეგ 78%-ამდე ზრდის აკადემიური მოსწრების მაჩვენებელს.

აღნიშნული კვლევიდან ცხადი ხდება, რომ ეფექტურ მასწავლებლებს ფუნდამენტური გავლენის მოხდენა შეუძლიათ მოსწავლის აკადემიურ მიღწევებზე. მეორე მხრივ, არაეფექტური მასწავლებლები აფერხებენ კიდეც მოსწავლის აკადემიურ წინსვლას. ახლა დროა, განვიხილოთ, რა არის ეფექტური მასწავლებლების მახასიათებლები?

ეფექტური მასწავლებლის მახასიათებლები

მონაცემებისა და კვლევების ანალიზის შედეგად, დავადგინეთ, რომ ჩვენს ქვეყანაში, დაახლოებით, 3 000 000 მასწავლებელი, ეფექტურობისა და მოსწავლის აკადემიურ მოსწრებაზე გავლენის მიხედვით, პროპორციულ სკალაზე ნაწილდება. პროპორციულ, ზარის ფორმის მრუდზე მასწავლებლების უმეტესობა შუა ადგილებს იკავებს და, შესაბამისად, ახლოს დგას საშუალო მაჩვენებელთან. ეს იმას ნიშნავს, რომ მასწავლებლების უმეტესობა საშუალო მაჩვენებელზე ოდნავ დაბლა ან ოდნავ მაღლა დგანან და, შესაბამისად, ასეთივეა მათი გავლენა მოსწავლის აკადემიურ მოსწრებაზე. მასწავლებლები, რომლებიც მრუდის უკიდურეს დანაყოფებში განთავსდნენ, ძალიან მაღალი ეფექტურობის, ან ძალიან დაბალი ეფექტურობის კატეგორიის ქვეშ ერთიანდებიან. მასწავლებლებს, რომლებიც ჩვენ მიერ დადგენილ, მასწავლებლის წარმატების განმსაზღვრელ სამ ფაქტორს კარგად ფლობენ, ძალიან მაღალი ეფექტურობის კატეგორიაში მაინც არ ვაერთიანებთ. ჩვენი აზრით, ამ სამი ელემენტის კარგად ფლობა მათ საშუალო დონის მასწავლებლის (ან საშუალოზე ოდნავ უფრო მაღალი დონის) სტატუსს სძენს. გახსოვდეთ, რომ საშუალო ეფექტურობის მასწავლებელს მოსწავლის აკადემიურ მოსწრებაზე საკმაოდ დიდი გავლენის მოხდენა შეუძლია (იხ. მეექვსე სცენარი 8.3. ცხრილში).

მოცემული სცენარის მაგალითზე გამოჩნდა, რომ თუ მასწავლებელი საშუალოდეფექტურია, ხოლო სკოლა მაქსიმალურად ცდილობს, იყოს ეფექტური, მოსწავლეები ბრწყინვალე მიღწევებს აჩვენებენ. სკოლის ბევრ დირექტორს დაუჩივლია, რომ მათ არ აქვთ თავისუფლება ან რესურსები, დაიქირაონ გამოცდილი და ნიჭიერი მასწავლებლები. ჩვენი კვლევა კი ცხადყოფს, რომ ნიჭი და გამოცდილება ეფექტურობისთვის აუცილებელ წინაპირობას არ წარმოადგენს. თუ სკოლა მზადაა, ყველაფერი გააკეთოს იმისთვის, რომ სასწავლო პროცესი შედეგიანი იყოს, ხოლო თუ მასწავლებელი თავის საგანს საშუალო, ან ოდნავ უფრო მაღალ დონეზე ფლობს, სკოლას შეუძლია, უზარმაზარი გავლენა იქონიოს მოსწავლის აკადემიურ მიღწევებზე.

მასწავლებლის წარმატების განმსაზღვრელი ფაქტორები:

სხვადასხვა მკვლევარის მოსაზრებათა შედარება

ჩვენ მიერ შერჩეული ფაქტორები არ წარმოადგენს მასწავლებლის ეფექტურობის შესახებ კვლევის ერთადერთ გზას. სხვადასხვა მკვლევარის მიერ სხვადასხვა დროს გამოვლინდა მრავალი ცვლადი, რომელიც მასწავლებლის ეფექტურობას განაპირობებს. ქეთლინ კოტონმა (1995) მასწავლებლის ეფექტურობის განმსაზღვრელი 150-ზე მეტი ცვლადი დაასახელა. ბარი ფრეიზერი და მისი კოლეგები (ფრეიზერი, ვალბერგი,

ველჩი და ჰეტი, 1987) მასწავლებლის ეფექტურობის განმსაზღვრელ 30 ცვლადს ასახელებენ. ჯერი ბროფი (1996) შემდეგ კატეგორიებს იყენებს:

- სწავლების მეთოდოლოგია;
- კლასის მართვა;
- დისციპლინური ჩარევა;
- მოსწავლეთა სოციალიზაცია.

ბერტ კრიმერსი (1994) სამ კატეგორიას გამოყოფს: სასწავლო გეგმა, მოსწავლეთა დაჯგუფების პროცედურები და მასწავლებლის ქცევა. და ბოლოს, კოტონი (1995) შემდეგ კატეგორიებს იყენებს მისი 150 ცვლადის ორგანიზებისთვის:

- დაგეგმვა;
- მიზნების დასახვა;
- კლასის მართვა და ორგანიზება;
- სწავლების მეთოდები;
- ინტერაქცია მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის;
- თანასწორობა/სამართლიანობა;
- შეფასება.

სკოლის წარმატების განმსაზღვრელი ფაქტორების მსგავსად, ამ შემთხვევაშიც, ჩვენ მიერ შერჩეული კატეგორიები, სხვა მკვლევართა ნამუშევრების ანალიზისა და რეორგანიზების შედეგია. დამატებითი ინფორმაციისთვის, იხილეთ 8.4. ცხრილი.

სამი ფაქტორის შესარჩევად, გავაერთიანეთ სხვა მკვლევარების მიერ შემოთავაზებული ორი ან მეტი კატეგორია, ან გამოვიყენეთ მათი კატეგორიების გარკვეული ელემენტები. მაგალითად, კოტონის სამი კატეგორია გავაერთიანეთ ერთი, „კლასის მართვის სტილის" კატეგორიის ქვეშ, ვინაიდან კოტონის სამი კატეგორიის განსაზღვრებები სინონიმური იყო. მსგავს საფუძველზე, კრიმერის კატეგორია, „მასწავლებლის ქცევა" გავაერთიანეთ ორი სხვადასხვა კატეგორიის ქვეშ: „სწავლების მეთოდები" და „კლასის მართვის სტილი".

მომდევნო სამი თავი ეთმობა მასწავლებლის წარმატების განმსაზღვრელი ფაქტორების ინდივიდუალურად განხილვას. მეცხრე თავში განხილულია სწავლების მეთოდები, მეათეში – კლასის მართვის სტილი, ხოლო მეთერთმეტეში – გაკვეთილის დაგეგმვა.

მართალია, ამ ფაქტორებს ერთმანეთისგან დამოუკიდებლად განვიხილავთ, მაგრამ პრაქტიკაში ისინი კომბინირებულად გამოიყენება. აღსანიშნავია, რომ კვლევები, რომლებიც მიზნად ისახავდნენ მასწავლებლის ეფექტურობის განმსაზღვრელი ფაქტორების ერთმანეთისგან დამოუკიდებლად გაანალიზებას (მეთოდოლოგია, კლასის მართვა და სასწავლო გეგმების შედგენა), დიდი წარმატებით ვერ გამოირჩევიან (ლევი, ვუბელი, ბრეკელმანსი და მორგანფილდი, 1997 წელი). სწავლება ჰოლისტური საქმიანობაა. პროფესიონალი მასწავლებლები თავისუ-

ცხრილი 8.4

სხვადასხვა მკვლევარის მიერ შემოთავაზებული, მასწავლებლის წარმატების განმსაზღვრელი ფაქტორების შედარება

მარზანო (2000ა)	ბროფი (1996)	კრიმერსი (1994)	კოტონი (1995)
სწავლების მეთოდები	სწავლება	მოსწავლეთა დაჯგუფება. მასწავლებლის ქცევა	დაგეგმვა. მიზნების დასახვა. სწავლება
კლასის მართვის სტილი	კლასის მართვა. დისციპლინური ჩარევა. მოსწავლეთა სოციალიზაცია	მასწავლებლის ქცევა	კლასის მართვა და ორგანიზება. მასწავლებლისა და მოსწავლის ინტერაქცია. თანასწორობა/სამართლიანობა
გაკვეთილის დაგეგმვა		სასწავლო გეგმა	შეფასება

ფლად და დაუბრკოლებლად უნდა იყენებდნენ სწავლების მრავალფეროვან მეთოდებს, კლასის მართვის ტექნიკასა და გაკვეთილის დაგეგმვის სტრატეგიებს. ამ დასკვნას მრავალი მკვლევარი ადასტურებს (ლეინჰარდტი და გრინსი, 1986; ბრუქსი და ჰოკი, 1985). სტატიაში „პროფესიონალიზმის ძიება პედაგოგიკაში", დევიდ ბერლინერი (1986) პროფესიონალ მასწავლებელს ჭადრაკის დიდოსტატს ადარებს, რომელსაც მრავალმხრივი ხედვა გააჩნია, ერთდროულად ბევრი დეტალის დანახვა და გადაწყვეტილებების მარტივად და თავისუფლად მიღება შეუძლია.

მასწავლებლის წარმატების განმსაზღვრელი სამი ფაქტორის ურთიერთდამოკიდებულება სკოლის წარმატების განმსაზღვრელი ფაქტორებისგან მათ განსხვავებაზე მიგვანიშნებს. სკოლის წარმატების განმსაზღვრელი ფაქტორები მოსწავლის აკადემიურ მოსწრებაზე მათი გავლენის მასშტაბის რიგითობის მიხედვით წარმოვადგინეთ. მასწავლებლის წარმატების განმსაზღვრელ ფაქტორებს კი რიგითობა არ აქვთ. შესაძლებელია, არსებობდეს კვლევა, რომელიც მასწავლებლის ეფექტურობის განმსაზღვრელი ფაქტორების რიგითობის დადგენაზეა ორიენტირებული, თუმცა ეს ჩვენი კვლევის კომპეტენციაში არ შედის.

შეჯამება

ამ ნაწილში წარმოდგენილია მასწავლებლის წარმატების განმსაზღვრელი სამი ფაქტორი: სწავლების მეთოდები, კლასის მართვის სტილი და გაკვეთილის დაგეგმვა. ამ ფაქტორებს ინდივიდუალურად განვიხილავთ, თუმცა პრაქტიკაში ისინი კომბინირებულად გამოიყენება და მოსწავლის აკადემიურ მოსწრებაზეც ცალ-ცალკე, თითოეული მათგანის გავლენის დადგენა მიზანშეწონილი არ არის. გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ მასწავლებელი, პოტენციურად, მეტ გავლენას ახდენს მოსწავლის აკადმიურ მოსწრებაზე, ვიდრე სკოლის წარმატების განმსაზღვრელი ხუთი ფაქტორი.



მოსწავლის ნარმატების განმსაზღვრელი ფაქტორები

ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ჭეშმარიტება ისაა, რომ მოსწავლის აკადემიურ მიღწევებში გადამწყვეტ როლს თამაშობს მოსწავლის სოციალური ფონი. როგორც პირველ ნაწილში აღინიშნა, ქოულმანისა და მისი კოლეგების (1966), ასევე ჯენქსისა და მისი კოლეგების (1972) კვლევის შედეგად გამოტანილი დასკვნებიც სწორედ ასეთი იყო. მკვლევარები, აგრეთვე, ვარაუდობდნენ, რომ აღნიშნულ ფაქტორზე გავლენის მოხდენა, პირდაპირ თუ არაპირდაპირ, ფაქტობრივად, შეუძლებელია. ისეთი პოპულარული ნიგნები, როგორებიცაა არტურ ჯენსენის *„მიკერძოება გონების გამოცდაში" (1980)* და რიჩარდ ჰეურნშტაინისა და ჩარლზ მურაის *„ზარის ფორმის მრუდი"* (1994), ნარმოგვიდგენენ დეტალურ სტატისტიკურ ანალიზს და ამტკიცებენ, რომ ისეთი ფაქტორი, როგორიცაა, მაგალითად, ინტელექტი, ბავშვს გენეტიკურად გადაეცემა და სკოლას, ფაქტობრივად, არ შეუძლია ამ ფაქტორზე გავლენის მოხდენა. ჩვენ კი კვლევებმა გვაჩვენა, რომ, სკოლების ჩარევის შემთხვევაში, მოსწავლის სოციალური ფონის უარყოფითი გავლენის შეცვლა შესაძლებელია.

პირველ ნაწილში საუბარი იყო იმაზე, რომ მოსწავლის აკადემიური მიღწევების 20%-ს განაპირობებს სკოლა, ხოლო დანარჩენ 80%-ს სოციალური ფონი. დავუშვათ, სკოლამ გადადგა ნაბიჯები ამ ფაქტორებზე გავლენის მოსახდენად. მომდევნო სამი თავი ეძღვნება სწორედ იმის განხილვას, თუ რა ფაქტორებზე და რა გზებით შეუძლია სკოლას გავლენის მოხდენა. ასევე, რომელია ის სოციალური ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენენ მოსწავლის აკადემიურ მიღწევებზე?

მოსწავლის ნარმატების განმსაზღვრელი ფაქტორები: სხვადასხვა მკვლევარის მოსაზრებათა შედარება

მოსწავლის ნარმატების განმსაზღვრელი ფაქტორების მრავალი ჩამონათვალი არსებობს. მაგალითად, ბენჯამინ ბლუმი (1976) ნიგნში *„ადამიანური თვისებები და სასკოლო განათლება"*, მოსწავლის აკადემიური ნარმატების განმსაზღვრელ ორ ძირითად ფაქტორს გამოყოფს: (1) შემეცნებითი მახასიათებლები და (2) ემოციური მახასიათებლები. ჰერბერტ ვალბერგი (1980) ნიგნში *„საგანმანათლებლო პროდუქტიულობის ფსიქოლოგიური თეორია"*, მოსწავლის აკადემიური ნარმატების განმსაზღვრელ სამ ფაქტორს გამოყოფს: (1) სწავლის უნარი ან მიღწევები ნარსულში, (2) ასაკობრივი განვითარების დონე და (3) მოტივაცია ან თვითშემეცნება. ბერი ღრი-

ზერი, ჰერბერტ ვალბერგი, ვეინ ველჩი და ჯონ ჰეტი (1987) სამ ფაქტორზე საუბრობენ: (1) სნავლის უნარი, (2) მოტივაცია და (3) ოჯახური გარემო. სხვადასხვა კვლევის სინთეზის შედეგად შექმნილ ნაშრომში, *„სასკოლო რეფორმის ახალი ერა: საით წაგვიყვანს კვლევა?“* (მარზანო, 2000ა), ოთხ ფაქტორს გამოვყოფთ: (1) ოჯახური გარემო, (2) სკოლამდელი საბაზისო ცოდნა, (3) უნარები და (4) ინტერესი.

წინამდებარე ნაშრომში წარმოდგენილი მოდელი წინა ნამუშევრისა და სხვა მკვლევარების მოსაზრებების სინთეზია და სამი ფაქტორისგან შედგება:

1. ოჯახური გარემო;
2. შეძენილი ინტელექტი და საბაზისო ცოდნა;
3. მოტივაცია.

12.1. ცხრილში ნაჩვენებია, თუ როგორ უკავშირდება ეს მოდელი წინა ნამუშევარსა და სხვა მკვლევარების მოსაზრებებს.

მოცემული ცხრილიდან ნათელი ხდება, რომ ჩვენს წინა ნაშრომში გამოყენებული ტერმინები „უნარები“ და „საბაზისო ცოდნა“ მოგვიანებით ერთ კატეგორიაში ერთიანდება, სახელწოდებით, „შეძენილი ინტელექტი და საბაზისო ცოდნა“. ტერმინი „შეძენილი ინტელექტი“, შესაძლოა, შეუთავსებელ ფრაზად მოგვეჩვენოს, თუმცა ეს ასე არ არის. აგრეთვე, ტერმინი „ინტერესი“, მოგვიანებით, შევცვალე ტერმინით, „მოტივაცია“.

მიუხედავად იმისა, რომ სხვა მკვლევარები განსხვავებულ ტერმინებს იყენებენ, აქ წარმოდგენილი, მოსწავლის აკადემიური წარმატების განმსაზღვრელი ფაქტორები, პრინციპში, აბსოლუტურად იდენტურია მათ მიერ შემოთავაზებული ცნებებისა. ის ფაქტი, რომ ბლუმისა (1976) და ვალბერგის (1980) ნაშრომში ოჯახური გარემოს ფაქტორი არ გვხვდება, უბრალოდ, მათი კატეგორიზაციის სქემების შედეგია. რეალურად, ორივე მათგანი, საკუთარ ნაშრომებში იმაზე საუბრობს, რომ ოჯახურ გარემოს გადამწყვეტი როლი ენიჭება მოსწავლის აკადემიურ წარმატებაში.

მომდევნო სამი ნაწილი ეთმობა მოსწავლის აკადემიური წარმატების განმსაზღვრელ თითოეულ ფაქტორს.

შეჯამება

როგორც კვლევა, ასევე თეორია გვიჩვენებს, რომ მოსწავლის წარმატების განმსაზღვრელ ფაქტორებს დიდი წვლილი მიუძღვით მოსწავლის აკადემიურ მიღწევებში. თუმცა აქვე იმაზეც ვსაუბრობთ, რომ, სკოლის ძალისხმევის შედეგად, სოციალური გარემოს უარყოფითი გავლენის დაძლევაც შესაძლებელია. სულ გამოვყავით სამი ფაქტორი: ოჯახური გარემო, შეძენილი ინტელექტი და საბაზისო ცოდნა და მოტივაცია.

ცხრილი 12.1

სხვადასხვა მკვლევარის მიერ შემუშავებული, მოსწავლის აკადემიური წარმატების განმსაზღვრელი ფაქტორების შედარება

ფაქტორები	ბლუმი (1976)	ვალბერგი (1980)	ფრეიზერი და სხვა (1987)	მარზანო (2000ა)
ოჯახური გარემო			ოჯახური გარემო	ოჯახური გარემო
შეძენილი ინტელექტი და საბაზისო ცოდნა	შემეცნებითი მახასიათებლები	უნარი, წინა წარმატება ან განვითარების დონე	უნარი	უნარები ან საბაზისო ცოდნა
მოტივაცია	ემოციური მახასიათებლები	მოტივაცია ან თვითშემეცნება	მოტივაცია	ინტერესი